

# **სამოქალაქო კანონი**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო  
პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის  
მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა  
შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-  
გვერდზე: [http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=133&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1)

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
სამოქალაქო საქმეებზე  
2016, №5**

**Decisions of the Supreme Court of Georgia  
on Civil Cases  
(in Georgian)  
2016, №5**

**Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
in Zivilsachen  
(in der georgischen Sprache)  
2016, №5**

**Решения Верховного Суда Грузии  
по гражданским делам  
(на грузинском языке)  
2016, №5**

**გადაწყვეტილებების შერჩევასა  
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი ქათევან პარევალია**

**ტექნიკური რედაქტორი მარია მაღალაშვილი**

**რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების  
ქ. №32, ტელ: 298 21 03; [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)**

**შურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო  
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით**

## პროცესის ხარჯები

სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლების  
შეზღუდვა სახელმიწოდების გადაუხდებობის  
გამო

### განჩინება

№ას-1336-1374-2014

9 თებერვალი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა  
შემადგენლობა: ზ.ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
თ. თოდრია,  
ბ. ალავიძე

დავის საგანი: თანხის დაბრუნება

#### აღნერილობითი ნაწილი:

თ. დ-მა სარჩელი აღდრა სასამართლოში გ. კ-ის მიმართ 15 000 აშშ დოლარის დაბრუნების შესახებ.

მოსარჩელემ განმარტა, რომ აპირებდა მოპასუხისავან ქ.თბილისში, ზ-ის ქ. №27-ში მდებარე ბინის ყიდვას, რის გამოც ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებამდე ნაწილ-ნაწილ გადასცა 15000 აშშ დოლარი. აღნიშნული თანხის მიღების მიუხედავად, გ. კ-მა თ. დ-ს სადავო უძრავი ნივთი არ გადაუფორმა და არც თანხა მისთვის არ დაუბრუნებია.

მოპასუხებ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მხარეთა შორის ფაქტობრივად არ სებობდა სამისდღეშიონ რჩენის შეთანხმება. აღნიშნულის საფუძველზე მოსარჩელემ მას გადასცა 5725 აშშ დოლარი. შესაბამისად, სარჩელში მითითებული ფაქტები არასწორია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2014 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გ. კ-ს თ. დ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 6225 აშშ დოლარის გადახდა, დანარჩენ ნაწილში კი, სარჩელს ეთქვა უარი.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ნაწილობრივ ორივე მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 ნოემბრის განჩინებით გ. კ-ის საა-

პელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2014 წლის 5 ნოემბრის განჩინებით გ. კ-ს დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა 10 დღის ვადაში 243 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის სასამართლოსათვის წარდგნა.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლით და აღნიშნა, რომ 2014 წლის 14 ნოემბერს აპელანტმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და წარდგინა სახელმწიფო ბაჟის სახით 346 ლარის გადახდის ქვითარი მაშინ, როდესაც 243 აშშ დოლარის ეკვივალენტია 422,82 ლარი. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ გ. კ-მა ხარვეზი სრულად არ შეავსო და არც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეშვიდე ნაწილის შესაბამისად, საპროცესო ვადის გაგრძელება არ მოითხოვა.

ამდენად, ამავე კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის მიხედვით, სასამართლომ გ. კ-ის სააპელაციო საჩივარი დატოვა განუხილველად.

2014 წლის 3 დეკემბერს გ. კ-მა განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს, დაურთო მას დარჩენილი სახელმწიფო ბაჟის – 106,10 ლარის გადახდის ქვითარი და მოითხოვა სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 10 დეკემბრის განჩინებით გ. კ-ის განცხადება დარჩა განუხილველად შემდეგი მოტივებით:

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ გ. კ-მა 2014 წლის 5 ნოემბრის განჩინებით დადგენილი ხარვეზი სრულად არ შეავსო და 243 აშშ დოლარის ეკვივალენტი 427,68 ლარის ნაცვლად, გადაიხადა 346 ლარი.

სასამართლომ მიუთითა, რომ გ. კ-მა ხარვეზის სრულად გამოუსწორებლობა ახსნა გაუგებრობით, კერძოდ, მხარის მიერ 243 აშშ დოლარი აღქმულ იქნა 346 ლარად.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლით და მიიჩნია, რომ 2014 წლის 24 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შემდეგ წარმოდგენილი მხარის განცხადებაც უნდა დარჩეს განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებებზე გ. კ-მა შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მათი გაუქმება და სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება შემდეგი საფუძვლებით:

კერძო საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ 2014 წლის 7 ნოემბერს ჩაიბარა 2014 წლის 5 ნოემბრის განჩინება სააპელაციო სასამართლოს მიერ ხარვეზის დადგენის შესახებ, რომლის პირველ გვერდზე მითითებულია, რომ გ. კ-ს თ. დ-ის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟი – 346 ლარი. ვინაიდან სახელმწიფო ბაჟის ოდენობა განისაზღვრა 243 აშშ დოლარით, აპელანტმა 346 ლარი აღიქვა 243 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარად. 2014 წლის 2 დეკემბერს, ადვოკატთან შეხვედრისას მხარემ შეიტყო, რომ ხარვეზი სრულად არ გამოუსწორებია და ჩათვალა, რომ სასამართლომ გაუგრძელა საპროცესო ვადა. ამიტომ დაუყოვნებლივ გადაიხადა სახელმწიფო ბაჟის დარჩენილი თანხა.

კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ მას 2014 წლის 24 ნოემბრის განჩინება მისა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ არ ჩაბარებია და სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე შეიტყო 2014 წლის 10 დეკემბრის განჩინებით.

მხარემ განმარტა, რომ არის 75 წლის პენსიონერი. სააპელაციო სასამართლოში მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება, რაზეც უარი ეთქვა. ამიტომ გაჭირვებით მოიძია სახელმწიფო ბაჟის თანხა ნაცნობ-მეგობრებში. მართალია, აპელანტმა თავდაპირველად სახელმწიფო ბაჟი სრულად არ გადაიხადა, მაგრამ სასამართლოს მხრიდან კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების გამოჩენის შემთხვევაში შესაძლებელი იყო, სააპელაციო პალატას ეცნობებინა ხარვეზის სრულად შეუცხებლობის თაობაზე გ. კ-ისათვის ან გაეგრძელებინა საპროცესო ვადა დარჩენილი თანხის წარსადგენად. უკიდურეს შემთხვევაში კი, სასამართლოს შეეძლო, დარჩენილი სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება საქმის საბოლოოდ განხილვამდე.

ამდენად, გ. კ-მა ჩათვალა, რომ გასაჩივრებული განჩინებით დაიირდვა მისი კონსტიტუციური უფლებები და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლის მეხუთე-მეშვიდე ქვეპუნქტები.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკავაციო სასამართლო ნარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. კ-ის კერძო საჩივრი ნანილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინებები უნდა გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს გ. კ-ის საა-

პელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ 2014 წლის 5 ნოემბრის განჩინებით გ. კ-ს დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა 10 დღის ვადაში 243 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის სასამართლოსათვის წარდგენა.

აღნიშნული განჩინება აპელანტს გაეგზავნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლების დაცვით, თუმცა საქმის მასალებში გზავნილის გ. კ-ისათვის ჩაბარების დამადასტურებელი მტკიცებულება არ მოიპოვება.

2014 წლის 14 ნოემბერს აპელანტმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და წარადგინა სახელმწიფო ბაჟის სახით 346 ლარის გადახდის ქვითარი.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო ის ფაქტი, რომ 243 აშშ დოლარის ეკვივალენტია 422,82 ლარი. შესაბამისად, გ. კ-მა ხარვეზი სრულად არ შეავსო და არც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეშვიდე ნაწილის შესაბამისად, საპროცესო ვადის გაგრძელება არ მოითხოვა, რის გამოც, 2014 წლის 24 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივრი დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 24 ნოემბრის განჩინება გ. კ-ს გაეგზავნა და მხარეს ჩაბარდა 2014 წლის 1 დეკემბერს, რის შემდეგაც 2014 წლის 3 დეკემბერს გ. კ-მა განცხადებით მიმართა სააპელაციო პალატას, წარადგინა სახელმწიფო ბაჟის სახით 106,10 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი და მოითხოვა სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება.

საკასაციო სასამართლო მიზნშეწონილად თვლის, გამოიყენოს სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლი, რომლის თანახმად ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად, და არა მარტომდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან.

კანონის მითითებული დანაწესის მიზანია, მოდავე მხარის მიერ გარკვეულ საკითხზე ნების გამოვლენისას მხარის აღნიშნული ნება განიმარტოს არა ვინროდ, მარტომდენ ფორმალური თვალსაზრისით, არამედ შეფასდეს, რა მიზნის მიღწევა პქონდა განზრახული მხარეს კონკრეტული ნების გამოვლენით.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე უნდა შეფასდეს, რა მიზნის მიღწევა სურდა გ. კ-ს 2014 წლის 3 დეკემბრის განცხადების შეტანისას. აღნიშნულის გასარკვევად მნიშვნელოვანია

თავად განცხადების მოთხოვნა – გ.კ-ის სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება. ანალიზიურ მოთხოვნას შეიცავს ამჟამად საკასაციო სასამართლოს წარმოებაში არსებული კერძო საჩივრი.

ამავდროულად, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ მითითებული განცხადების შეტანას წინ უსწრებდა 2014 წლის 1 დეკემბერს გ. კ-ის მიერ მისი სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე სააპელაციო პალატის 2014 წლის 24 ნოემბრის განჩინების ჩაბარება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აპელანტის მხრიდან 2014 წლის 3 დეკემბრის განცხადების წარდგენა ექცევა მხარის მიერ კერძო საჩივრის შეტანის სამართლებრივ ჩარჩოებში და აღნიშნული განცხადება თავისი შინაარსითა და მოთხოვნით – სასამართლომ წარმოებაში მიიღოს სადავო სააპელაციო საჩივარი, წარმოადგენს კერძო საჩივარს. 2014 წლის 3 დეკემბერს მხარის მიერ წარდგენილი განაცხადი და კერძო საჩივრის საფუძვლები საჭიროებდა დაზუსტებას, რაც გ. კ-მა განახორციელა 2014 წლის 18 დეკემბრის კერძო საჩივრის ფარგლებში, როდესაც მხარემ თავისი მოთხოვნა დააზუსტა და სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღებასთან ერთად მოითხოვა სააპელაციო პალატის იმ განჩინებების გაუქმებაც, რომელთა მეშვეობითაც მისი პრეტენზიები დარჩა განუხილველად.

ზემოთ მითითებული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის 2014 წლის 10 დეკემბრის განჩინება უნდა გაუქმდეს, რადგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძო საჩივრის თაობაზე განჩინება გამოაქვს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს. შესაბამისად, გ. კ-ის კერძო საჩივარზე უნდა იმსჯელოს საკასაციო სასამართლომ.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 24 ნოემბრის განჩინების გაუქმების სამართლებრივი წინაპირობაც, კერძოდ, ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 5 ნოემბრის განჩინებით გ. კ-ს დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა 10 დღის ვადაში 243 აშშ დოლარის ეკვივალენტილარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის სასამართლოსათვის წარდგენა. შესაბამისად, სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზი მოიაზრებდა ორი კუმულაციური პირობის დაცვას – კონკრეტული საპროცესო მოქმედების შესრულებას და აღნიშნული მოქმედებისათვის სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადის დაცვას. იმისათვის, რომ სასამართლომ აითვალის საპროცესო

მოქმედების შესრულების ვადა, საჭიროა მხარეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ჩაბარდეს განჩინება ხარვეზის დადგენის თაობაზე. მხოლოდ აღნიშნული მომენტიდანაა შესაძლებელი ხარვეზის შევსების ვადის ათვლა და ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში, საპროცესო საქციის სახით, სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს გ. კ-ისათვის 2014 წლის 5 ნოემბრის განჩინების ჩაბარების დამადასტურებელი მტკიცებულება არ გააჩნდა, შესაბამისად, სააპელაციო პალატა არ იყო უფლებამოსილი, განუხილველად დაეტოვებინა სააპელაციო საჩივარი მით უფრო, რომ აპელანტმა სახელმწიფო ბაჟის სახით გადასახდელი თანხის უმეტესი ნაწილი – 346 ლარი 2014 წლის 14 ნოემბერსვე დაფარა. მხოლოდ ის ფაქტი, რომ აპელანტმა საკუთარი ინიციატივით მიმართა სასამართლოს ხარვეზის გამოსწორების მიზნით, არ წარმოადგენს საკმარის არგუმენტს სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებისათვის.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ ეტაპზე გ. კ-ს სრულად აქვს გადახდილი სააპელაციო საჩივარზე დადგენილი სახელმწიფო ბაჟის ოდერი – 234 აშშ დოლარი, რომლის ეკვივალენტ ლარად გასაჩივრებულ განჩინებაში მითითებულია 427,68 ლარი, აპელანტმა კი პირველ ეტაპზევე 346 ლარის გადახდით გამოავლინა მზაობა, დაეფარა სახელმწიფო ბაჟი და დაადასტურა თავისი ინტერესი სააპელაციო საჩივრის განხილვასთან მიმართებით. მოგვანებით, აპელანტმა წარადგინა დამატებით 106,10 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები. შესაბამისად, მის მიერ გადახდილი თანხის ჯამი – 452,1 ლარი აღემატება სააპელაციო საჩივრისათვის საჭირო ოდენობას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სახელმწიფო ბაჟის გადახდის აუცილებლობა დადგენილია მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, რომელიც ასევე ითვალისწინებს მხარის მიერ შესაბამისი თანხის გადაუხდელობის სამართლებრივ შედეგებსაც, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფო ბაჟის გადახდევინების მექანიზმი მხარისათვის სასამართლო ხელმისაწვდომობის შეზღუდვის კანონისმიერ საშუალებასაც წარმოადგენს. ამდენად, მისი გამოყენებისას სასამართლო ვალდებულია, გაითვალისწინოს და შეაფასოს თანხის გადახდევინების პროცესში წარმოშობილი ყველა გარემოება.

სახელმწიფო ბაჟის გადახდასთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევრო-

ჟული სასამართლოს რეკომენდაციების თანახმად, სახელმწიფო ბაჟის საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაც. სასამართლო სამართალნარმოებს განხორციელების დროს სახელმწიფო ბაჟთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შეიმუშავა ზოგადი ხასიათის სახელმძღვანელო პრინციპები.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სახელმწიფო ბაჟის გადახდასთან დაკავშირებით მრავალ საქმეზე და, მათ შორის, საქმეებზე: კრეუცი პოლონეთის წინააღმდეგ, იედამსკა და იედამსკი პოლონეთის წინააღმდეგ, გოლდერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, ბრუალა გომეს დე ლა ტორე ესპანეთის წინააღმდეგ, ტოლსტოი-მილოსლავსკი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ და ა. შ. განმარტა შემდეგი: ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი უზრუნველყოფს ყოველი ადამიანის უფლებას სასამართლო წესით დაიცვას თავისი უფლებები და მოვალეობები.

სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება „სასამართლოს უფლების“ მხოლოდ ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს, თუმცა აღნიშნული კომპონენტი კონვენციის ზემოხსენებული მუხლით გათვალისწინებული სხვა უფლებებით სარგებლობის გარანტია. „სასამართლოს უფლება“ არ არის აბსოლუტური უფლება, იგი შეიძლება სახელმწიფოს მიერ შეიზღუდოს. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი აძლევს რა მხარეებს თავიანთ უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად „სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლებას“, სახელმწიფოს ამავე დროს აღნიშნული უფლების შეზღუდვის იმ საშუალებათა თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას ანიჭებს, რომელთა მეშვეობითაც „სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლება“ შეიძლება შეიზღუდოს, თუმცა ამავე დროს სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნული შეზღუდვები უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს და დაცული უნდა იყოს სამართლიანი ბალანსი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზნებს შორის.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ზოგიერთ საქმეზე დასაშვებად მიიჩნია ფიზიკურ პირთათვის სასამართლო ხელმისაწვდომობაზე გარკვეული სახის, მათ შორის, ფინანსური შეზღუდვის დაწესება. აღნიშნული შესაძლებლობა განსაკუთრებით იმ საქმეებს ეხება, სადაც საჩივრის დასაშვებობაზეა საუბარი ან სადაც მართლმსაჯულება მომჩივნისაგან იმ

ხარჯების ანაზღაურებას ითხოვს, რომლებიც მეორე მხარემ გასწია. სარჩელის ან საჩივრის დასაშვებად ცნობის ერთ-ერთ წინაპირობად სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულების დაწესება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ეკონომიკული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, არ უნდა იქნეს გაგებული სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების ხელყოფად, თუმცა სასამართლოს მიერ გამოყენებულმა შეზღუდვებმა არ უნდა შეზღუდოს სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლება იმ გზით ან იმ ფარგლებში, რაც თვით აღნიშნული უფლების (სასამართლო ხელმისაწვდომობის) არს ხელყოფა: სასამართლო ბაჟის ოდენობა გამოანგარიშებულ უნდა იქნეს ყოველი კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად, მომჩივნის ფინანსური მდგომარეობის ჩათვლით; ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნას სამართლნარმოების ეტაპი, როცა აღნიშნული შეზღუდვა იქნა გამოყენებული.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ეკონომული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი არ ავალდებულებს მონაწილე სახელმწიფოებს სააპელაციო ან საკასაციო ინსტანციის სასამართლოების შექმნას, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მონაწილე სახელმწიფოს გააჩნია ზემდგომი ინსტანციის სასამართლო, მაშინ აღნიშნული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული უფლებების დაცვა უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებშიც, თუმცა, მოცემულ უფლებათა დაცვა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში აღნიშნული ინსტანციის სასამართლოების თავისებურებების გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს. ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში ბაჟის საკითხთან დაკავშირებით ეკონომულმა სასამართლომ ასევე განმარტა, რომ საპელაციო წესით საქმის განხილვის თავისებურებებისა და ასევე იმის გათვალისწინებით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმე არსებითად უკვე განხილულ იქნა, მონაწილე სახელმწიფო უფლებამოსილია, სააპელაციო წესით საქმის განხილვის დასაშვებობაზე უფრო მეაცრი შეზღუდვები დააწესოს. ადამიანის უფლებათა ეკონომულმა სასამართლომ გარდა ზემოაღნიშნულისა, საკუთარი დანიშნულება განმარტა და მიუთითა, რომ მის ფუნქციას არ წარმოადგენს ეროვნულ დონეზე კომპეტენტური ორგანოს ნაცვლად მართლმსაჯულების ხელმისაწვდომის უზრუნველყოფი მაქსიმალურად ეფექტური ზომების განსაზღვრა და არც იმ ფაქტების შეფასება, რომლებიც სასამართლო გადაწყვეტილებას დაედო საფუძვლად. ადამიანის

უფლებათა ევროპული სასამართლოს როლი მდგომარეობს იმაში, რომ შეკვეთის კომპეტენტური ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებით დამდგარი შედეგის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპულ კონკრეტულისთვის ამასთან, სასამართლომ განმარტა ისიც, რომ მის მიერ ფაქტების კვლევა ეფუძნება კონვენციით გათვალისწინებულ პრინციპებს, დაიცვას არა თეორიული, ილუზიური უფლებები, არამედ უზრუნველყოს პრაქტიკული და ეფექტური უფლებების განხორციელება და დაცვა, სწორედ ისეთის როგორიც, დემოკრატიულ საზოგადოებაში მისი განსაკუთრებული ადგილიდან გამომდინარე, სამართლიანი სასამართლოს უფლებაა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ სახელმწიფო ბაჟთან დაკავშირებით შექმნილი პრეცედენტული სამართლიდან შესაძლებელია შემდეგი დასკვნის გაკეთება: 1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სასამართლო ხელმისაწვდომობაზე გარეეული შეზღუდვების დაწესებას დასაშვებად მიიჩნევს; 2. შეზღუდვები შეიძლება ატარებდეს ფინანსურ ხასიათს, რაც მოსარჩელისა ან განმცხადებლისათვის ბაჟის დაკისრებაში გამოიხატება; 3. სასამართლო ხელმისაწვდომობაზე დაწესებული შეზღუდვა, მათ შორის ფინანსურიც, შესაძლებელია უფრო გამკაცრდეს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში; 4. სასამართლო ხელმისაწვდომობაზე დაწესებული შეზღუდვა კონვენციის საწინააღმდეგო ხასიათს იძენს, თუ აღნიშნული შეზღუდვის შედეგად სამართალნარმოება საერთოდ არ შედგა; 5. თუ საქმე არა ერთმა, არამედ ორმა ინსტანციამ არსებითად განიხილა, ხოლო საკასაციო ინსტანციის სასამართლომ იგი დასაშვებობის პირობების დაუკმაყოფილებლობის გამო განუხილველად დატოვა, აღნიშნული არ შეიძლება ჩაითვალოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული „სასამართლო ხელმისაწვდომობის“ უფლების ხელყოფად; 6. შეზღუდვები უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს და დაცული უნდა იყოს სამართლიანი ბალანსი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზნებს შორის; 7. სასამართლო ხელმისაწვდომობაზე დაწესებული შეზღუდვა, მათ შორის, ფინანსური, არ უნდა იყოს გადაჭარბებული და არაგონივრული.

სასამართლო ხელმისაწვდომობაზე ბაჟის სახით გონივრული შეზღუდვის დაწესება სახელმწიფოს ლეგიტიმური უფლებაა, რა დროსაც, დაცული უნდა იყოს ბალანსი კერძო და საჯარო ინტერესს შორის. კერძო ინტერესის დაცვას ემსახურება

ქართულ კანონმდებლობაში ბაჟთან დაკავშირებით დაწესებული ზედა ზღვარი, ასევე საკანონმდებლო დონეზე რეგლამენტირებული უფლება იმისა, რომ ბაჟისაგან გათავისუფლების ან ბაჟის ოდენობის შემცირების საკითხი გადაწყდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ინდივიდუალური საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, რა დროსაც, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მხარის ქონებრივი მდგომარეობა, იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რასაც მხარე თავად წარმოადგენს. მართალია, სახელმწიფოს მხრიდან დაწესებულია სასამართლო ხელმისაწვდომობის შეზღუდვის გარკვეული სტანდარტი, თუმცა, კანონმდებლობა შეზღუდვიდან გამონაკლისს უშვებს, ხოლო გამონაკლისით სარგებლობის უფლება მხარის განსაკუთრებული უფლებაა, რომლის გამოყენება მას მის მიერვე წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით შეუძლია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის 2014 წლის 24 ნოემბრის განჩინებით გ. კ-ს სახელმწიფო ბაჟის დარჩენილი მცირე იდენტობის გადაუხდელობის მოტივით სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლება შეეზღუდა, რის გამოც მითითებული განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე, ასევე ამავე პალატის 2014 წლის 10 დეკემბრის განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს გ. კ-ის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. გ. კ-ის კერძო საჩივარი ნაწილობრივ დაკავშირდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 ნოემბრისა და 10 დეკემბრის განჩინები გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს გ. კ-ის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სასამართლო ხარჯების გადახდისგან გათავისუფლების საფუძვლები

### განჩინება

№ას-1116-1063-2014

23 დეკემბერი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
ლ. მურუსიძე

**დავის საგანი:** უკანონო მფლობელობიდან ქონების გამოთხ-  
ოვა

#### აღნერილობითი ნაწილი:

2013 წლის 22 ნოემბერს მ., რ. და თ. ზ-ებმა თბილისის საქა-  
ლაქო სასამართლოში ა. და ც. გ-ების წინააღმდეგ სარჩელი აღძ-  
რეს მოპასუხეთა უკანონო მფლობელობიდან ქ. თბილისში, ვ. ზ.  
პ-ს მე-2 მიკრორაიონის მე-20 კორპუსში მდებარე №16 ბინის  
გამოთხოვის მოთხოვნით.

2013 წლის 22 ნოემბერს თ. კ-მ თბილისის საქალაქო სასა-  
მართლოში ი. უ-ას წინააღმდეგ სარჩელი აღძრა მოპასუხის  
უკანონო მფლობელობიდან ქ. თბილისში, ვ. ზ. პ-ს მე-2 მიკრო-  
რაიონის მე-20 კორპუსში მდებარე №31 ბინის გამოთხოვის  
მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
კოლეგის 2014 წლის 9 იანვრის განჩინებით აღნიშნული ორი  
საქმე ერთ ნარმოებად გაერთიანდა.

იმავე სასამართლოს 2014 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებით  
თ. კ-ის სარჩელი ი. უ-ას მიმართ დაკმაყოფილდა, მოპასუხის  
უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა მფლობელო-  
ბიდან ქ. თბილისში, ვ. ზ. პ-ს მე-2 მიკრორაიონის მე-20 კორპუს-  
ში მდებარე №31 ბინა. ასევე დაკმაყოფილდა მ., რ. და თ. ზ-ების  
სარჩელი ა. გ-ის მიმართ, მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან  
გამოთხოვილ იქნა ქ. თბილისში, ვ. ზ. პ-ს მე-2 მიკრორაიონის  
მე-20 კორპუსში მდებარე №16 ბინა.

აღნიშნული გადაწყვეტილება ი. უ-ას და ა. გ-ის წარმომად-  
გენელმა მ. კ-ამ სააპელაციო ნებით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-  
თა პალატის 2014 წლის 10 ივნისის განჩინებით მ. კ-ას დაევალა

განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში დაეზუსტებინა, ვინ იყო სააპელაციო საჩივრის ავტორი და წარედგინა სახელმწიფო ბაჟის – 160 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

განჩინების პასუხად მ. კ-ამ განმარტა, რომ სააპელაციო საჩივარი მისი მარნმუნებლების სახელით შეიტანა და წარადგინა 160 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2014 წლის 8 აგვისტოს განჩინებით ხარვეზის შევსების ვადა 7 დღით გაგრძელდა. განჩინებაში მითითებულია, რომ პალატა ვარაუდის საფუძველზე აპელანტად ვერ მიიჩნევდა ო. უ-ას ან ა. გ-ს ან ორივეს ერთად, შესაბამისად, მ. კ-ას დაევალა აპელანტების სახელის, გვარის და მისამართის დაზუსტება, ასევე ა. გ-ის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან ამონაცერის წარდგენა.

2014 წლის 21 აგვისტოს მ. კ-ამ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა და განმარტა, რომ ი. უ-ასა და ა. გ-ის მირ გაცემული მინდობილობით, მას სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლებამოსილება გააჩნდა. 160 ლარი ი. უ-ას სააპელაციო საჩივარზე იყო გადახდილი, ხოლო რაც შეეხება. გ-ს, განცხადებას თან ერთვოდა მისი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოწმობა. განცხადებლის მითითებით, ა. გ-ი რაიონში იმყოფებოდა და ვერ შეძლო, როგორც ვარაუდობდა, დიღის საათებში ქ. თბილისში ჩამოსვლა სოციალური მომსახურების სამსახურში საბუთის მისაღებად. აპელანტის მტკიცებით, ეს საპატიო მიზეზი იყო საპროცესო ვადის აღსაღენად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2014 წლის 19 სექტემბრის განჩინებით მ. კ-ას სააპელაციო საჩივარი განუხილველად დარჩა. სააპელაციო სასამართლომ აპელანტის მიერ მითითებული გარემოება საპატიოდ არ მიიჩნია და მხარის შუამდგომლობა საპროცესო ვადის აღდენის თაობაზე არ დააკმაყოფილა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება მ. კ-ამ კერძო საჩივრით გაასაჩივრა. მისი მითითებით, საქმეში არსებული მინდობილობების საფუძველზე ი. უ-ასა და ა. გ-ის ინტერესებს იცავდა. აპელანტის გრაფაში კი, საკუთარი თავი იმიტომ მიუთითა, რომ მათ მიერ გაცემული მინდობილობებით ამგვარი უფლებამოსილება ჰქონდა მინიჭებული. 1.08.2014 წლის განცხადებით მ. კ-ამ დააზუსტა, რომ საჩივარი მისი მარნმუნებლების სახელით ჰქონდა შეტანილი და სახელმწიფო ბაჟის – 160 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარადგინა. 8 აგვისტოს

განჩინებით განემარტა, რომ ვინაიდან აპელანტი ორი იყო, სახელმწიფო ბაჟი ორივეს სახელით უნდა ყოფილიყო გადახდილი ან უნდა წარედგინა ა. გ-ის სოციალურად დაუცველი პირების მონაცემთა ერთიან პაზაში რეგისტრაციის მოწმობა. განჩინებით დადგენილი ხარვეზი 1 დღის დავინაბებით შეივსო, რადგანაც ა. გ-ი რაიონში იმყოფებოდა, ხოლო მ. კ-ა შვებულებაში იყო. სააპელაციო სასამართლომ აღინიშნა, რომ მ. კ-ა უნდა ეცნობებინა ი. უ-ას მისამართი და საკონტაქტო მონაცემები. ეს უკანასკნელი საქართველოში არ იმყოფება, საბერძნეთში ცხოვრობს და მისი სახელით ყველა მოქმედებას მ. კ-ა ასრულებს. ის ვერც მიუთითებდა ი. უ-ას საკონტაქტო მონაცემებს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა კერძო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93.2 მუხლის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ აგრეთვე საქმე ანარმონ სასამართლოში წარმომადგენლის მეშვეობით. საქმის წარმოება წარმომადგენლის მეშვეობით არ ართმევს უფლებას მხარეებს თვითონაც პირადად მიიღონ მონაწილეობა საქმეში. ამავე კოდექსის 94-ე მუხლის საფუძველზე, ფიზიკურ პირის წარმომადგენელი საპელაციო სასამართლოში შეიძლება იყოს მხოლოდ ადვოკატი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მხარე და მისი წარმომადგენელი სხვადასხვა საპროცესო სუბიექტები არიან. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96.1 მუხლის პირველი ნინადადების თანახმად, წარმომადგენლის უფლებამოსილება უნდა ჩამოყალიბდეს კანონის შესაბამისად გაცემულ და გაფორმებულ მინდობილობაში. წარმომადგენლისათვის მინდობილობის საფუძველზე უფლებამოსილების მინიჭება, მათ შორის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლით გათვალისწინებული სპეციალური უფლებამოსილებების გადაცემა, წარმომადგენელს მხარედ არ აქცევს, არამედ იგი მხარის სახელით მონაწილეობს საქმის განხილვაში და ასრულებს შესაბამის საპროცესო მოქმედებებს. ამ დასკვნას ნათლად ადასტურებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98.1 მუხლი, რომლის თანახმადაც უფლებამოსილება სასამართლოში საქმის წარმოების შესახებ უფლებას აძლევს წარმომადგენელს, მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, გარდა სარჩელის

აღძვრისა, არბიტრაჟისათვის საქმის გადაცემისა, სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმისა, სარჩელის ცნობისა, სარჩელის საგნის შეცვლისა, მორიგებისა, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისა, სააღსრულებო ფურცლის გადასახდევინებლად წარდგენისა, მიკუთვნებული ქონების ან ფულის მიღებისა. წარმომადგენლის უფლებამოსილება ამ მუხლში აღნიშნული თითოეული მოქმედების შესრულებისათვის სპეციალურად უნდა იქნეს აღნიშნული მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მ. კ-ას მტკიცებას, რომ რადგანაც ი. უ-ამ და ა. გ-მა საპელაციო საჩივრის შეტანის უფლებამოსილება გადასცეს, ამ საქმეზე აპელანტი თავად იყო. როგორც უკვე აღინიშნა, მხარე არის მხარე, ხოლო წარმომადგენელი მოქმედებს მისი სახელით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 367-ე მუხლის მეორე წინადადებით სააპელაციო საჩივარი უნდა პასუხობდეს ამ კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით დადგენილ მოთხოვნებს. ამავე კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, სარჩელი უნდა პასუხობდეს ამ კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშს და შედგენილი უნდა იყოს ამ ნიმუშში მითითებული წესების დაცვით. სარჩელში სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოსარჩელის მოსაზრებები საქმის თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებულ სააპელაციო საჩივრის ფორმაში აპელანტის და მისი წარმომადგენლის მონაცემები ცალ-ცალკე ივსება, მ. კ-ამ კი, აპელანტის გრაფაში საკუთარი თავი მიუთითა.

ამ გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ ხარვეზი მართებულად დაადგინა და მ. კ-ას აპელანტების მითითება დაავადლა. ხარვეზის განჩინების პასუხად მ. კ-ამ განმარტა, რომ სააპელაციო საჩივარი მისი მარწმუნებლების სახელით შეიტანა. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ მ. კ-ა ი. უ-ასა და ა. გ-ის ინტერესებს იცავდა, ასევე თავად სააპელაციო საჩივრის ტექსტიდან ირკვეოდა, რომ საჩივარი მოპასუხების სახელით იყო შეტანილი, ამდენად, აპელანტთა წრის დადგენა შესაძლებელი იყო, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს შემდგომი მოთხოვნა, რომ მ. კ-ას მიეთითე-

ბინა აპელანტების სახელები და გვარები, არ იყო გამართლებული.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 40-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, თუ ერთ სარჩელში რამდენიმე სხვადასხვა მოთხოვნაა ჩამოყალიბებული, მაშინ ეს მოთხოვნები უნდა შეჯამდეს და ამის შემდეგ განისაზღვროს სადაც საგნის ღირებულება. განსახილველ შემთხვევაში, სარჩელი აღძრულია ორ დამოუკიდებელ დავის საგანზე ი. უ-ასა და ა. გ-ის მიმართ ცალკალკე, შესაბამისად, სახეზეა მ. კ-ას მიერ შეტანილი ორი დამოუკიდებელი სააპელაციო საჩივარი, რომელთა დასაშვებობის წინაპირობები ცალკალკე უნდა შეფასდეს.

მ. კ-ამ სახელმწიფო ბაჟის – 160 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი წარადგინა. მართალია, თავად ქვითრის დანიშნულების გრაფაში ზოგადადაა მითითებული „სახელმწიფო ბაჟი სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე“, მაგრამ ვინაიდან შემდგომში მ. კ-ამ ა. გ-ის სოციალურად დაუცველი პირების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოწმობა წარადგინა, საკასაციო სასამართლო დადასტურებულად მიიჩნევს, რომ ბაჟი ი. უ-ას სააპელაციო საჩივარზეა გადახდილი, ამდენად, მისი სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების წინაპირობა არ არსებობდა.

რაც შეეხება ა.გ-ის აპელაციას, მის მიმართ სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულება ცალკე განისაზღვრება. მართალია, საქმეში წარმოდგენილი იყო მისი სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოწმობა 2013 წლის დეკემბრის მდგომარეობით, მაგრამ სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძვლები უნდა არსებობდეს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების ეტაპისათვის. ვინაიდან სააპელაციო საჩივარი 2014 წლის 26 ივნისს იყო შეტანილი, სააპელაციო სასამართლოს სრული უფლებამოსილება ჰქონდა, მხარისათვის ამ მდგომარეობით სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოწმობის წარდგენა დაევალებინა.

კერძო საჩივრის ავტორი სადაც არ ხდიდა, რომ ხარვეზის შეესების შესახებ განცხადება საპროცესო ვადის დარღვევით შეიტანა, მან საპროცესო ვადის აღდგენა მოითხოვა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 65-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულებისათვის განსაზღვრული ვადა, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სასამართლომ შეიძლება აღადგინოს, თუ ცნობს, რომ საპროცესო მოქმედება საპატიო მიზეზით არ შესრულდა. საპატიო მიზეზად ჩაი-

თვლება ამ კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებული გარემოებები. ამავე კოდექსის 215.3 მუხლის თანახმად კი, ამ კანონის მიზნებისათვის, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების ნარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების ნარდგენას.

განმცხადებლის მითითებით, ა. გ-ი რაიონში იმყოფებოდა და ვერ შეძლო, როგორც ვარაუდობდა, დილის საათებში ქ. თბილისში ჩამოსვლა სოციალური მომსახურების სამსახურში საბუთის მისაღებად. განსხვავებულ გარემოებებზე მხარეს არც კერძო საჩივარში არ მიუთითებია.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს, რომ ეს გარემოებები ხარვეზის დადგენილ ვადაში შეუვსებლობის საპატიო მიზეზად ვერ იქნება მიჩნეული, ვინაიდან, ჯერ ერთი, მხარეს შეძლო, არა საპროცესო ვადის ამონურვის ბოლო დღეს ეცადა შესაბამისი მტკიცებულების მოპოვება, არამედ ამ ვადის ფარგლებში, უფრო ადრეც. გასათვალისწინებელია, რომ აპელანტის ნარმობადგენლისათვის სააპელაციო საჩივარის შეტანის ეტაპზევე უნდა ყოფილიყო ცნობილი სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულების შესახებ. გარდა ამისა, თუნდაც ა. გ-ი რაიონში ყოფილიყო, მისი სახელით საჭირო მოქმედებების განხორციელება მ. კ-ასაც შეეძლო, ან მას შეეძლო, რომ სასამართლოსათვის საპროცესო ვადის გაგრძელების თხოვნით მიემართა, რაც არ შეუსრულებია, ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საპროცესო ვადის აღდგენის შესახებ შუამდგომლობა მართებულად არ დააკმაყოფილა.

ყოველივე ზემოალნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო ასკვნს, რომ ი. უ-ას სააპელაციო საჩივარის განუხილველად დატოვების საფუძველი სააპელაციო სასამართლოს არ გააჩნდა, შესაბამისად, ამ ნაწილში კერძო საჩივარი უნდა დაცმაყოფილდეს, ხოლო ა. გ-ის ნაწილში კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 412-ე, 410-ე მუხლებით და

## **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ი. უ-ასა და ა. გ-ის წარმომადგენელ მ. კ-ას კერძო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. ი. უ-ას სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების ნაწილში გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 19 სექტემბრის განჩინება და ამ ნაწილში საქმე ი. უ-ას სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების ეტაპიდან ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. ა. გ-ის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 19 სექტემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **სასამართლო ხარჯების გადახდისგან გათავისუფლების საფუძვლები**

### **განჩინება**

№ას-1121-1055-2015

9 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ბაქაქური,

ბ. ალავიძე

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

### **აღნერილობითი ნაწილი:**

1. ი. პ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ქ., ზ., გ., ი. და ვ. გ-ების მიმართ მოპასუხების უკანონო მფლობელობიდან ქ. რ-ში, ზ-ის ქ. №-ში მდებარე უძრავი ნივთის გამოთხოვისა და გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში მოსარჩელისათვის გადაცემის შესახებ.

2. მოსარჩელემ განმარტა, რომ სადავო უძრავი ქონება მისი

საკუთრებაა, ხოლო მოპასუხეები უკანონოდ ფლობენ და არ ათავისუფლებენ მას.

3. მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და მოითხოვეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

4. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებით ი. პ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც მოპასუხეებმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 სექტემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

6. სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 16 ივნისის განჩინებით აპელანტ ქ. გ-ის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და აპელანტებს დაევალათ განჩინების ასლის გადაცემის მომენტიდან 10 დღის ვადაში 160 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედნის წარდგენა.

7. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილით, 74-ე მუხლის პირველი ნაწილით და დაადგინა, რომ ხარვეზის განსაზღვრის შესახებ 2015 წლის 16 ივნისის განჩინება აპელანტ ქ. გ-ს გაეგზავნა საქმეში მის მიერ მითითებულ მისამართზე (ქ.რ., ზ-ის ქ. №) და 2015 წლის 10 ივლისს ჩაბარდა მის დედას – ს. გ-ს (პ/ნ..). განჩინებით დადგენილ 10-დღიან საპროცესო ვადაში აპელანტს ხარვეზი არ შეუვსია.

8. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის, 374-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად სასამართლოს მიერ განსაზღვრულ საპროცესო ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

9. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ქ. გ-მა შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით:

10. კერძო საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად დატოვა განუხილველად მისი სააპელაციო საჩივარი ხარვეზის გამოუსწორებლობის – სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის მოტივით, ვინაიდან თავად ქ. გ-ი და მისი ოჯახი რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში, იღებენ შემწებას, შესაბამისად, გათავისუფლებული არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

## **სამოტივაციო ნაწილი:**

11. საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. გ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კი გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ქ. გ-ის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად შემდეგ გარემოებათა გამო:

12. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს სააპელაციო პალატის მიერ ქ. გ-ის სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენისა და მისი გამოუსწორებლობის მოტივით სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინების კანონიერება.

13. სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენის წესს ითვალისწინებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილი, რომლის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ ნორმის მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

14. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო განსაზღვრავს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომელიც ხარვეზის შესავსებად უნდა განხორციელდეს და საპროცესო ვადას, რომლის განმავლობაშიც აპელანტი ვალდებულია, შეასრულოს განჩინებაში დადგენილი მოქმედებები. სასამართლოს მიერ მითითებული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ კი სააპელაციო საჩივარი აღარ განიხილება და დარჩება განუხილველად.

15. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინა ქ. გ-მა. აპელანტმა მიუთითა, რომ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია, რადგან ოჯახთან ერთად 53070 ქულით რეგისტრირებულია სოციალურად დაუკველი ოჯახების ერთიან ბაზაში და იღებს საარსებო შემწეობას. სააპელაციო საჩივარს ერთვის აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი ამონანერი სოციალურად დაცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან.

16. სააპელაციო სასამართლო 2015 წლის 16 ივნისის განჩინებით იმსჯელა სააპელაციო საჩივრის დასაშვებობაზე და

მიიჩნია, რომ იგი ხარვეზიანია. პალატამ ჩათვალა, რომ, საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილების მე-7 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიანი პირები, რომელთა საარსებო შემწეობის მისაღები ზღვრული ქულაა 52001, ხოლო აპელანტის ქულათა რაოდენობა აღნიშნულზე მეტია. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ აპელანტს დაავალა 10 დღის ვადაში 160 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითოს დედნის წარმოდგენა.

17. მხარეთა მიერ სადავოდ არ გამხდარა ის გარემოება, რომ სააპელაციო სასამართლოს განხინება ხარვეზის დადგენის თაობაზე აპელანტს გაეგზავნა და კანონით დადგენილი წესით 2015 წლის 10 ივლისს ჩაბარდა ქ. გ-ის დედას – ს. გ-ს, თუმცა აპელანტს ხარვეზის გამოსწორების მიზნით და არც სხვა რაიმე შუამდგომლობით სააპელაციო პალატისათვის არ მიუმართავს.

18. წარმოდგენილი კერძო საჩივრით მხარე მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასაწორად დაუდგინა ხარვეზი, რადგან იგი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებული იყო.

19. სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მხარის სავალდებულო გათავისუფლებას ითვალისწინებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯებისაგან თავისუფლდებიან მხარეები, რომლებიც დადგენილი წესით რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და იღებენ საარსებო შემწეობას, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით.

20. „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლო ხარჯების სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდისაგან თავისუფლდება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირი, რომლის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელი ტოლია ან ნაკლებია საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვრულ ქულაზე. საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილების მე-7 მუხლის თანახმად კა, საარსებო შემწეობის მისაღები ზღვრული ქულა მერყეობს 57001 ქულასა და 100 001 ქულას შორის (და არა 52001 ქულა, როგორც ეს სააპელაციო სასამართლო 2015 წლის 16 ივნისის განჩინებაში მიუთითა).

21. მოცემულ შემთხვევაში ცალსახად დგინდება, რომ ქ. გ-ის ოჯახს მიენიჭა კანონით განსაზღვრულ მინიმალურ ოდე-

ნობაზე – 57001 ქულაზე ნაკლები – 53070 ქულა, იგი იღებს საარსებო შემწეობას, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის მითითებას, რომ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან აპელანტის გათავისუფლების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა.

22. ამდენად, საკასაციო სასამართლო ეთანხმება კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ ქ. გ-ის სააპელაციო საჩივარი არასწორად დარჩა განუხილველად.

23. სააპელაციო პალატა არ იყო უფლებამოსილი, სახელმწიფო ბაჟის გადახდასთან დაკავშირებით ხარვეზი დაედგინა აპელანტისათვის, ვინაიდან ამ უკანასკნელმა იმთავითვე სააპელაციო საჩივარში მიუთითა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ბაჟის გადახდისაგან მისი გათავისუფლების წინაპირობის არსებობაზე. შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას საფუძვლად ვერ დაედება მხარის მიერ ისეთი ხარვეზის გამოუსწორებლობის ფაქტი, რომლის დადგენა არასწორად მოხდა.

24. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ქ. გ-ის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ქ. გ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 სექტემბრის განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ქ. გ-ის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# სასამართლო სარჩევის გადახდის გადავადება და მათი ოდენობის შემცირება

## განხილვა

№ას-234-221-2015

27 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ.ძლიერიშვილი(თავმჯდომარე, მომხსენებული),  
ბ. ალავიძე,  
ნ. ბაქაქური

**დავის საგანი:** ხელშეკრულების შეწყვეტა, თანხის დაკისრება, იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია

### აღწერილობითი ნაწილი:

შპს მ. ო. „რ. ე-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში რ. თ-ის მიმართ 2012 წლის 25 მაისს მხარეთა შორის დადებული საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების №.... ხელშეკრულების შეწყვეტის, 24240 აშშ დოლარის ანაზღაურებისა და იპოთეკით დატვირთული ქ.ქუთაისში, კ. გ-ს მე-12 შესახვევში მდებარე მოპასუხის კუთვნილი №3 უძრავი ქონების რეალიზაციის შესახებ.

მოსარჩელემ განმარტა, რომ მხარეთა შორის დაიდო საკრედიტო პროდუქტებით მომსახურებისა და იპოთეკის ხელშეკრულებები. მოსარჩელემ მოპასუხეს კრედიტის სახით გადასცა 20 000 აშშ დოლარი 35 თვით წლიური 24%-ის დარიცხვით. პირგა-სამტებლო განისაზღვრა ვადაგადაცილებული დღისათვის 0,5%-ის იდენტიურით. რ. თ-ეს მხარეთა შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები ჯეროვნად არ შეუსრულებია.

მოპასუხებ სარჩელი ნაწილობრივ, ძირითადი თანხის – 20 000 აშშ დოლარისა და სარგებლის – 840 აშშ დოლარის ნაწილში ცნო.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, რ. თ-ეს დაეკისრა შპს მ. ო. „რ. ე-ის“ სასარგებლოდ სესხის ძირითადი თანხის – 20000 აშშ დოლარის, პროცენტის – 840 აშშ დოლარისა და პირგასამტებლოს – 500 აშშ დოლარის გადახდა, შეწყდა რ. თ-ეს და შპს მ. ო. „რ. ე-ს“ შორის 2012 წლის 25 მაისს დადებული საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების №.... ხე-

ლშეკრულება, ასევე 2014 წლის 28 იანვარს დადებული №....-01 საკრედიტო ხელშეკრულება, დავალიანების დაფარვის მიზნით სარეალიზაციოდ მიექცა იპოთეკით დატვირთული, რ. თ-ის სახ-ელზე რიცხული უძრავი ქონება ქ. ქუთაისში, კ. გ-ას ქუჩის XII შესახვევის №3-ში (ყოფილი ნ-ის ქ. თ შეს. №3), ნაკვ 1-1; ს/კ:....., დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლო-ბის გამო.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკ-მაყოფილების ნაწილში მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წეს-ით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 იანვრის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2014 წლის 8 დე-კემბრის განჩინებით აპელანტ რ. თ-ეს დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა, განჩინების ასლის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში სახ-ელმწიფო ბაჟის – 1621 ლარის გადახდა და გადახდის დამადას-ტურებელი დოკუმენტის სააპელაციო პალატისთვის წარდგე-ნა. აპელანტს განემარტა, რომ თუ სასამართლოს მიერ დანიშ-ნულ ვადაში არ შეავსებდა ხარვეზს, სასამართლო გამოიტანდა განჩინებას სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 8 დეკემბ-რის განჩინება 2014 წლის 12 დეკემბერს აპელანტს პირადად ჩაბარდა. 2014 წლის 22 დეკემბერს რ. თ-ემ განცხადებით მიმა-რთა სააპელაციო სასამართლოს, მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება და მიუთითა, რომ მითითებული ოდენო-ბით სახელმწიფო ბაჟის გადახდა მისთვის შეუძლებელია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 30 დეკემბ-რის განჩინებით რ. თ-ის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, აპელანტს გაუგრძელდა ხარვეზის შესავსებად განსაზღვრული ვადა 10 დღით. ამავე განჩინებით აპელანტს განემარტა, რომ თუ სასა-მართლოს მიერ დანიშნულ ვადაში არ შეავსებდა ხარვეზს, სასა-მართლო გამოიტანდა განჩინებას სააპელაციო საჩივრის განუხ-ილველად დატოვების შესახებ.

ხარვეზის ვადის გაგრძელების შესახებ განჩინება აპელანტს 2015 წლის 6 იანვარს პირადად ჩაბარდა.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილით, 74-ე მუხლით და მიუთითა, რომ ხარვეზის გაგრძელების შესახებ საა-

პელაციო პალატის განჩინების ასლი აპელანტს ჩაბარდა კანონით დადგენილი წესით, 2015 წლის 6 იანვარს, შესაბამისად, ხარვეზის შევსების 10-დღიანი ვადა აპელანტს ენურებოდა 2015 წლის 16 იანვარს, 24:00 საათზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილების, 368-ე, 374-ე, 59-ე, 63-ე მუხლების თანახმად სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში აპელანტს ხარვეზი არ შევსებულა და არც ხარვეზის შესავსებად დანიშნული ვადის გავრძელების შესახებ შეამდგომლობით სასამართლოსთვის არ მიუმართავს. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ რ. თ-ის სააპელაციო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე რ. თ-ემ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის სააპელაციო საჩივრის განსახილველად შემდეგი საფუძვლებით:

კერძო საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ მან „რ. ე-ს“ 2012 წლის 25 მაისის სესხის ხელშეკრულების საფუძვლებზე გადაუხადა პროცენტის სახით 20 000 აშშ დოლარზე მეტი, რაც სესხის ძირითად თანხას გაუტოლდა და გადააჭარბა კიდეც. არსებული ფულადი დავალიანების დასაფარად რ. თ-ე ყოველთვიურად იხდიდა 758 აშშ დოლარს, რის გამოც იყო მძიმე მატერიალურ მდგომარეობის აღმოჩნდა.

მხარემ აღნიშნა, რომ სააპელაციო საჩივრის შეტანისას იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე სახელმწიფო ბაჟის გადავადების შესახებ, აგრეთვე მიუთითა, რომ განჩინებაში მითითებული ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდა მისთვის ფაქტობრივად შეუძლებელი იყო და ხარვეზის დადგინის შემდეგ კვლავ იშუამდგომლა თანხის გადახდის გადავადების თაობაზე. 2014 წლის 30 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო სასამართლომ რ. თ-ეს გაუგრძელა ხარვეზის შევსების ვადა 10 დღით, თუმცა 10 დღეში აპელანტის ფიხანსური მდგომარეობა არ შეცვლილა და მან მაინც ვერ შეძლო აღნიშნულ დროშიც ხარვეზის გამოსწორება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ რ. თ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაემაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კი დარჩეს უცვლელად შემდეგ გარე-

**მოებათა გამო:**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ ნორმის მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

დასახელებული ნორმიდან გამომდინარებს, რომ სააპელაციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო განსაზღვრავს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომელიც ხარვეზის შესავსებად უნდა განხორციელდეს და საპროცესო ვადას, რომლის განმავლობაშიც აპელანტი ვალდებულია, შეასრულოს განჩინებაში დადგენილი მოქმედებები. სასამართლოს მიერ მითითებული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ კი სააპელაციო საჩივარი აღარ განიხილება და დარჩება განუხილველად.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ სააპელაციო პალატის 2014 წლის 8 დეკემბრის განჩინებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის საფუძველზე აპელანტ რ. თ-ეს დაუდგინა ხარვეზი და დაავალა 10 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის სახით 1621 ლარის გადახდა. ამავე კოდექსის 48-ე მუხლის საფუძველზე კი, სასამართლომ არ დააკავყოფილა მხარის მოთხოვნა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე, რადგან მხარეს არ ჰქონდა წარდგენილი სათანადო მტკიცებულებები.

რ. თ-ეს განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და იშუამდგომლა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების შესახებ იმ მიტივით, რომ მითითებული ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდა მისთვის შეუძლებელია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 30 დეკემბრის განჩინებით რ. თ-ის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე არ დაკავყოფილდა, აპელანტს გაუგრძელდა ხარვეზის შესავსებად განსაზღვრული ვადა 10 დღით და განემარტა, რომ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში სასამართლო გამოიტანდა განჩინებას სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

ხარვეზის ვადის გაგრძელების შესახებ სააპელაციო სასამართლოს განჩინება აპელანტს 2015 წლის 6 იანვარს პირადად ჩაბარდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვ-

ლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით კი, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ხარვეზის შევსების საპროცესო ვადის დენა დაიწყო 2015 წლის 7 იანვარს და ამონურა ამავე წლის 16 იანვარს, თუმცა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში აპელანტს სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზი არ შეუვსია და არც რაიმე შუამდგომლობით მისთვის არ მიუმართავს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული გარემოება წარმოადგენდა რ. თ-ის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების წინაპირობას.

დაუსაბუთებელია კერძო საჩივრის ავტორის პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლოს აპელანტის მძიმე მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით სახელმწიფო ბაჟის გადახდა უნდა გადაევადებინა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა ანდა შეამციროს მათი ოდენობა, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს.

ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლით გათვალისწინებული სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადების შესაძლებლობა არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს მხარის მიერ წარდგენილი უტყუარი მტკიცებულებების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე შეექმნება შინაგანი რწმენა მხარის მძიმე ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, კერძოდ, რომ მას მოცემულ ეტაპზე სახელმწიფო ბაჟის გადახდა არ შეუძლია.

განსახილველ შემთხვევაში აპელანტს თავისი შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე რაიმე

მტკიცებულებით არ დაუსაბუთებია, არამედ შემოიფარგლა იმაზე მითითებით, რომ მძიმე ეკონომიკურ მდგომაროებაში იმყოფება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული გარემოება კანონის მითითებული დანაწესის გამოყენებისა და მხარის შუამდგომლობის დაკმაყოფილების წინაპირობას არ წარმოადგენს, რის გამოც სააპელაციო პალატამ აპელანტს სახელმწიფო ბაჟის გადახდა საესებით სწორად არ გადაუვადა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, ხოლო წარმოდგენილ კერძო საჩივარს უარი უნდა ეთვას დაკმაყოფილებაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. რ. თ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 იანვრის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# სასამართლო სარჩევის გადახდის გადავადება და მათი ოდენობის შემცირება

## განჩინება

№ას-1181-1111-2015

4 იანვარი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ.ძლიერიშვილი(თავმჯდომარე, მომხსენებული),  
6. ბაქაქური,  
ბ. ალავიძე

დავის საგანი: უძრავ ქონებაზე თანამესაკუთრედ ცნობა

### აღნერილობითი ნაწილი:

1. გ. ნ-ებ სარჩელი აღძრა სასამართლოში დ. და ი. ი-ების მი-  
მართ და მოითხოვა ი. ი-ის სახელზე საკუთრების უფლებით  
რეგისტრირებული ქ.თბილიში, დ-ის მე-.. მ/რ-ის ..-ე კორპუსის  
(საკადასტრო კოდი: №..) 1/2 ნაწილზე მოპასუხე დ. ი-ის თან-  
ამესაკუთრედ ცნობა.

2. მოსარჩელემ განმარტა, რომ თბილისის საქალაქო სასა-  
მართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 10 მაისის  
გადაწყვეტილებით დ. ი-ს გ. ნ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 5 500  
აშშ დოლარის ეკივალენტის ლარის გადახდა. გადაწყვეტილებ-  
ის იძულებით აღსრულების მიზნით გაიცა სააღსრულებო ფურ-  
ცელი, თუმცა კანონიერ ძალაში გადაწყვეტილება ვერ აღსრულ-  
და იმის გამო, რომ მოპასუხის სახელზე საკუთრების უფლებით  
უძრავი ქონება არ ირიცხება.

3. მხარის მითითებით, დ. და ი. ი-ები იმყოფებოდნენ რეგის-  
ტრირებულ ქორწინებაში და თანაცხოვრების პერიოდში შეი-  
ძინეს უძრავი ქონება, რომელიც ი. ი-ის სახელზე ირიცხება.

4. მოპასუხებმა სარჩელი არ ცნეს და აღნიშნეს, რომ ი. ი-ის  
სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრირებული უძრავი  
ქონება წარმოადგენს მის ინდივიდუალურ საკუთრებას.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 18 ნოემ-  
ბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მო-  
სარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-  
თა პალატის 2015 წლის 18 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო  
საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

7. სააპელაციო სასამართლოს დაადგინა, რომ 2015 წლის 17

სექტემბრის განჩინებით აპელანტ გ. ნ-ის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი, აპელანტს მის შესავსებად განესაზღვრა 10 დღე განჩინების ასლის გადაცემის მომენტიდან და დაევალა სახელმწიფო ბაჟის სახით 220 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედნის წარდგენა.

8. 2015 წლის 1 ოქტომბერს სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა აპელანტის წარმომადგენელმა ლ. კ-ემ და მოითხოვა ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელება დამატებით 10 დღით იმ საფუძვლით, რომ მისი მარწმუნებელი პენსიონერი და უმუშევარია, ამიტომ განჩინებით დადგენილ ვადაში ვერ ახერხებს ხარვეზის შევსებას.

9. სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით გ. ნ-ეს გაუგრძელდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 სექტემბრის განჩინებაში მითითებული ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადა 10 დღით ამ განჩინების ჩაბარებიდან.

10. 2015 წლის 28 ოქტომბერს სააპელაციო სასამართლოს კვლავ განცხადებით მიმართა აპელანტის წარმომადგენელმა ლ. კ-ემ, წარმოადგინა ცნობა სისპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან, რომლითაც დასტურდება რომ აპელანტი აღრიცხვაზე იმყოფება ვაკე-საბურთალოს სოციალური მომსახურების ცენტრში და ერიცხვება პენსია თვეში 160 ლარის ოდენბით. განმცხადებელმა მოითხოვა ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელება 10 დღით, რადგან ამ პერიოდში აპელანტი შეძლებს შესაბამისი თანხების მოძიებას და სახელმწიფო ბაჟის გადახდას.

11. სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით აპელანტ გ. ნ-ეს კვლავ გაუგრძელდა ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადა დამატებით 5 დღით ამ განჩინების ჩაბარებიდან.

12. 2015 წლის 19 ნოემბერს ლ. კ-ემ კვლავ განცხადებით მიმართა სააპელაციო პალატას, რომელსაც დაურთო სახელმწიფო ბაჟის სახით 100 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედანი და მოითხოვა დარჩენილი თანხის გადახდის გადავადება ან ხარვეზის შევსების ვადის კვლავ გაგრძელება.

13. წარმოადგენილი განცხადების შესწავლის შედეგად სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გ. ნ-ის წარმომადგენელ ლ. კ-ის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის ოდენბის გადავადების თაობაზე უნდა დარჩეს განუხილველად, ხოლო შუამდგომლო-

ბა საპროცესო ვადის გაგრძელების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს. შესაბამისად, სააპელაციო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად.

14. სააპელაციო პალატის 2015 წლის 17 სექტემბრის განჩინებით აპელანტ გ. ნ-ის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. ამდენად, სასამართლომ უკვე იმსჯელა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების შუამდგომლობაზე. შესაბამისად, იდენტური საფუძვლით იმავე შუამდგომლობის განმეორებით განხილვის პროცესუალური წინაპირობა არ არსებობს.

15. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეშვიდე ნაწილი არ ავალდებულებს სასამართლოს, ყველა შემთხვევაში მხარის მოთხოვნის საფუძველზე გააგრძელოს საპროცესო ვადა. ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა დამოკიდებულია შუამდგომლობის დასაბუთებულობაზე. ამავე კოდექსის 215-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული.

16. კონკრეტულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ მიზანშენილად არ მიიჩნია გ. ნ-ისათვის საპროცესო ვადის კვლავ გაგრძელება, ვინაიდან ამ უკანასკნელს არაერთხელ გაუგრძელდა ხარვეზის შევსებისათვის დადგენილი ვადა. ამასთან, აპელანტის მიერ მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითება, რომ მხარე პენსიონერია და ითხოვს ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადის გაგრძელებას სახელმწიფო ბაჟის გადახდის მიზნით, ვერ განიხილება სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის შესავსებად განსაზღვრული ვადის გაგრძელების დასაბუთებულ მოთხოვნად, ვინაიდან სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული ემსახურება საქმის განხილვის გაჭიანურებას, რითაც მეორე მხარის ინტერესები ილახება.

17. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გ. ნ-ემ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზი არ გამოასწორა, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მესუთე ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

18. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე გ. ნ-ემ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლებით:

19. კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ ორჯერ გაუგრძელა მხარეს ხარვეზის შევსები-

სათვის განსაზღვრული ვადა, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია იმ ფაქტს, რომ აპელანტმა გადაიხადა სახელმწიფო ბაჟის ნაწილი და საპელაციო პალატამ აღარ იმსჯელა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების შესახებ.

20. მხარის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისად, აპელანტს არ გააჩნდა სხვა შემოსავალი პენსიის გარდა, არის ხანდაზმული და მხოლოდ ნაწილ-ნაწილ შეეძლო სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

21. საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. ნ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კი დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

22. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ ნორმის მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

23. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო განსაზღვრავს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომელიც ხარვეზის შესავსებად უნდა განხორციელდეს და საპროცესო ვადას, რომლის განმავლობაშიც აპელანტი ვალდებულია, შეასრულოს განჩინებაში დადგენილი მოქმედებები. სასამართლოს მიერ მითითებული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ კი სააპელაციო საჩივარი აღარ განიხილება და დარჩება განუხილველად.

24. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ სააპელაციო პალატამ 2015 წლის 17 სექტემბრის განჩინებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის საფუძველზე აპელანტ გ. ნ-ეს დაუდგინა ხარვეზი და დაავალა 10 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის სახით 220 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა. ამავე კოდექსის 48-ე მუხლის საფუძველზე კი, სასამართლომ არ დააკმაყოფილა მხარის მოთხოვნა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე, რადგან მხარეს არ ჰქონდა წარდგენილი სათანადო მტკიცებულებები.

25. გ. ნ-ემ არაერთხელ მიმართა სააპელაციო პალატას

ხარვეზის გამოსასწორებლად მიცემული საპროცესო ვადის გაგრძელების მოთხოვნით, რის საფუძველზეც სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 12 და 30 ოქტომბრის განჩინებით მხარეს სახელნმიფო ბაჟის გადასახდელად დამატებით ჯერ 10, ხოლო შემდეგ კიდევ 5 დღე მიეცა.

26. საქმის მასალებიდან უდავოდ დასტურდება, რომ აპელ-ანგრძა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში გადაიხადა მხოლოდ 100 ლარი და კვლავ იშუამდგომლა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების შესახებ იმ მოტივით, რომ მხარე ხანდაზმული პიროვნებაა და პენსიის გარდა სხვა შემოსავალი არ გააჩნია.

27. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ აპელანგრძა სასამართლო განჩინებით განსაზღვრული საპროცესო მოქმედება სრულად არ განახორციელა, სახელმწიფო ბაჟი სრულად არ გადაიხადა, რისთვისაც სავსებით გონივრული ვადა ჰქონდა დადგენილი (10-10 დღე და შემდეგ 5 დღე), შესაბამისად, აღნიშნული საპროცესო ვადის კიდევ ერთხელ გაგრძელება გამოიწვევდა საქმის განხილვის გაჭიანურებას, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც მხარეს არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება და არ მიუთითებია ისეთ გარემოებაზე, რომელიც საპროცესო ვადის გაგრძელების წინაპირობა გახდებოდა.

28. დაუსაბუთებელია კერძო საჩივრის ავტორის პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლომ არ გაითვალისწინა აპელანგრძის მძიმე მატერიალური მდგომარეობა და ის ფაქტი, რომ მან სახელმწიფო ბაჟი ნაწილობრივ გადაიხადა, რის გამო სახელმწიფო ბაჟის გადახდა უნდა გადაევადებინა.

29. უპირველესად საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო პალატამ ერთხელ უკვე იმსჯელა მხარის შუამდგომლობაზე სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების შესახებ და არ დააკმაყოფილა აპელანგრძი მოთხოვნა.

30. კერძო საჩივრის პასუხად საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა ანდა შეამციროს მათი ოდენობა, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს.

31. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლით გათვალისწინებული სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადების შესაძლებლობა არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევა-

ში, თუ სასამართლოს მხარის მიერ წარდგენილი უტყუარი მტკიცებულებების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე შეექმნება შინაგანი რწმენა მხარის მძიმე ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, კერძოდ, რომ მას მოცემულ ეტაპზე სახელმწიფო ბაჟის გადახდა არ შეუძლია.

32. განსახილველ შემთხვევაში აპელანტს თავისი შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე რაიმე მტკიცებულებით არ დაუსაბუთებია, არამედ შემოიფარგლა იმაზე მითითებით, რომ პენსიონერი და ხანდაზმული პიროვნებაა.

33. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული გარემოება კანონის მითითებული დანაწესის გამოყენებისა და მხარის შუამდგომლობის დაკმაყოფილების ნინაპირობას არ წარმოადგენს, რის გამოც სააპელაციო პალატამ აპელანტს სახელმწიფო ბაჟის გადახდა სავსებით სწორად არ გადაუვადა.

34. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

35. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, ხოლო წარმოდგენილ კერძო საჩივარს უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. გ. ნ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2015 წლის 18 ნოემბრის განჩინება დარჩეს უცვ-

ლელად.

3. სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საპოლოოა და არ გასა-  
ჩივრდება.

## საპროცესო უფლებამონაცვლეობა

### განრიცხვა

№ას-877-827-2015

12 ნოემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ოოდუა (თავმჯდომარე),  
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** უფლებამონაცვლედ ცნობა და ახალი  
სააღსრულებო ფურცლის გაცემა

#### აღწერილობითი ნაწილი:

- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-  
თა პალატის 2007 წლის 17 სექტემბრის განჩინებით მხარეთა  
შუამდგომლობა მორიგების აქტის დამტკიცებისა და საქმისწარ-  
მოების შეწყვეტის შესახებ დაკამყოფილდა, დამტკიცდა მორი-  
გების აქტი კ. ბ-ს (შემდეგში – მოსარჩელე ან კერძო საჩივრის  
ავტორი) და შპს „ო-ას“ (შემდეგში – პოლიკლინიკა), ასევე შპს  
„ო-ოს“ (შემდეგში – საავადმყოფო) შორის შემდეგი პირობებით:  
1) მხარეთა შორის წარმოშობილი დავა სამსახურში აღდგენისა  
და განაცდურის ანაზღაურების დაკისრების შესახებ უნდა მოწ-  
ერიგებულიყო ურთიერთდაინტერესების გათვალისწინებით;
- მოსარჩელემ უარი განაცხადა მოპასუხისათვის განაცდურის  
ანაზღაურების დაკისრებაზე; 3) მოპასუხებმა: პოლიკლინიკამ  
და საავადმყოფომ თანხმობა განაცხადეს მოსარჩელის სამსახ-  
ურში აღდგენაზე 2001 წლის 1 იანვრიდან; 4) სამსახურში აღდ-  
გენისას, მოსარჩელეს უნდა გაევლო რეაბილიტაციის კურსი; 5)  
მოსარჩელის სამსახურში აღდგენის თარიღად უნდა მიჩნეული-  
ყო მისი სამსახურიდან დათხოვნის თარიღი, რეაბილიტაციის  
ინსტიტუტიდან გამომდინარე, შესაბამისად, მისი სამსახური-  
დან დათხოვნის დრო უნდა შესულიყო მის შრომის სტაჟში; 6)

მოსარჩელემ უარი განაცხადა განაცდური ხელფასის ანაზღაურებაზე მორიგების აქტის მე-5 პუნქტის ვადის პერიოდისათვის.

2. პირველ პუნქტში მითითებული მორიგების აქტის დამტკიცების გამო, ო. რაიონული სასამართლოს 2007 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება გაუქმდა და შეწყდა საქმისნარმოება, კ. ბ-ის სარჩელის გამო, მოპასუხების – პოლიკლინიკისა და საავადმყოფოს მიმართ.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 17 სექტემბრის განჩინება შესულია კანონერ ძალაში.

4. 2015 წლის 17 ივნისს, სააპელაციო სასამართლოში მოსარჩელემ წარადგინა განცხადება, რომელშიც მიუთითა, რომ, მართალია, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით იგი აღადგინეს სამსახურში, მაგრამ ამ გადაწყვეტილების აღსრულება ვერ ხერხდება, ვინაიდან სამსახურმა რეორგანიზაცია განიცადა, კერძოდ, აღარ არსებობს საწარმოები – პოლიკლინიკა და საავადმყოფო. ეს ორი საწარმო ამჟამად იწოდება შპს „რ-ი“ ო. რ-ოდ, რომლის საიდენტიფიკაციო კოდია ... მოსარჩელემ, სწორედ, ამ უკანასკნელის უფლებამონაცვლედ პოლიკლინიკისა და საავადმყოფოს დადგენა და ახალი სააღსრულებო ფურცლის გაცემა მოითხოვა.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 8 ივლისის განჩინებით მოსარჩელეს დაევალა, ხარვეზის შევსების მიზნით, სასამართლოსათვის წარედგინა მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ ჩატარდა საწარმოების: პოლიკლინიკისა და საავადმყოფოს რეორგანიზაცია და ეს ორი საწარმო, ამჟამად იწოდება შპს „რ-ი“ ო. რ-ოდ, რომლის საიდენტიფიკაციო კოდია ...

6. 2015 წლის 31 ივლისს მოსარჩელემ, ხარვეზის შევსების მიზნით, სასამართლოში წარადგინა შემდეგი დოკუმენტები: 1) ამონაწერი სამენარმეო რეესტრიდან შპს „ტ-ოს“ მიმართ 20.07.2015 წლის მდგომარეობით; 2) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 18.12.2014 წლის გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ; 3) სსიპ საწარმოთა მართვის სააგენტოს 09.03.2012 წლის წერილი; 4) სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 13.07.2015 წლის ბრძანება შპს „ხ-ის“ კაპიტალში ცვლილებების შეტანის შესახებ; 5) ამონაწერი სამენარმეო რეესტრიდან შპს „რ-ის“ მიმართ 13.07.2015 წლის ივლისის მონაცემებით; 6) შპს „რ-ის“ ო. საავადმყოფოს კლინიკური მენეჯერის – ა. ლ-ის 20.05.2015 წლის პასუხი წერილზე; 7) შპს „რ-ის“ დირექტორ ნ. ბ-ის 02.06.2015 წლის წერილი

აღმასრულებელ გ. დ-ის მიმართ; 8) ამონაწერი სამეწარმეო რე-ესტრიდან შპს „ტ-ოს“ მიმართ 12.03.2012 წლის მდგომარეობით; 9) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 22.12.2014 წლის ბრძანება; 10) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „რ-ის“ მიმართ 06.11.2014 წლის და 15.12.2014 წლის მდგომარეობით; 11) სსიპ საწარმოთა მარ-თვის სააგენტოს 20.02.2012 წლის ბრძანება.

7. ქუთაისის საპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2015 წლის 21 აგვისტოს განჩინებით მოსარჩელის განცხადება, ორი საწარმოს – პოლიკლინიკისა და საავადმყო-ფოს უფლებამონაცვლედ შპს „რ-ის“ ო. რ-ოს დადგენისა და ახ-ალი სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე არ დაკმაყო-ფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

7.1. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ პოლიკლინიკამ და საავადმყოფომ განიცადა რეორგანიზაცია და ორივე სა-წარმო შეერწყა შპს ტ-ოს, რაც დასტურდება სამეწარმეო რე-ესტრიდან 2015 წლის 20 ივლისის ამონაწერით.

7.2. სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდ-გენილი დოკუმენტებით, სამეწარმეო რეესტრიდან შპს „რ-ის“ მიმართ 13.07.2015 წლის ამონაწერით ირკვევა, რომ შპს „რ-ი“ ო. რ-ოს შეერწყა შპს „რ-ი“, მაგრამ ამ დოკუმენტით არ დგინდება, რომ შპს „რ-ს“ შეერწყა ან შპს „ტ-ო ან/და შპს „ო-ო“ და შპს „ო-ა“.

7.3. სააპელაციო სასამართლომ უდავოდ დადგენილად მიიჩ-ნია, რომ შპს „ტ-ო“, რომელსაც შეერწყა პოლიკლინიკა და საა-ვადმყოფო, დღემდე არსებობს და ფუნქციონირებს და არ მო-მხდარა მისი ლიკვიდაცია ან/და რეორგანიზაცია ანუ უდავოა, რომ შპს „ტ-ო“, წარმოადგენს პოლიკლინიკისა და საავადმყო-ფოს უფლებამონაცვლეს და არა შპს „რ-ის“ ო. საავადმყოფო, რომელზეც უთითებს მოსარჩელე.

8. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩ-ნია, რომ არ არსებობდა საფუძველი, შპს „რ-ი“ მიჩნეულიყო პოლიკლინიკისა და საავადმყოფოს უფლებამონაცვლედ.

9. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, აღმასრულებელ გ. დ-სადმი შპს „რ-ის“ დირექტორ ნ. ბ-ის 02.06.2015 წლის წერი-ლის საფუძველზე დგინდება, რომ 2012 წელს პოლიკლინიკა და საავადმყოფო შეერწყა შპს ტ-ოს. აღნიშნული შპს დღემდე მო-ქმედი საწარმოა და მას კავშირი არ აქვს შპს „რ-თან“. იმავდროუ-ლად მნიშვნელოვანია, რომ რეესტრის მონაცემებით, საავად-მყოფოს შესახებ სტატუსში მითითებულია – ლიკვიდირებული.

ლიკვიდაცია არის იურიდიული პირის არსებობის შეწყვეტა, რომლის შედეგად მისი უფლებები და მოვალეობები არ გადადის სამართალმემკვიდრეობის წესით სხვა პირზე. ამავე წერილში აღნიშნულია, რომ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 ნოემბრის №2093 განკარგულების შესაბამისად, შპს „რ-მა“ გამოისყიდა შპს „რ-ის“ 100 % ნილი, რომელიც ფირმირებული იყო მესტიის, ონის, ცაგერისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებში მოქმედი შესაბამისი სამედიცინო ცენტრების ინფრასტრუქტურის საფუძველზე. აღნიშნული შპს შეიქმნა 2014 წლის 15 აგვისტოს და მის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ა-ი“.

10. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ უდავოდ დაადგინა, რომ შპს ტ-ო, რომელსაც შეერწყა პოლიკლინიკა და საავადმყოფო, დღემდე არსებობს, არ მომხდარა მისი ლიკვიდაცია ან/და რეორგანიზაცია. შპს „ტ-ო“ წარმოადგენს პოლიკლინიკისა და საავადმყოფოს უფლებამონაცვლეს და არა შპს „რ-ის“ ო. რ-ო. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის განცხადება, შპს „რ-ის“ ო. რ-ოს ორი საარმოს – პოლიკლინიკისა და საავადმყოფოს უფლებამონაცვლედ დადგენისა და ახალი სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

11. სასამართლომ განჩინების სამართლებრივი დასაბუთებისას იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში – სსსკ) 92-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაილებით, ასევე, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლით.

12. განმცხადებელმა კერძო საჩივრით გაასაჩივრა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 21 აგვისტოს განჩინება და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგ გარემოებათა გამო:

12.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 17 სექტემბრის განჩინებით კერძო საჩივრის ავტორსა და ორ საწარმოს – პოლიკლინიკასა და საავადმყოფოს შორის მორიგების აქტი გაფორმდა, რაც დღემდე შეუსრულებელია იმ მოტივით, რომ საარმოებმა განიცადა რეორგანიზაცია და აღარ არსებობს, მაგრამ მათ მაგივრად ფუნქციონირებს უფლებამონაცვლე ორგანიზაცია, კერძოდ, შპს „რ-ი“ (საინდენტიფიკაციო № ...).

12.2. მიუხედავად წარდგენილი დოკუმენტაციისა, უფლებამონაცვლებასთან დაკავშირებით მისი მოთხოვნა სასამართლომ არ დაკმაყოფილა, რაც არასწორია.

13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქ-

მეთა პალატამ 2015 წლის 21 სექტემბრის განჩინებით მოსარჩელის კერძო საჩივარი მიიღო წარმოებაში განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

14. სსსკ-ის 420-ე მუხლის მიხედვით, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლიოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი ან სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

15. სსსკ-ის 407.2 მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულო საკასაციო სასამართლისათვის, თუ წარმყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტების ანალიზის შედეგად მიიჩნევს, რომ მას დასაბუთებული საკასაციო შედავება არ წარმოუდგენია.

16. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ უსაფუძვლოდ უთხრა უარი, ამავე სასამართლოს 2007 წლის 17 სექტემბრის განჩინების აღსრულების მიზნით, უფლებამონაცვლედ დადგენისა და სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე, შეძეგ გარემოებათა გამო:

17. სსსკ-ის 92-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სადაც ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა და სხვა), სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. უფლებამონაცვლებობა შესაძლებელია პროცესის ყოველსტადიაზე.

18. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად, სააღსრულებო ფურცელი შეიძლება გაცემულ იქნეს გადაწყვეტილებაში დასახელებული

კრედიტორის უფლებამონაცვლე პირის სასარგებლოდ ან მოვალის უფლებამონაცვლე პირის საწინააღმდეგოდ, თუ უფლებამონაცვლეობა ნათელია ან ამის დამადასტურებელი დოკუმენტი შეადგინა სათანადოდ უფლებამოსილმა ორგანომ ან დაამოწმა ნოტარიუსმა. თუ საჭირო დადასტურება ვერ ხერხდება სათანადოდ უფლებამოსილი ორგანოს მიერ შედგენილი ან ნოტარიუსის მიერ დამოწმებული დოკუმენტის სამუალებით, მაშინ კრედიტორმა ან მისმა უფლებამონაცვლე პირმა უფლებამონაცვლეობის დადგენისა და სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე უნდა მიმართოს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს.

19. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივად სწორად შეაფასა ისინი (იხ. ამ განჩინების – 7-10 პუნქტები), სსსკ-ის 92-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის საფუძველზე, ვინაიდან უტყუარადაა დადგენილი, რომ ორი საწარმოს – პოლიკლინიკისა და საავადმყოფოს უფლებამონაცვლეს წარმოადგენს შპს „ტ-ო“ და არა შპს „რ-ის“ ო. რ-ო, შესაბამისად, არ არსებობს უფლებამონაცვლედ დადგენისა და ახალი სააღსრულებო ფურცლის გაცემის სამართლებრივი საფუძველი.

20. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასაბუთებულია სააპელაციო სასამართლოს განჩინება მოსარჩელის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, ვინაიდან სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა, რაც გასაჩირებული განჩინების უცვლელად დატოვებისა და კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. კ. ბ-ის კერძო საჩივარი, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 21 აგვისტოს განჩინებაზე, არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს

სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 21 აგვისტოს განჩინება;

3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## მტკიცებულებათა შეფასება

### განჩინება

№ას-1068-1021-2014

2 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი,  
გ. ქათამაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღნერილობითი ნაწილი:

1. სასარჩელო მოთხოვნა:

შპს „ა. ჯ-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში ა. რ. კ-ის მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის უსაფუძვლოდ მიღებული თანხის – 371 000 ლარის, ამ თანხით სარგებლობის შედეგად მიღებული შემოსავლის – 105 690 ლარისა და ვალდებულების შესრულებამდე ყოველდღიურად ზიანის – დასაბრუნებელი თანხის 0,1%-ის დაკისრება.

2. მოპასუხის პოზიცია:

მოპასუხებული არ ცნო უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის გამო და მის დაკიმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

3. შეგებებული სარჩელის ავტორის მოთხოვნა:

ა. რ. კ-მა შეგებებული სარჩელით მოითხოვა შპს „ა. ჯ-ისათვის“ სხვადასხვა დროს უპროცენტო სესხად გადაცემული თანხის – 26 257,5 ევროს დაკისრება

4. მოპასუხის პოზიცია შეგებებული სარჩელის მოთხოვნაზე:

შპს „ა. ჯ-მა“ უარყო მხარეთა შორის სესხის სამართლებრივი ურთიერთობა და აღნიშნა, რომ ჩარიცხული თანხები მას და შპს „ა. ფ-ს“ შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში თხილის ბიზნესის წარმოების თანხებს წარმოადგენდა,

შესაბამისად, ითხოვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

### **5. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილებით შპს „ა. ჯ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ა. რ. კ-ს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 251 000 ლარისა და 26 370 ლარის გადახდა, სხვა ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა, მასვე უარი ეთქვა ნარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურებაზე. ამავე გადაწყვეტილებით ა. რ. კ-ის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

### **6. აპელანტების მოთხოვნა:**

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა, შპს „ა. ჯ-მა“ მოითხოვა გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და მოპასუხისათვის დამატებით 105 690 ლარის დაესრება, ხოლო ა. რ. კ-მა – შპს „ა. ჯ-ის“ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ხოლო შეგებებული სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

### **7. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით შპს „ა. ჯ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ა. რ. კ-ს შპს „ა. ჯ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა ძირითადი თანხის – 251 000 ლარისა და ზიანის – 62 750 ლარის გადახდა, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა. ა. რ. კ-ის შეგებებული სარჩელი ასევე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და შპს „ა. ჯ-ს“ ა. რ. კ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 26 257,5 ევროს გადახდა.

### **7.1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

7.1.1. პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 2011 წლის 6 ივნისს შვეიცარიაში რეგისტრირებულ იქნა შპს „ა. ფ-ი“, რომლის 50% წილის მფლობელია ა. რ. კ-ი, ხოლო 50%-ისა ა. ტ-ა.

7.1.2. 2009 წელს ქ.ქუთაისში რეგისტრირებულ იქნა შპს „ა. გ-ია“. საწარმოს 80% წილის მესაკუთრე ა. რ. კ-ი, ხოლო 20%-ისა გ. კ-ია გახდა.

7.1.3. 2011 წლის 26 იანვარს დაფუძნდა „შ-კ-ი“, რომლის 89% წილის მესაკუთრე ა. რ. კ-ი, ხოლო 11%-ისა – ა. ტ-ა გახდნენ,

დაფუძნებული საწარმოს დირექტორი იყო დ. ს-ე.

7.1.4. საქმეში წარმოდგენილი ა. რ. კ-ის, ბ. ვ-ას, დ. კ-ისა და დ. ს-ის დაკითხვის ოქმების საფუძველზე პალატამ დაადგინა, რომ 2011 წლის შპს „ა. ჯ-ის“ ანგარიშიდან ა. რ. კ-ის დავალებით გამოტანილი იქნა 251 000 ლარი და ეს თანხა შეტანილი იქნა მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ს. კ-ის“ ანგარიშზე მისი პარტნიორების: ა. რ. კ-ისა და ა. ტ-ას შენატანების სახით.

7.1.5. საქმეში წარმოდგენილი ა. რ. კ-ის მიერ 2013 წლის 24 სექტემბერს გაცემული ცნობის თანახმად, ა. კ-ი ადასტურებდა, რომ 2011 წლის 22 თებერვალს, „ა. ჯ-ის“ დირექტორმა ბ. ვ-ამ მის ძმიშვილს – დ. კ-ს გადასცა 251 000 ლარი, რომლიდან 250 000 ლარი იმ დღესვე შეტანილი იქნა „ს. კ-ში“ საწესდებო კაპიტალის შესავსებად.

7.1.6. გაზიარებულ იქნა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა, რომ საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკაცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ შპს „ა. ჯ-ის“ ანგარიშზე არსებული თანხები რეალურად შპს „ა. გ-იას“ კუთვნილ თანხას და პროდუქციის ღირებულების ნაწილს წარმოადგენდა, რომელიც 2011 წლის დასაწყისიდან შპს „ა. ჯ-ში“ იქნა გადატანილი. საქმეში წარმოდგენილი ამონაწერი „პ. ბ-იდან“ ასახავდა თანხების მოძრაობას შპს „ა. ჯ-ში“ და შპს „ა. გ-იადან“ თანხის გადახდა არ ფიქსირდებოდა. ასეთი გარემოება არც შპს „ა. გ-იას“ საბანკო ამონაწერით და არც სს „.... ბ-ის“ მიერ გაცემული ცნობით არ ფგინდებოდა. ამდენად, დაუსაბუთებელი იყო ა. რ. კ-ის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ თანხები, რომლებიც მას შპს „ა. ჯ-ისაგან“ გადაეცა, იყო მისი დაფუძნებული საწარმოს – „ა. გ-იას“ კუთვნილი, რომელიც მას შპს „ა. ჯ-თან“ ერთობლივი საქმიანობიდან გამომდინარე ეკუთვნოდა. პალატამ, გარდა მტკიცებულებათა არარსებობისა, მიუთითა იმ გარემოებაზეც, რომ „ა. გ-ია“ არ იყო იმ საწარმოს დამფუძნებელი (იგულისხმება „ს. კ-ი“), რომლის საწესდებო კაპიტალის შევსებასაც მოხმარდა 250 000 ლარი. არანაირი ხეირი (სამართლებრივი თუ ფინანსური) სადაცო თანხიდან შპს „ა. გ-იას“ არ მიუღია და არც დავაუნარმოებია ამ თანხებთან დაკავშირებით, გამომდინარე აღნიშნულიდან, სრულიად დაუდასტურებელი იყო მოპასუხის პოზიცია სადაცო თანხების „ა. გ-იას-ადმი“ კუთვნილების შესახებ.

7.1.7. სასამართლომ ასევე დაუსაბუთებლად მიიჩნია შპს „ა. ჯ-ის“ მიერ 26 370 ლარის ა. რ. კ-ისათვის გადაცემის ფაქტი, რადგანაც დ. კ-ის დაკითხვის ოქმით ირკვეოდა, რომ დ. ს-ემ მას უარი უთხრა 40 000 ლარის უცხო პირზე გადაცემასთან დაკავ-

შირებით, „ამიტომ მე ავიღებ თანხას თვითონ და გადავცემ თანხას ა-სო. მართლაც ასე მოიქცა და თანხა გადასცა ა. ვ-ას. ამის შემდეგ მე მალევე ვუთხარი ა. ვ-ას, რომ დაეფარა ეს თანხა. მართლაც ეს თანხა დას გადასცეს ბ. ვ-ამ და დ. კ-მა“. აღნიშნული თანხა დაუბრუნდა დ. ს-ეს, რომელმაც დაფარა ზემოთაღნიშნული სესხი 15 000 აშშ დოლარის ოდენობით. სესხის დაფარვის ფაქტი პალატამ დაამყარა ასევე დ.ს-ის 2013 წლის 23 აპრილის მოწმედ დაკითხვის ოქმს, შესაბამისად, გამოირიცხებოდა შპს „ა. ჯ-ის“ მიმართ ა. რ. კ-ის დავალიანების არსებობა 26 370 ლარის ოდენობით.

7.1.8. პალატის დასკვნით, ა. რ. კ-ის შეგებებული სარჩელი დასაბუთებული იყო, რადგანაც სს „ბ. რ-ს“ მიერ 2013 წლის 27 მაისს გაცემული ცნობის თანახმად, შპს „ა. ჯ-ის“ ანგარიშზე 2011 წლის 9 მარტიდან 2013 წლის 27 მაისის განმავლობაში ა. რ. კ-მა გადარიცხა 24 776 ევრო, სს „პ. ბ-ის“ მიერ გაცემული ცნობის თანახმად კი, შპს „ა. ჯ-ის“ ანგარიშზე 2010 წლის 19 ივნისიდან 2013 წლის 30 მაისამდე პერიოდში ...-სგან გადაირიცხა 1 481,5 ევრო.

7.1.9. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 316-ე და 317-ე მუხლების პირველი ნაწილებით და აღნიშნა, რომ რაიმე სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობა მხარეთა შორის არ დასტურდებოდა, სამოქალაქო კოდექსის 385-ე მუხლის, ასევე 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად კი, სახეზე იყო უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტი. სასამართლომ ასევე მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და იმ უდავო გარემოების გათვალისწინებით, რომ ა. კ-ის მიერ შპს „ა. ჯ-ის“ ანგარიშიდან 251 000 ლარის გამოტანილან სარჩელის ალდკრიმდე (2011 წლის 22 თებერვლიდან 2013 წლის 12 ოქტომბრამდე) 28 თვე იყო გასული, ა. რ. კ-ს შპს „ა. ჯ-ის“ სასარგებლოდ დააკისრა სადავო თანხის ყოველწლიური 10%-ის (სულ – 62 750 ლარი) გადახდა.

7.1.10. არ იქნა გაზიარებული შეგებებული სარჩელის ავტორის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ თანხები, რომელზედაც იგი ედავება შპს „ა. ჯ-ს“ მის მიერ შპს „ა. ჯ-ისათვის“ სესხად გადაცემული თანხა იყო, რადგანაც ამ გარემოების დამადასტურებელი წერილობით მტკიცებულება მას არ ნარუდგენია და არც მოწმის ჩვენებაზე მიუთითებია, თუმცა შპს „ა. ჯ-ი“ ამით პასუხისმგებლობისაგან არ თავისუფლდებოდა, რადგანაც ის ამ თანხებით უსაფუძვლოდ გამდიდრდა, საპირისპირო გარემოება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ამ უკანასკნელს არ დაუმტ-

კიცებია.

#### 8. კასატორების მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა, ა. რ. კ-მა მოითხოვა მისი შპს „ა. ჯ-ის“ სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების ნაწილში მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით შპს „ა. ჯ-ის“ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ხოლო შპს „ა. ჯ-მა“ – სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, ასევე შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში მისი გაუქმება და ა. რ. კ-ისათვის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ხოლო თავდაპირველი სარჩელის დაკმაყოფილება (26 370 ლარის მოწინააღმდეგე მხარისათვის დაკისრება).

##### 8.1. ა. რ. კ-ის საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

8.1.1. სააპელაციო პალატამ მხოლოდ ნაწილობრივ გამოასწორა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაშვებული უსწორობა და ძირითადი თანხის – 251 000 ლარის დაკისრების ნაწილში გააუარესა ა. რ. კ-ის მდგომარობა ამ თანხის ნლიური 10%-ის დაკისრებით. ძირითადი დარღვევა, რაც გაასაჩივრებული გადაწყვეტილებითაა დაშვებული, არის სასამართლოს დასკვნა, რომ 251 000 ლარის შპს „ა. გ-ისათვის“ კუთვნილება არ დასტურდებოდა საქმის მასალებით. შპს „ა. ჯ-სა“ და კასატორს შორის მართლაც არ არსებობს სამართლებრივი ურთიერთობა, თუმცა ეს ურთიერთობა რეალურად მოსარჩელესა და შპს „ა. გ-იას“ შორისაა და სადაც თანხაც სწორედ მას ეკუთვნოდა.

8.1.2. სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 976-ე-991-ე მუხლები და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის საწინააღმდეგოდ, მოწმეთა ჩვენები არ მიიჩნია საკმარისად ორ იურიდიულ პირს შორის ერთობლივი საქმიანობის არსებობის ფაქტის დადგენისათვის. მოცემულ შემთხვევაში, თანხა უსაფუძვლოდ არ აღმოჩენილა შპს „ს. კ-ის“ საწესდებო კაპიტალში, რადგანაც ეს იყო შპს „ა. გ-იას“ გენერალური დირექტორისა და საკონტროლო პაკეტის მფლობელი პირის გადაწყვეტილება, რომელიც ამ უკანასკნელსა და მოსარჩელეს შორის არსებული ერთობლივი საქმიანობის ფარგლებში განხორციელდა. შპს „ა. ჯ-ი“ სასარჩელო მოთხოვნას სამოქალაქო კოდექსის 385-ე, 976-ე, 979-ე და 981-ე მუხლებზე ამყარებდა, თუმცა თანხის გადაცემა დ. კ-ისათვის ვალდებულების საფუძველზე განხორციელდა. კასატორი და დ. კ-ი თვლიდნენ, რომ მოწინააღმდეგე მხარეს შპს „ა. გ-ისათვის“ დასაბრუნებელი ჰქონდა მითითებული თანხა. სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ ქვეპუნქტის შესა-

ბამისად კი, ამ თანხის უკან დაბრუნება გამორიცხულია. გასათვალისწინებელია, რომ 2011 წლის იანვარში შპს „ა. გ-ისაგან“ მოსარჩელემ აღურიცხავად მიიღო თანხა, რომელიც 2011 წლის 22 თებერვლამდე არ დაუბრუნებია. ეს თანხა ემსახურებოდა ბიზნესის დროებით გაერთიანებას. სწორედ ამიტომ დააბრუნა მოწინააღმდეგება მხარემ თანხა მოთხოვნისთანავე. ამგვარი ქმედება არ ეწინააღმდეგება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს, ხოლო სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლით განსაზღვრული ვალდებულების წარმოშობის არც ერთი საფუძველი მოსარჩელის მოთხოვნას არ გააჩნია. მითითებული გარემოებები ადასტურებს მოწინააღმდეგებებს მხარესა და შპს „ა. გ-იას“ შორის სამოქალაქო კოდექსის 930-ე-940-ე მუხლებით განსაზღვრული ურთიერთობის არსებობას, გარდა აღნიშნულისა, გასათვალისწინებელია ამავე კოდექსის 361-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულების არსებობა. ამ თვალსაზრისით სრულიად დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის დასკენები, რომ შპს „ა. გ-ია“ არ არის შპს „ს. კ-ის“ დამფუძნებელი და მას ამ ანგარიშსწორებით არავითარი სარგებელი არ მიუღია, რადგანაც, როგორც ერთი, ისე, მეორე საწარმოს დამფუძნებელი და საკონტროლო პაკეტის მფლობელი კასატორია.

8.1.3. მოსარჩელეს სარჩელში არ მიუთითებია, რომ 251 000 ლარის კასატორისათვის მიცემა მოხდა შეცდომით ან უზუსტობის გამო, სააპელაციო სასამართლოში მან დააზუსტა მოთხოვნის საფუძველი და განმარტა, რომ თანხის მოწინააღმდეგებები მხარისათვის გადაცემის საფუძველი ნდობა იყო, შემდეგ ისიც განმარტა, რომ შესაძლებელი იყო, ეს ყოფილი სესხი. ამ საკითხის დადგენა საკვანძო მნიშვნელობისაა, ხოლო სასამართლომ არ შეაფასა საქმეში წარმოდგენილი ფაქტების კონსტანტაციის მასალები, სადაც ა. ვ-ა განმარტავს, რომ ორგანიზაციის დაფუძნებისას გამოყენებული თანხა ერთობლივი საქმიანობის თანხა და სანაცვლოდ მიკროსაფინანსო ორგანიზაციას უნდა გადაეფირმებინა მისი წილი, რასაც „აუკიოტაჟი“ მოჰყვა, ასევე შეფასება არ მისცემია გაზირ „ეკონომიკურ პალიტრაში“ გამოქვეყნებული ა. ვ-ას ინტერვიუს.

8.1.4. კასატორმა სადავოდ მიჩნეული სასამართლოს დასკვნის საწინააღმდეგოდ, რომ შპს „ა. გ-იასა“ და მოსარჩელეს შორის ერთობლივი საქმიანობა არ დასტურდებოდა, მიუთითა ა. ვ-ას მიმართ ნაწარმოები სისხლის სამართლის საქმეზე და აღნიშნა, რომ სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ შპს „ა. გ-იას“ თავდაპირველად

ჰყავდა ორი დამფუძნებელი. სადაც 251 000 ლარი ა. კ-მა კი არ განკარგა, მან ეს თანხა, როგორც შპს „ა. გ-იას“ წარმომადგენელ-მა მოითხოვა და სწორედ ამიტომ გადასცა ბ. ვ-ამ ყოველგვარი დოკუმენტაციის გაფორმების გარეშე, ამასთანავე, შპს „ა. გ-იას“ ფუნქციონირების შეწყვეტის გამო, მისი წილი პროდუქცია, როგორიც ინახებოდა ფ. კ-ს სანარმოში, დოკუმენტების გაფორმების გარეშე გადატანილ იქნა შპს „ა. კ-ის“ კუთვნილ ქარხანაში მისი შემდგომი გადამუშავება-რეალიზაციისათვის, ამავე მიზნით მოსარჩელე სანარმოს ფაქტობრივ დირექტორს – ა. ვ-ას ასევე გადაეცა თანხა შპს „ა. გ-იასაგან“ წაწილი გადარიცხვით, წაწილი – წაღდი ფულის სახით. მატერიალური სახსრების ამგვარ განკარგვას ქართული კანონმდებლობა არ კრძალავს. ასეთ დროს მტკიცებულებად დასაშვებია, მათ შორის, მოწმის ჩვენების გამოყენებაც ქვემდგომა სასამართლოებმა სწორედ ამ ფორმით გადაცემული თანხის დაპრუნება ჩაუთვალა კასატორს უსაფუძვლო გამდიდრებად. ამასთანავე, შეფასება არ მისცემია იმ გარემოებას, რომ შპს „ა. გ-იას“ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ძმას – გ. კ-იას გადაეცა შპს „ა. კ-ის“ 50%-იანი წილი. შპს „ა. გ-იას“ საგადასახადო შემოწმებისა და შეწყვეტილი სისხლის სამართლის საქმის მასალებით, ასევე ბუღალტრული მასალებით არ დასტურდება შპს „ა. გ-იას“ წაშთად დარჩენილი თხილის წარმოება. თანხის შპს „ა. გ-იასათვის“ კუთვნილების დადასტურების მიზნით კასატორმა მიუთითა ა. ვ-ას ბრალდების საქმეზე მოწმედ დაკითხული პირების: გ. კ-იას, გ. კ-იას, დ. კ-ის, ფ. კ-ს, ა. რ. კ-ის ჩვენებებზე, ასევე ამონაწერზე შპს „ა. გ-იას“ საბ-ო ანგარიშებიდან, ამასთანავე აღნიშნა, რომ თხილის პროდუქციის შპს „ა. კ-ში“ გადატანა-გადამუშავებას არც ბრალდებული ა. ვ-ა უარყოფდა გამოძიებისათვის 2013 წლის 26 აპრილს მიცემულ ჩვენებაში. სასამართლოს არ შეუფასებია ა. რ. კ-ის 2011 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილება, რომ-ლითაც 250 000 ლარის შპს „ა. გ-იასადმი“ კუთვნილების ფაქტი უდავოდ დასტურდება. სადაც გარემოების დადასტურების მიზნით საგულისხმოა ასევე წინასწარი გამოძიებისას შპს „ს. კ-ის“ დირექტორ დ. ს-ის მიერ მიცემული ჩვენება.

8.1.5. 2010 წლის სექტემბრიდან, საგადასახადო შემოწმების დაწყებიდან შპს „ა. გ-იას“ ბუღალტრულად არ უფიქსირდება საქონლის რეალიზაცია, რასაც ერთადერთი გონივრული ახსნა გააჩნია – წაშთად არსებული პროდუქცია მთლიანად იქნა გადატანილი მონინააღმდეგე მხარის სანარმოში. ამავე სანარმოს ბუღალტრის – ნ. დ-ას ჩვენებით კი, დამატებით დგინდება 2010 წლის სექტემბრიდან შპს „ა. კ-იას“ და შპს „ა. გ-იას“ ერთობლივი

საქმიანობა, ასევე ის გარემოება, რომ მოსარჩელეს 2011 წლის დასაწყისისათვის ფულადი თანხა სალაროსა და საბანკო ანგარიშებზე არ გააჩნდა. ამდენად, სასამართლოს დასკვნა ა. რ. კ-ის უსაფუძვლოდ გამდიდრების თაობაზე დაუსაბუთებელია, რაც ასევე გამორიცხავს ამ თანხაზე წლიური 10%-ის დაკისრების კანონიერებას.

### 8.2. შპს „ა. ჯ-ის“ საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

8.2.1. სააპელაციო სასამართლოს ერთობლიობაში არ შეუფასებია მტკიცებულებები, რის გამოც გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელია. არასწორია სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ მხარეთა შორის არსებობდა სასესხო ურთიერთობა. შპს „ა. ჯ-ის“ მიერ მოწინააღმდეგე მხარისათვის 26 370 ლარის გადაცემას ადასტურებს არაერთი მტკიცებულება, მათ შორის ა. კ-ის ძმიშვილის – დ. კ-ის ჩვენება სისხლის სასამართლის საქმეზე; თავად მოწინააღმდეგე მხარის მიერ წინასწარი გამოძიებისას მიცემული ჩვენება; შპს „ს. კ-ის“ დირექტორ დ. ს-ის განმარტება ამავე სისხლის სამართლის საქმეზე.

8.2.2. მტკიცებულებათა ერთობლიობით დასტურდება მოწინააღმდეგე მხარის დავალებით შპს „ა. ჯ-ის“ მიერ მოწინააღმდეგე მხარის მითითებული პირისათვის 26 370 ლარის გადაცემა, რასაც აღიარებს, როგორც ა. რ. კ-ი, ისე დ. ს-ე. სააპელაციო სასამართლომ არასწორად არ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე, ასევე სამოქალაქო კოდექსის 385-ე და 991-ე მუხლები. სასამართლოს შეფასების უსწორობას ამტკიცებს ის, რომ კასატორი საწარმოდან თანხის გატანა, ამ თანხის მოწინააღმდეგე მხარის უფლებამოსილი პირისათვის გადაცემა და ა. კ-ის კუთვნილ შპს „ს. კ-ში“ გადაცემა სადაცოს არ წარმოადგენს.

8.2.3. სააპელაციო პალატამ ისე მიიღო გადაწყვეტილება შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე, რომ არ დაუსაბუთებია, თუ რატომ მიჩნევდა, რომ ა. რ. კ-ის მიერ გადაცემული თანხა წარმოადგენდა სესხს და არა ერთობლივი საქმიანობიდან გამომდინარე მიწოდებული პროდუქციის ღირებულებას. მითითებული გარემოება მტკიცდება „ბ-ი რ-ის“ 2013 წლის 27 მაისისა და „პ. ბ-ის“ 2013 წლის 30 მაისის ცნობებით, სადაც საყურადღებოა ის გარემოება, რომ „ბ-ი რ-ას“ ცნობაში თანხის გადამრიცხველად მითითებულია მოწინააღმდეგე მხარე და შპს „ა. ფ-ის“ იურიდიული მისამართი. შპს „ა. ფ-ი“ წარმოადგენდა იმ საწარმოს, რომელთანაც ერთობლივ საქმიანობას აწარმოებდა კასატორი. რაც შეეხება „პ. ბ-ის“ ცნობას, აქ გადარიცხვის განმახორციელებელ პირად ასევე მოწინააღმდეგე მხარეა მითითე-

ბული და დამატებით აღნიშნულია „სადგურის მაღაზია“. ამ მითითებების მიზანი სწორედ მიწოდებული პროდუქციის ღირებულების ანაზღაურება იყო. შპს „ა. ფ-ის“ მიერ აღძრული სარჩელით ირკვევა, რომ მოსარჩელე აერთიანებს, როგორც უშუალოდ მისი, ისე დირექტორის ანგარიშიდან კასატორისათვის გადარიცხულ თანხებს და ამგვარად აყალიბებს სასარჩელო მოთხოვნას. ის გარემოება, რომ მხარეთა შორის არ არსებობდა სესხებ შეთანხმება, დასტურდება საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით. სადაც დასკვნის გაკეთებისას სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო კოდექსის 624-ე და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნები.

8.2.4. კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად არ შეაფასა მას და შპს „ა. ფ-ს“ შორის არსებული ერთობლივი საქმიანობა, რომლის ფარგლებშიც შპს „ა. ჯ-ი“ შპს „ა. ფ-ს“ აწვდიდა თხილის პროდუქციას, რომლის რეალიზაციასაც შპს „ა. ფ-ი“ აწარმოებდა, ხოლო თანხსას ურიცხავდა კასატორს, ამასთან, სწორედ შპს „ა. ფ-ი“ უზრუნველყოფდა შესყიდვის წინასწარ დაფინანსებას, რასაც ხშირად ვერ ახერხებდა. გარდა აღნიშნულისა, სასამართლომ არასწორად დაადგინა ა. რ. კ-ისათვის კასატორის მიერ თანხის გადაუხდელობის ფაქტი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასბუთებულობა, საკასაციო პრეტენზიები და მიზნევს, რომ კასატორთა მოთხოვნა ნაწილობრივ უნდა დამტაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

#### **1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

1.1. განსახილველ დავაზე ძირითადი სარჩელის მოთხოვნა უსაფუძვლოდ გადახდილი თანხის ანაზღაურება და ამ თანხით მიღებული სარგებლის დაბრუნებაა, ხოლო შეგებებული სარჩელით მოთხოვნილია უპროცენტო სესხად გაცემული თანხის გამსესხებლის სასარგებლოდ დაკისრება.

1.2. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სააპელაციო პალატამ, როგორც ძირითად, ისე შეგებებულ სარჩელზე დაადგინა, რომ სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მხარეთა ვალდებულება უსაფუძვლო გამდიდრების სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარეობდა, ეკრძოდ, შპს „ა. ჯ-სა“ და ა. რ. კ-ს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა არ დასტურდებოდა, ასევე დადგენილად ცნო, რომ

შეგებებული სარჩელის ავტორს სესხის ხელშეკრულების ფარგლებში არ გადაუცია მოთხოვნილი თანხები შპს „ა. ჯ-ისათვის“.

1.3. კასატორები არ ეთანხმებიან გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეფასებებსა და დასკვნებს, როგორც სარჩელის დაკმაყოფილების, ისე დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, თუმცა ვიდრე სასამართლო შეუდგებოდეს საკასაციო საჩივრებში მითითებული პრეტენზიების შემოწმებას და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფარდებას მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებთან, აუცილებელია პასუხი გაეცეს მთავარ კითხვებს – ვინ?, ვისგან?, რას?, რის საფუძველზე ითხოვს?. პირველი ორი კითხვა სათანადო მხარესთან მიმართებაში იძლევა პასუხს, მესამე – მოთხოვნასთან მიმართებაში, ხოლო მეოთხე – მოთხოვნის საფუძველთან მიმართებაში. დასმულ კითხვებზე პასუხის გასაცემად ამოსავალია მოსარჩელისა და მოპასუხის მიერ სარჩელსა და შესაგებელში მითითებული გარემოებები. ამასთან, პრაქტიკული თვალსაზრისით პირველ რიგში უნდა შემოწმდეს სარჩელი ფორმალურ-სამართლებრივად დასაბუთებულია თუ არა, ანუ მითითებული გარემოებების დადასტურებულად მიჩნევის შემთხვევაში, დადგება თუ არა ის შედეგი, რომლის მიღწევაც სურს მოსარჩელეს. მხოლოდ ამის შემდეგ ღირს მოპასუხის სტადიაზე გადასვლა.

1.4. შპს „ა. ჯ-ის“ მიერ აღმოჩეული სარჩელის თანახმად, ის ფიზიკური პირის – ა. რ. კ-ისათვის თანხის დაკისრებას ითხოვს შემდეგი საფუძვლებით: შპს „ა. ჯ-სა“ და შპს „ა. ფ-ს“ შორის, რომლის დამფუძნებელი და დირექტორიც ა. რ. კ-ია, არსებობდა ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება; ერთობლივი საქმიანობის ფარგლებში საქართველოში ხდებოდა პროდუქციის (თხილის) შეძენა, გადამუშავება და ექსპორტი; შპს „ა. ფ-მა“ ვერ უზრუნველყო პროდუქციის შეძენის დაფინანსება; მხარეთა შორის წარმოიშვა უთანხმოება, რამაც გამოიწვია დამატებითი ხარჯები, ამასთანავე, ერთ-ერთი მიწოდება აღმოჩნდა ნაკლიანი; მოპასუხები მოითხოვა ჩარიცხულ თანხასა და მიწოდებულ პროდუქციის შორის არსებული სხვაობის ანაზღაურება, ასევე უარყო მხარეთა შორის ერთობლივი საქმიანობის პირობები (მოგების კომპენსირების, ასევე შპს „ა. ფ-ში“ წილების გადაცემის თაობაზე); 2013 წლის იანვარში, მოპასუხის განცხადების საფუძველზე, ა. ვ-ას მიმართ 410 210 ლარის მითვისების ფაქტზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე; შპს „ა. ფ-მა“ სასამართლოს წესით მოითხოვა შპს „ა. ჯ-ისათვის“ თანხის დაკისრება; საპასუხო სარჩელით ა. ვ-ამ ასევე მოითხოვა შპს „ა. ფ-ისათვის“ თანხის დაკისრება; 2011 წელს მოპასუხებმ მოსარ-

ჩელისაგან მიიღო 371 000 ლარი, თუმცა ამ თანხას არ უთვლის შპს „ა. ჯ-ს“ ანგარიშსნორებაში იმ საფუძვლით, რომ შესრულება ა. რ. კ-მა მიიღო როგორც ფიზიკურმა პირმა და არა როგორც შპს „ა. ფ-ს“ დირექტორმა. მოსარჩელის განმარტებით, სადავო თანხა სამ ეტაპადაა გადახდილი, კერძოდ, 2011 წლის 22 თებერვალს, მოპასუხის მითითების შესაბამისად, შპს „ა. ჯ-ს“ დირექტორმა ბ. ვ-ამ საზოგადოების ანგარიშიდან გაიტანა 251 000 ლარი, საიდანაც ნაწილი – 250 000 ლარი მოპასუხის მოთხოვნით, შეტანილ იქნა შპს „ს. კ-ის“ ანგარიშზე ბ-ში, ხოლო 1 000 ლარი დაიტოვა მოპასუხის ნათესავმა დ. კ-მა; 2011 წლის 27 სექტემბერს, ა. რ. კ-ის დავალებით, 80 000 ლარი გადაეცა გ. კ-იას შპს „ა. გ-იას“ საგადასახადო დავალინანების გასასტუმრებლად; შპს „ა. ჯ-ის“ სალაროდან გატანილი თანხა – 40 000 ლარი ბ. ვ-ამ გადასცა ა. რ. კ-ის წარმომადგენელ დ. კ-ს, რომელმაც ეს თანხა გადასცა „ს. კ-ის“ დირექტორს. გადაცემული თანხები მოსარჩელეს არ დაბრუნებია, თუმცა ამ თანხაზე წლიური 18%-ის დარიცხვით მიღებულმა სარგებელმა და ზარალმა შეადგინა 154 410 ლარი, შესაბამისად, მოსარჩელე იძულებულ იყო თანხები შემოსავალში აეღო, შედეგად დასაბეგრძა მოგებამ 23 162 ლარი შეადგინა.

1.5. სარჩელის წინააღმდეგ ა. რ. კ-მა კვალიფიციური შედავება წარადგინა და განმარტა, რომ 251 000 ლარი წარმოადგენს შპს „ა. გ-იას“ კუთვნილ თანხას, რომელიც საგადასახადო შემოწმების პერიოდში სათანადო დოკუმენტების გაფორმების გარეშე დროებით გადატანილ იქნა მოსარჩელე სანარმოში, 80 000 ლარის გადაცემა მოპასუხებ უარყო, ხოლო 40 000 ლართან მიმართებით განმარტა, რომ ეს თანხა იყო შპს „ს. კ-იდან“ სესხად გაცემული თანხა, რომელიც, ა. რ. კ-ის მითითების საფუძველზე, შპს „ს. კ-ის“ დირექტორმა საკუთარი ქონების უზრუნველყოფით აიღო სესხად და გადასცა ა. ვ-ას.

1.6. პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ 80 000 ლარის, ასევე 40 000 ლარიდან 13 630 ლარის ნაწილში მხარეთა მოთხოვნების კანონიერება საკასაციო შეფასების საგანი ვერ გახდება, ვინაიდან ამ ნაწილში საქალაქო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა და გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა. რაც შეეხება დარჩენილი თანხების მოთხოვნის ნაწილში შპს „ა. ჯ-ის“ სარჩელის კანონიერებას, საკასაციო პალატა განმარტავს შემდეგს:

1.6.1. სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების ფორმალური საფუძვლიანობის შესწავლის გზით, შესაძლოა, ვივარაუდოთ, რომ სახეზეა შესრულების კონდიქციიდან გამომდინარე თანხის დაკისრების მოთხოვნა. ამ კუთხით სააპელა-

ციონ პალატამ მართებულად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე. მითითებული ნორმის თანახმად, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოშობა ან შეწყდა შემდგომში. საკასაციო პალატის მოსაზრებით, შესრულების კონდიქციის მიზნებისათვის, შესრულებაში იგულისხმება სხვა პირის ქონების შეგნებულად და მიზანმიმართულად გაზრდა, ვინაიდან ამით ვალდებულების შესრულება უნდა განხორციელდეს. შესრულების კონდიქციისას შემსრულებელი ახორციელებს არარსებული, ბათილი ან არშემდგარი ვალდებულების შესრულებას. ასეთ შემთხვევაში, მოსარჩელემ უნდა მიუთითოს და დაამტკიცოს ფაქტობრივი გარემოებები იმის თაობაზე, რომ სახეზეა მოთხოვნის მარეგულირებელი ნორმის შემდეგი ელემენტები: შესრულება (სამართლებრივი სიკეთის ვითომ-კორისათვის გადაცემა); ამ შესრულების განხორციელების ფაქტობრივი საფუძველი, ანუ რა ვალდებულებას მოიაზრებდა მოსარჩელე, როდესაც მიმღებს გადასცემდა ქონებას; განხორციელებული გადაცემის ფაქტობრივი საფუძვლის არარსებობა/შეწყვეტა.

1.6.2. უდავოდაა გასათვალისწინებელი ის გარემოება, რომ უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების გამოყენება ხდება მოთხოვნის სხვა საფუძვლებთან სუბსიდიალურად, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ არსებობს სასარჩელო მოთხოვნის შესაძლო დაკმაყოფილების სახელშეკრულებო ან სხვა კანონისმიერი საფუძველი (მოთხოვნათა კონკურენცია), უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის ნორმების, როგორც მოთხოვნის საფუძვლის გამოყენება, ბოლოს უნდა განხორციელდეს, ანუ მას შემდეგ რაც გამოირიცება მოთხოვნის დაკმაყოფილება სახელშეკრულებო ან სხვა კანონისმიერი საფუძვლებიდან.

1.6.3. მიუხედავად იმისა, თუ რამდენად აბათილებს და უარყოფს მოპასუხე შესაგებლით მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული არ ათავისუფლებს მოსარჩელეს, ამტკიცოს შესრულების კონდიქციის ფაქტობრივი შემადგენლობა, ანუ მოსარჩელემ სარწმუნოდ უნდა მიუთითოს და დაამტკიცოს ფაქტობრივი გარემოება, თუ რა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარეობდა შპს „ა. ჯიდან“ თანხების გადინება, სხვაგვარად რომ ვთქვათ, არსებულ ვითარებაში მოსარჩელემ უნდა გააქარწყოლოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის პირველი ნაწილით დაშვებული კანონ-

ისმიერი პრეზუმფია, რომლის თანახმადაც ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს შპს „ა. ჯ-ის“ საკასაციო პრეტენზიას, რომლის თანახმადაც მოსარჩელე ერთობლივ საქმიანობას ანარმოებდა შპს „ა. გ-იასთან“, რადგანაც სარჩელში იგი უთითებდა ამგვარი ურთიერთობის არსებობაზე შპს „ა. ფ-თან“. შპს „ა. გ-იასთან“ ერთობლივი საქმიანობის განხორციელებაზე, როგორც ახალ გარემოებაზე, საკასაციო პალატა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციიდან გამომდინარე ვერ იმსჯელებს.

1.7. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ შპს „ა. ჯ-ის“ მიერ ა. რ. კ-იასთვის თანხების სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გადაცემის ფაქტი დაადგინა იმგვარად, რომ მას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით არ შეუსწავლია საქმის მასალები, არ გამოუკვლევია და დამაჯერებლად არ უარყოფით ფაქტობრივი გარემოება მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ არ გამოარკვია თუ რა ვალდებულების ფარგლებში ითხოვდა შპს „ა. ჯ-ი“ ა. რ. კ-ისათვის გადაცემული თანხების ჩათვლას, რასაც მოცემული დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. ამ მიზნით სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 128-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება, რომლის თანახმადაც, მოსამართლეს უფლება აქვს შეკითხვები მისცეს მხარებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულად და ზუსტად განსაზღვრას, მათ დასადასტურებლად მტკიცებულებათა გამოვლენას და სასამართლოში წარდგენას, მათი უტყუარობის გამორკვევას.

1.8. მხოლოდ ამ საკითხების დაზუსტების შემდეგ უნდა შემოწმებულყო მოპასუხის შესაგებელში გამოთქმული მოსაზრებები თანხის სხვა ვალდებულების (საგადასახადო შემოწმების ჰერიოდში შპს „ა. გ-იას“ მატერიალური სახსრების შპს „ა. ჯ-ში“ დროებით გადატანა და ამ აქტივების ა. რ. კ-ის მეშვეობით მესაკუთრისათვის (შპს „ა. გ-იასათვის“) დაბრუნება) ფარგლებში გადახდის თაობაზე. აქვე საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორ ა. რ. კ-ის მტკიცებას, იურიდიულ პირებს შორის განხორციელებული ოპერაციების ლეგიტიმურად მიჩნევის თაობაზე, რომლის თანახმადაც, ერთ იურიდიულ პირს შეუძლია ყოველგვარი იურიდიული თუ საბუღალტრო დოკუმენტაციის გარეშე გადასცეს მეორე იურიდიულ პირს აქტივები, თუმცა ასე-

თი საქმის მასალებით არ დასტურდება. ამასთან, სამეწარმეო სუბიექტებს შორის ამგვარი ურთიერთობის დაშვება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს, კერძოდ, საგადასახადო კოდექსის 136-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია სწორად და დროულად აღრიცხოს შემოსავლები და ხარჯები დოკუმენტურად დადასტურებულ მონაცემთა საფუძველზე, ამ თავით გათვალისწინებული მეთოდების გამოყენებით და მიაკუთვნოს იმ საანგარიშო პერიოდს, რომელშიც მოხდა მათი მიღება და გაწევა. რაც შეეხება ამ კუთხით ა. რ. კ-ის საკასაციო საჩივარში გამოიქმულ პრეტენზიებს მტკიცებულებათა არასწორად შეფასების თაობაზე, იგი სისხლის სამართლის საქმეზე მიცემულ მოწმეთა ჩვენებებს ემყარება, რომელთა შეფასებისას სააპელაციო სასამართლოს არ დაურღვევია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე და 105-ე მუხლებით დადგენილი მტკიცებულებათა შეფასებს სტანდარტი.

1.9. რაც შეეხება წინამდებარე დავის ფარგლებში აღძრულ შეგებებულ სარჩელს, იგი ემყარება ა. რ. კ-ის მიერ შპს „ა. ჯ-ის“ ანგარიშზე 2011 წლის 9 მარტიდან 2013 წლის 27 მაისამდე ჩარიცხულ 24 776 ევროსა და 2010 წლის 19 ივნისიდან 2013 წლის 30 მაისამდე ჩარიცხულ 1 481,5 ევროს. შეგებებული სარჩელის თანახმად, ეს თანხა წარმოადგენდა 2 წლის ვადით შპს „ა. ჯ-ისათვის“ უპროცენტოდ ნასესხებ თანხას, რომელსაც მოპასუხე არ აბრუნებდა.

1.9.1. წარმოდგენილი შესაგებლის ფარგლებში, შპს „ა. ჯ-ი“ განმარტავს, რომ თანხების ჩარიცხვა შპს „ა. ფ-სა“ და შპს „ა. ჯ-ს“ შორის არსებული სხვა ურთიერთობით (თხილის შესყიდვა, გადამუშავება და ექსპორტი) იყო განპირობებული და ამ თანხებს ხან ა. კ-ი და ხან – შპს „ა. ფ-ი“ რიცხავდა. საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოპასუხის აღნიშნული პოზიცია უნდა განვიხილოთ, როგორც მოთხოვნის შემწყვეტი შესაგებელი, რაც საფუძველს აცლის ა.რ.კ-ის მითითებულ პრეტენზიებს. შესაგებელში გამოთქმული განმარტებები იმდენად არსებითია, რომ მისი დადასტურების შემთხვევაში, გამოირიცხება, როგორც სასესხო, ისე უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების გამოყენება.

1.10. სააპელაციო სასამართლოს ამ კუთხით შპს „ა. ჯ-ის“ შესაგებლის საფუძვლები არ შეუმოწმებია, არც სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობაზე და არც იმ გარემოებაზე უმსჯელია, თუ ვის მიერ იყო შესარულებული გადარიცხვები და რით იყო ამ თანხის გადაცემა განპირობებული. მან ყოველგვარი დასაბუთების გარეშე დაადასტურა როგორც ა. კ-ის მიერ თანხის

ჩარიცხვის ფაქტი, ისე ამ ჩარიცხვის სამართლებრივი საფუძვლის არარსებობა და დაადგინა შესრულების კონდიქციიდან გამომდინარე შპს „ა. ჯ-ისათვის“ 26 257,5 ევროს შეგებებული სარჩელის ავტორის სასარგებლოდ დაკისრების ვალდებულება. საკასაციო პალატა თვლის, რომ ქვემდგომი სასამართლოს დასკვნები არც ამ ნაწილში ემყარება საქმის მასალების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ კვლევას (სსსკ 105-ე მუხლი). იმ პირობებში, თუკი არ დადგინდება ნასყიდობის სამართლებრივი ურთიერთობების ფარგლებში სადაც თანხის გადაცემა, სასამართლომ ასევე უნდა იმსჯელოს, მხოლოდ თანხის გადაცემა ხომ არ იძლევა მხარეთა შორის სესხის ზეპირად დადების პრეზუმუციას, რადგანაც სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის თანახმად, სესხის ხელშეკრულება იდება ზეპირად. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს წერილობითი ფორმაც. ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით.

1.11. საკასაციო პალატა ვერ იმსჯელებს და ვერ შეაფასებს ა. რ. კ-ის პრეტენზიას მისთვის ზიანის ანგარიშში უსაფუძვლოდ მიღებული თანხის პროცენტის დაკისრების თაობაზე, რადგანაც, მოცემულ შემთხვევაში, გამოსაკვლევია კონდიქციური ვალდებულებიდან გამომდინარე ძირითადი სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლების ნამდვილობა, რომლის გარეშეც შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად მართებულად დაკისრა კასატორს შპს „ა. ჯ-ის“ მიერ მოთხოვნილ თანხაზე სარგებელის გადახდის ვალდებულება. სამოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული იურიდიული შედეგის მიღწევისათვის სავალდებულოა დგინდებოდეს თავად ქონების უსაფუძვლოდ მიღების ფაქტი.

1.12. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმე-

ბა შეუძლებელია. მოცემული ნორმის ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად, დაადგინოს დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები და მხოლოდ ამის შემდეგ განსაზღვროს უფლების საკითხი.

## 2. საპროცესო უფლებამონაცვლეობა:

2.1. პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს საკასაციო განხილვისას დაშვებულ საპროცესო უფლებამონაცვლეობის საკითხზეც, კერძოდ, საკასაციო პალატას მომართა შპს „ა. ჯ-ის“ წარმომადგენელმა და განცხადებას დაურთო 2015 წლის 2 მარტის ხელშეკრულება მოთხოვნათა დათმობის თაობაზე. ხელშეკრულების თანახმად, შპს „ა. ჯ-მა“ შპს „კ. კ-ს“, მის მიმართ არსებული დავალიანების სანაცვლოდ, დაუთმო წინამდებარე დავაზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებით ა. რ. კ-ისათვის დაკისრებული თანხის მოთხოვნის უფლება, რის გამოც შპს „კ. კ-მა“ ამ მოთხოვნის საფუძველზე წარმოშობილ ურთიერთობაში ჩაანაცვლა შპს „ა. ჯ-ი“.

2.2. სასამართლოს ასევე მომართა შუამდგომლობით ა. რ. კ-მა და მოითხოვა მის უფლებამონაცვლედ საქმეში შპს „ა. ფ-ის“ დაშვება. შუამდგომლობის საფუძვლიანობა დასაბუთებულია 2015 წლის 24 თებერვლის მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებით, რომლის თანახმადაც ა. რ. კ-ის მიმართ, ზეპირი სესხის ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „ა. ფ-ს“ გააჩნდა დავალიანება; ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 2014 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს „ა. ჯ-ს“ შპს „ა. ფ-ის“ სასარგებლოდ ეკისრებოდა 410 210 ლარის, 5 000 ლარისა და 200 200 ევროს გადახდა. წინამდებარე საქმეზე სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით შპს „ა. ჯ-ს“ ა. რ. კ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 26 257,5 ევროს გადახდა. შპს „ა. ფ-მა“ ა. რ. კ-ს დაუთმო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მის სასარგებლოდ შპს „ა. ჯ-ისათვის“ დაკისრებული თანხა და 120 000 ევროს ნაწილში მათ შორის არსებული სასესხო ურთიერთობა შეწყდა, ხოლო კასატორმა შპს „ა. ფ-ს“ დაუთმო წინამდებარე დავის ფარგლებში მოგებული თანხის მოთხოვნის უფლება.

2.3. როგორც ერთ, ისე, მეორე შემთხვევაში, საკასაციო პალატამ მიჩნია, რომ არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით განსაზღვრული საპროცესო უფლებამონაცვ-

ლეობის დაშვების საფუძველი და 2015 წლის 6 აპრილისა და 16 სექტემბრის განჩხინებებით განცხადებები დაკმაყოფილდა, თუმცა საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ ამახვილებს ყურადღებას, რომ ორივე პირის უფლებამონაცვლეობის საფუძველი მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის 199-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნის დათმობის ურთიერთობა იმგვარად, რომ სახეზე არ გვაქვს ამავე კოდექსის 203-ე მუხლით განსაზღვრული ვალის გადაკისრება, შესაბამისად, საკასაციო პალატის ზემოხსენებული განჩხინებებით დაშვებული უფლებამონაცვლეობა მხოლოდ კონკრეტულ მოთხოვნებს შეეხება და ურთიერთსარჩელებზე მოპასუხებად კვლავ შეს „ა. ჯ-ი“ და ა. რ. კ-ი რჩებიან.

### **3. საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებები:**

3.1. 2015 წლის 28 ივლისს საკასაციო სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ა. რ. კ-ის წარმომადგენელმა გ. გ-ემ, წარმოადგინა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 6 ივლისს განაჩენი ა. ვ-ას მიმართ და იმუამდგომლა მისი საქმისათვის დართვის თაობაზე.

3.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. აღნიშნული ნორმა ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესუალურ ფარგლებს და მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება, ამავე კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს შუამდგომლობის გაზიარების საფუძველი, შესაბამისად, მის ავტორს უნდა დაუბრუნდეს წარმოდგენილი განაჩენი 18 (თვრამეტი) ფურცლად.

### **4. სასამართლო ხარჯები:**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან

დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 412-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ა. რ. კ-ის უფლებამონაცვლე შპს „ა. ფ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. შპს „ა. ჯ-ის“ უფლებამონაცვლე შპს „კ. კ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
3. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
4. ა. რ. კ-ს დაუბრუნდეს 2015 წლის 28 ივლისის №ა-2927-15 განცხადებაზე დართული განაჩენის ასლი 18 (თვრამეტი) ფურცლად.
5. საკასაციო საჩივრებზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
6. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# სარჩელის უზრუნველყოფა

## განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ

### განცხადება

№ას-214-201-2015

16 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება, ზიანის ანაზღაურება

#### აღნერილობითი ნაწილი:

შპს „ა.ო.ღ.ს.ე.ს.ც-მა“ სარჩელით მიმართა სასამართლოს შპს „ს.კ. ა.ს.ჯ-ს“ ის მიმართ სამედიცინო მომსახურების ღირებულების ძირითადი დავალიანებისა და პირგასამტებლოს დაკისრების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით შპს „ა.ო.ღ.ს.ე.ს.ც-ის“ სარჩელი დაკისრებილდა ნაწილობრივ: მოპასუხებელი შპს „ს.კ. ა.ს.ჯ-ს“ შპს „ა.ო.ღ.ს.ე.ს.ც-ის“ სასარგებლოდ დაკისრა 2013 წლის სექტემბრის თვეში განეული სამედიცინო მომსახურების გადახდა 35 887.20 ლარის ოდენობით. მოპასუხებელი შპს „ს.კ. ა.ს.ჯ-ს“ შპს „ა.ო.ღ.ს.ე.ს.ც-ის“ სასარგებლოდ დაკისრა 2013 წლის სექტემბრის თვეში მოპასუხების დაზღვეულ პირთათვის განეული სამედიცინო მომსახურების ღირებულების გადახდის ვადაგადაცილებისათვის დარჩენილი ძირითადი თანხის 35 887.20 ლარის 0.01%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 2013 წლის 31 ოქტომბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინა შპს „ს.კ. ა.ს.ჯ-მა“, ასევე შპს „ა.ო.ღ.ს.ე.ს.ც-მა“.

2014 წლის 29 დეკემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა შპს „ა.ო.ღ.ს.ე.ს.ც-ის“ ღირექტორმა და გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით მოითხოვა ყადაღის დადება შპს „ს.კ.ა.ს.ჯ-ს“ ფულად სახსრებზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 29

აპრილის გადაწყვეტილებით დაკისრებული ფულადი ვალდებულებების ფარგლებში სულ 39 379.13 ლარის ოდენობით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 31 დეკემბრის განჩინებით შპს „ა.ო.ღ.ს.ე.ს.ც-ის“ განცხადება არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილით, 198-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ პუნქტით და განმარტა, რომ გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით ხდება მოსარჩელის კანონიერი ინტერესების დაცვა იმ რეალობის ან მოსალოდნელი საფრთხის გათვალისწინებით, რომ მოპასუხე, შესაძლოა, არაკეთილსინდისიერი აღმოჩნდეს, და საკუთარი ქონება გაასხვისოს, ფინანსური სახსრები განკარგოს, გადამალოს, რის შედეგადაც მოსარჩელის უფლება განუხორციელებელი დარჩება.

სააპელაციო პალატამ ასევე განმარტა, რომ გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიება უნდა იყოს გონივრული, ემსახურებოდეს სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, როგორც პირველადი, ასევე მეორადი მოთხოვნების შესრულებისათვის გარანტიების შექმნას. მენარმე სუბიექტის ანგარიშებზე ყადაღის დადებით, არა თუ ხელი შეეწყობა გადაწყვეტილების აღსრულებას, არამედ შეიძლება ხელი შეუშალოს მოვალის, როგორც მენარმე სუბიექტის, გადახდისუნარიანობასა და მის ფინანსურ შესაძლებლობას, შეასრულოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული ვალდებულებები.

ამდენად, იურიდიული პირის ფულად ანგარიშებზე ყადაღის დადებით კრედიტორი შეიძლება აღმოჩნდეს ისეთ სამართლებრივ ვითარებაში, როდესაც გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველზე მენარმე სუბიექტის სამენარმეო საქმიანობის შეფერხების შედეგად მოვალემ ვერც ნებაყოფლობით და ვეღარც „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მექანიზმების გამოყენებით შეძლოს კრედიტორის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

პალატამ იხელმძღვანელა „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონით, ასევე მიუთითა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 11 ოქტომბრის №125/01 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს ტერიტორიაზე სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის წესის პირველი მუხლზე,

რომლის შესაბამისად განსაზღვრულია საქართველოს ტერიტორიაზე სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე კაპიტალის მინიმალურ ოდენობა. ამავე წესის მეორე მუხლის მიხედვით კი, საქართველოს ტერიტორიაზე სადაზღვევო საქმიანობის განხორციელებისათვის ლიცენზიის მაძიებელი კომპანიებისათვის წერილობითი განცხადების წარდგენის მომენტში შევსებული კაპიტალის, ხოლო მზღვეველისათვის სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა განისაზღვრება შემდეგი ოდენობით: а) სიცოცხლის დაზღვევა – 1 500 000 ლარი; ბ) დაზღვევა (არა სიცოცხლის) – 1 000 000 ლარი; გ) გადაზღვევა – 1 500 000 ლარი.

ამდენად, პალატამ განმარტა, რომ სადაზღვევო ბაზრის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა, სადაზღვევო ბაზრის მომხმარებელთა უფლებების დაცვის ერთ-ერთი აუცილებელი ინდიკატორია, შესაბამისად, სასამართლო წესით უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შედეგად სადაზღვევო კომპანიას არ უნდა შეექმნას საქმიანობის დაუბრკოლებლად განხორციელების საფრთხე, რითაც სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი ფინანსური ვალდებულებების წებაყოფლობით შესრულებას შეეშლება ხელი. სადაზღვევო კომპანიის ანგარიშების დაყადაღებით კი, ისეთი ფინანსური ინსტიტუტი, როგორიც სადაზღვევო კომპანიაა, საქმიანობის თვალსაზრისით დაბრკოლება, რაც არა თუ უზრუნველყოფს გადაწყვეტილების აღსრულებას, არამედ კომპანიის, რომლის ძირითადი საბრუნავი საშუალება ფულია, საქმიანობას შეაფერხებს და უამრავ მომხმარებელს დააზარალებს. თუმცა სასამართლო მიმინია, რომ აღნიშნული მსჯელობა სუბსიდიური ხასიათიასაა. ძირითადი მოტივაცია კი, თუ რატომ არ უნდა იქნეს სადაზღვევო კომპანიის ანგარიშზე ყადაღად დადებული, მდგომარეობდა იმაში, რომ ამ ეტაპზე არ არსებობდა სადაზღვევო კომპანიის მხრიდან გადაწყვეტილების წებაყოფლობით შესრულებისაგან თავის არიდების რისკი და გადაწყვეტილების იძულებით აღსრულებისათვის ხელისშემძლელი გარემოებები. სარჩელის აღძვრა და სასამართლო წესით უფლების დაცვა კი იმთავითვე არ ნიშნავს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობასა და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობას, მით უფრო, როდესაც მოპასუხე და შესაბამისად, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი, სადაზღვევო კომპანიაა. სადაზღვევო კომპანიის ანგარიშებზე ყადაღის დადება მხოლოდ იმ არგუმენტზე

დაყრდნობით, რომ კომპანიას ბევრი ვადამოსული ვალდებულება აქვს, სააპელაციო სასამართლოს აზრით, მიზანშენონილი არ არის, ვინაიდან წარმოდგენილი განცხადებითა და თანდართული მტკიცებულებებით არ დასტურდება ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობა ან ვალდებულებათა შესრულებისაგან, არამართლზომიერი გზით, თავის არიდების რისკი. არგუმენტი, მარტოდენ ფინანსურ დავალიანებებთან დაკავშირებით, არ იძლევა იმგვარი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარეშე ვალდებულება ვერ აღსრულდება ან დაბრკოლება შეექმნება მის აღსრულებას, მით უფრო, განსახილველ შემთხვევაში, ასანაზღაურებელი თანხის ოდენობის გათვალისწინებით.

მითითებულ განჩინებაზე საჩივარი წარადგინა შპს „ა.ო.ღ.ს.ე.ც-მა“ და მოითხოვა განჩინების გაუქმება შემდეგი საფუძვლით:

საჩივრის ავტორის განმარტებით, სადაზღვევო კომპანიის მიერ დიდი ოდენობის ვალდებულებების შესრულება საფრთხეს უქმნის აღსრულებას. ყადაღის დაუდებლობამ შეიძლება განმცხადებელს მიაყენოს დიდი მატერიალური ზიანი, თუკი მოპასუხის მიერ სხვა არაერთი დიდი ოდენობის ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულების ან/და იძულებით აღსრულების გამო გახდება გადახდისუუნარო.

საჩივრის ავტორის აზრით, მოპასუხის ფინანსებზე ყადაღის დადების აუცილებლობა დასაბუთებულია, ვინაიდან სადაზღვევო კომპანია იმყოფება მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში და არსებობს ალბათობა, რომ საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტისათვის, მზღვეველის გადახდისუუნარობის გამო, აღსრულება ველარ მოხერხდება. ამავდროულად, საჯარო რეესტრის მონაცემებით დადასტურებულია ის ფაქტი, რომ შპს „ს.კ.ა.ს.ჯ-ს“ საკუთრებაში არანაირი უძრავი ქონება არ ირიცხება, მის საკუთრებაში არსებული წილები კი, სხვადასხვა ვალდებულებათა აღსრულების მიზნით, დაყადაღებულია და ირიცხება მოვალეთა რეესტრში. მოპასუხეს გააჩნია დიდი ოდენობით სხვა ფულადი ვალდებულებებიც, რომელთა შესრულების შემთხვევაში კომპანია ველარ დაფარავს მოსარჩელის დავალიანებას და შპს „ა.ო.ღ.ს.ე.ს.ც“ აღმოჩნდება იმავე მდგომარეობაში, როგორშიც იმყოფებოდა სასამართლოს მიერ „ა. გ. ჯ-სათვის“ შპს „ა.ო.ღ.ს.ე.ს.ც-ის“ სასარგებლოდ 2 600 000 ლარის დავალიანების დაკისრების დროს, როცა თანხის ამოლება ვერ მოხერხდა მოვალის გადახდისუუნარობის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2015 წლის 16 იანვრის განჩინებით დაუსაბუთებლობის გამო არ დაკმაყოფილდა შპს „ა.ო.ლ.ს.ე.ს.ც-ს“ საჩივარი, უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 31 დეკემბრის განჩინება და საჩივარი საქმის მასალებთან ერთად გადმოიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და შპს „ა.ო.ლ.ს.ე.ს.ც-ს“ საჩივრის საფუძვლიანობის ანალიზის შედეგად მიიჩნევს, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი წარმოადგენს მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების სწრაფ და ეფექტურ საპროცესო-სამართლებრივ გარანტიას. სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებას საფუძვლად უდევს ვარაუდი, რომ მომავალში მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება, შესაძლოა ვერ აღსრულდეს ან აღსრულება მნიშვნელოვნად დაბრკოლდეს. ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანია მოსარჩელის მატერიალური უფლებების რეალური განხორციელებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა. თუმცა, მხედველობაშია მისაღები, რომ სამოქალაქო პროცესი თანაბარ მდგომარეობაში აყენებს პროცესის ორივე მხარეს – მოსარჩელესა და მოპასუხეს, შესაბამისად, მხარეთა თანასწორობის უმნიშვნელოგანესი პრინციპიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის შეფასება უნდა მოხდეს როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის პოზიციიდან. ამგვარი შეფასებისას გასათვალისწინებელია, რომ დაცული იყოს თანაზომიერების პრინციპი, კერძოდ, მოსარჩელის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიება ამ მოთხოვნის (სარჩელის საგნის) პროცესიული (ადეკვატური) უნდა იყოს და აშკარა შეუსაბამობა არ უნდა იკვეთებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენება ვერ გაამართლებს სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანს. ამიტომ სასამართლომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების საკითხის გადაწყვეტის დროს, ყოველთვის უნდა შეაფასოს, სარჩელის უზრუნველსაყოფად მის მიერ შერჩეული ღონისძიება არის თუ არა შესაბამისობაში მო-

საარჩელის მოთხოვნასთან, რომლის უზრუნველყოფასაც იგი ემსახურება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს საარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცვალეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც საარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ საარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსაარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩინდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას საარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. საარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასამარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკამაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე. ამავე კოდექსის 271-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია უზრუნველყოს იმ გადაწყვეტილების აღსრულება, რომელიც გადაცემული არ არის დაუყოვნებლივ აღსასარულებლად XXIII თავით დადგენილი წესების შესაბამისად.

დასახელებულ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებლი შესაძლებლობას აძლევს მოსარჩელე მხარეს, საკუთარი კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით, მოითხოვოს ჯერ კიდევ აღსრულებელი გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. ამისათვის მოსარჩელემ სარწმუნოდ უნდა დაასაბუთოს საარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროება, რათა სასამართლოს შეუქმნას რწმენა კონკრეტულ გარემოებათა საფუძველზე გადაწყვეტილების უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით შპს „ა.ო.ლ.ს.ე.ს.ც-ის“ საარჩელი დაკამაყოფილდა და შპს „ს.კ. ა. ს. ჯ-ს“ მოსაარჩელის სასამართლოდ დაეკისრა ფულადი ვალდებულების შესრულება, სულ – 35 887.20 ლარის ოდენობით.

აღნიშნულის საფუძველზე შპს „ა.ო.ლ.ს.ე.ს.ც“ მოითხოვს მის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების უზრუნველყოფას. მხარე თავის მოთხოვნას აფუძნებს იმ გარემოებაზე, რომ შპს

„ს.კ.ა.ს.ჯ-ი“ იმყოფება მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში, გააჩნია შეუსრულებელი ვალდებულებები სხვა დაწესებულებების მიმართ და არსებობს შესაძლებლობა, რომ საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტისათვის, მზღვეველის გადახდისუუნარობის გამო, მისი აღსრულება ველარ მოხერხდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

აღნიშნული ნორმა ადგენს სადავო გარემოებების მტკიცების სტანდარტს და კონკრეტული ფაქტის არსებობის სარწმუნოდ დადასტურებას ავალებს იმ მხარეს, რომელმაც იგი თავისი პოზიციის დასადასტურებლად მიუთითა.

ამდენად, საჩივრის ავტორს საკუთარი მოთხოვნის დასასაბუთებლად უნდა დაედასტურებინა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ შეს ს.კ. „ა.ს.ჯ-ი“ განიცდის ისეთ ფინანსურ სირთულებს, რომლებიც სამომავლოდ ობიექტურად ხელს შეუშლის გადაწყვეტილების აღსრულებას.

მართალია, განცხადებაზე თანდართული მასალებით იკვეთება, რომ მოპასუხეს გააჩნია შეუსრულებელი ვალდებულებანი, თუმცა მათ კანონიერებაზე მიმდინარეობს სასამართლო დავები და აღნიშნული ცალსახად არ ადასტურებს, რომ სადაზღვევო კომისიას მათი დაფარვის ფინანსური შესაძლებლობა არ გააჩნია.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ სარჩელის უზრუნველყოფის წინაპირობას წარმოადგენს საფუძვლიანი ეჭვი იმის თაობაზე, რომ გადაწყვეტილება აღუსრულებელი დარჩება ან აღსრულება მნიშვნელოვანილდება გარეშე. მხოლოდ დარღვეულ უფლებასა თუ კანონიერ ინტერესზე პელირება არ წარმოადგენს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველს. მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი და დასაბუთებული ეჭვი ვალდებულების მომავალში შეუსრულებლობასთან დაკავშირებით სასამართლოში სარჩელის აღძვრის საფუძველია, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის ფაქტობრივი და სამართლებრივი წანამძღვრები გადაწყვეტილების აღუსრულებლობის, ან მისი აღსრულების გაძნელების დასაბუთებაში უნდა მდგომარეობდეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მი-

იჩნევს, რომ განმცხადებელი შპს „ა.ო.დ.ს.ე.ს.ც-ის“ მოთხოვნა გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ სრულყოფილად დასბუთებული არ არის, რის გამოც სააპელაციო პალატის მიერ მართებულად ეთქვა უარი დაკმაყოფილებაზე.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს გასაჩივრებული განჩინების მსჯელობის იმ ნაწილზე, რომლითაც სააპელაციო პალატამ მიუთითა „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლზე, რომლის შესაბამისად, მზღვეველის ფინანსური სიმყარის უზრუნველყოფის საფუძველია მისი კაპიტალის, სადაზღვევო რეზერვებისა და გადაზღვევის სისტემის არსებობა. ამავე კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მზღვეველი ვალდებულია დაიცვას სამსახურის მიერ დადგენილი, ქვემოთ ჩამოთვლილი ეკონომიკური ლიმიტები: а) კაპიტალის მინიმალური ოდენობა სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე; ბ) სადაზღვევო რეზერვების ოდენობა სახეობათა მიხედვით; გ) სადაზღვევო რეზერვების დასაფარავად დასაშვები აქტივების ზღვრული თანაფარდობა სადაზღვევო რეზერვებთან; დ) კაპიტალსა და ვალდებულებებს შორის ზღვრული თანაფარდობა; ე) აქტივებსა და აღებულ ვალდებულებებს შორის ზღვრული თანაფარდობა. მე-16 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით კი, მზღვეველი თავისი გადახდისუნარიანობის უზრუნველსაყოფად ვალდებულია დაიცვას ამ კანონით განსაზღვრული ეკონომიკური ნორმატივები და ლიმიტები, რომელთა თანაფარდობის მეთოდიკასა და ნორმატიულ მოცულობას ადგენს სამსახური.

სააპელაციო პალატამ ასევე მიუთითა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 11 ოქტომბრის №125/01 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს ტერიტორიაზე საადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის წესის პირველ მუხლზე, რომლის შესაბამისად, ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე სადაზღვევო საქმიანობის განხორციელებისათვის ლიცენზიის მაძიებელი კომპანიებისათვის წერილობითი განცხადების წარდგენის მომენტში შევსებული კაპიტალის, ხოლო მზღვეველისათვის სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა განისაზღვრება შემდეგი ოდენობით: а) სიცოცხლის დაზღვევა – 1 500 000 ლარი;

ბ) დაზღვევა (არა სიცოცხლის) – 1 000 000 ლარი; გ) გადაზღვევა – 1 500 000 ლარი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ სადაზღვევო ბაზრის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა სადაზღვევო ბაზრის მომხმარებელთა უფლებების დაცვის ერთ-ერთი აუცილებელი ინდიკატორია, შესაბამისად, სასამართლო წესით უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შედეგად სადაზღვევო კომპანიას არ უნდა შეექმნას საქმიანობის საფრთხე, რითაც სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი ფინანსური ვალდებულებების ნებაყოფლობით შესრულებას შეეშლება ხელი. სადაზღვევო კომპანიის ანგარიშების დაყადალებით კი, ისეთი ფინანსური ინსტიტუტი, როგორიც სადაზღვევო კომპანია, საქმიანობის თვალსაზრისით დაბრკოლდება, რაც არა თუ უზრუნველყოფს გადაწყვეტილების აღსრულებას, არამედ კომპანიის, რომლის ძირითადი საბრუნავი საშუალება ფულია, საქმიანობას შეაფერხებს და უამრავ მომხმარებელს დააზარალებს.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ძირითადი მოტივაცია, ზემოაღნიშნული მსჯელობა სუბსიდიური ხასიათისაა, ხოლო ძირითადი მოტივაცია, თუ რატომ არ უნდა იქნეს ს.კ. „ა.ს.ჯ-ს“ ანგარიშზე ყადაღა დადებული, მდგომარეობს იმაში, რომ ამ ეტაპზე არ არსებობს სადაზღვევო კომპანიის მხრიდან გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულებისაგან თავის არიდების რისკი და გადაწყვეტილების იძულებით აღსრულებისათვის ხელისშემსრულებელი. სარჩელის აღძვრა და სასამართლო წესით უფლების დაცვა კი იმთავითვე არ ნიშნავს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობასა და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობას, მით უფრო, როდესაც მოპასუხე და შესაბამისად, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი სადაზღვევო კომპანიაა, რომლის ფინანსური სტაბილურობისათვის ხელის შეწყობა, სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულებას შეუწყობს ხელს.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო პალატის მსჯელობას იმ ნაწილში, რომ ძირითადი მოტივაცია, თუ რატომ არ უნდა იქნეს ს.კ. „ა.ს.ჯ-ს“ ანგარიშზე ყადაღა დადებული, მდგომარეობს იმაში, რომ ამ ეტაპზე არ არსებობს სადაზღვევო კომპანიის მხრიდან გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულებისაგან თავის არიდების რისკი და გადაწყვეტილების იძულებით აღსრულებისათვის ხელისშემსრულებელი. სარჩელის აღძვრა და სასამართლო წესით უფლების დაცვა კი, იმ-

თავითვე არ ნიშნავს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობასა და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობას.

თუმცა საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმ ნაწილში, რომ თუკი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი სააზღადვევო კომპანიაა, გაუმართლებელია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ფულად ანგარიშზე ყადაღის დადება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ნარმოდგენილი საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1971, 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „ა.ო.ღ.ს.ე.ს.ც-ს“ საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 31 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელი;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა

## განხილვა

№ას-1165-1095-2015

25 ნოემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ზ.ძლიერიძვილი(თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ბაქაქური,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება, ხელშეშლის აღკვეთა  
(ძირითად სარჩელში), აუცილებელი გზის გამოყოფა (შეგებე-  
ბულ სარჩელში)

### აღწერილობითი ნაწილი:

1. გ. რ-ამ სარჩელი აღმრა სასამართლოში შპს „ნ-ის“, ზ. გ-ისა  
და გ. ა-ის მიმართ და მოითხოვა, ზ. გ-ეს და გ. ა-ს მის სასარგე-  
ბლოდ დაეკისროთ 2012 წლის 22 ივნისიდან 2013 წლის 30 ოქ-  
ტომბრამდე ყოველთვიურად – 1500 აშშ დოლარის, 2012 წლის  
22 ივნისიდან ხელშეშლის საბოლოოდ აღკვეთამდე საკუთარ  
ფართში შესასვლელად დამატებითი გზით სარგებლობისათვის  
სოლიდარულად ყოველთვიურად 500 აშშ დოლარის გადახდა.

2. მოსარჩელემ ასევე მოითხოვა, რომ მოპასუხეებს სოლი-  
დარულად დაეკისროთ 1500 აშშ დოლარის გადახდა ყოველთვი-  
ურად 2013 წლის 30 ოქტომბრიდან ხელშეშლის საბოლოოდ  
აღკვეთამდე, აეკრძალოთ მეზობლებთან დამაკავშირებელი  
ლიობების ამოშებაში ხელშეშლა ნებისმიერი ფორმით, დაე-  
ვალოთ, მონაწილეობა მიიღონ სასაზღვრო კედლის ამოშენება-  
ში და დაეკისროთ ხარჯების ნახევარიც – 400 ლარი, რემონტის  
ხარჯი – 7805 ლარი, ასევე, მიყენებული მორალური ზიანის – 50  
000 ლარის ანაზღაურება. ამავდროულად, შპს „ნ-ს“ დაეკისროს  
2013 წლის 30 ოქტომბრიდან ხელშეშლის საბოლოოდ აღკვეთამ-  
დე, საკუთარ ფართში შესასვლელი დამატებითი გზით სარგე-  
ბლობისათვის გ. რ-ას სასარგებლოდ 500 აშშ დოლარის გადახ-  
და.

3. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 10 ივლისის  
განჩინებით, სარჩელის უზრუნველყოფის სახით, გ. რ-ას დაეც-  
ალა, ხელი არ შეეძალა შპს „ნ-ის“ საკუთრებაში არსებული სა-  
დავო უძრავი ქონების დანიშნულებისამებრ გამოყენებაში.

4. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 10 ივნისის განჩინებით კი, შპს „ნ-ის“ მიერ მომავალში აღსაძრავი სარჩელის უზრუნველსაყოფად, გ. რ-ას აეკრძალა ხელშეშლა შპს „ნ-ის“ მიერ გ. რ-ას საკუთრებაში არსებული ფართით (საკადასტრო კოდი №...) სარგებლობაში, რისთვისაც გ. რ-ას დაევალა, აუღო შპს „ნ-ის“ ფართში შესასვლელ კართან არსებული ყველა დაბრკოლება (ხის სამშენებლო ღობე და სხვ).

5. მოპასუხებმა სარჩელი არ ცნეს, ხოლო შპს „ნ-მა“ შეგებებული სარჩელში აღმრა გ. რ-ას მიმართ და მოითხოვა ქ.ქ.-შში, რ-ის გამზირ №-სა და ნ.-ის ქ. №-ში მდებარე გ. რ-ას კუთვნილი ფართიდან აუცილებელი გზის გამოყოფა.

6. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებით გ. რ-ას სარჩელი შპს „ნ-ის“, გ. ა-ისა და ზ. გ-ის მიმართ ნაწილობრივ დაკამაყოფილდა, შპს „ნ-ს“ გ. რ-ას სასარგებლოდ დაეკისრა 4788 აშშ დოლარის გადახდა, მოპასუხებს აეკრძალათ გ. რ-ასათვის ქ.ქ.-შში, რ-ის გამზირ №-სა და ნ.-ის ქ. №-ში (ს.კ.) მდებარე უძრავ ქონებაზე კარის ღიობების ამოშენებაში ხელშეშლა, ხოლო შპს „ნ-ის“ შეგებებული სარჩელი არ დაკამაყოფილდა.

7. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ნაწილობრივ ორივე მხარემ გაასაჩინოვს სააპელაციო წესით.

8. 2015 წლის 23 სექტემბერს გ. რ-ამ განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 10 ივნისის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების იმგვარად შეცვლა, რომ გ. რ-ას დაევალოს სასამართლოს შესაბამის სადეპოზიტო ანგარიშზე განათვასოს 5000 აშშ დოლარი შპს „ნ-ისათვის“ მიყენებული ზიანის საკომპენსაციოდ.

9. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 24 სექტემბრის განჩინებით გ. რ-ას განცხადება არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

10. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღება არის სასამართლოს უფლებამოსილება და არა ვალდებულება, რომელიც განპირობებული უნდა იყოს მნიშვნელოვნად შეცვლილი გარემოებებით და მიზანშეწონილობით.

11. სააპელაციო პალატის მითითებით, მოცემულ შემთხვევაში შპს „ნ-ი“ შეეცადა დაემტკიცებინა, რომ მას საკუთარ ფართან საჯარო გზიდან დასაკავშირებლად აუცილებლად სჭირდე-

ბა გ. რ-ას საკუთრებაში არსებული ფართის (საკადასტრო კოდი №..) გამოყენება. მხარები არ დაცობენ, რომ მითითებული ფართით შპს „ნ-ი“ ხანგრძლივი დროის მანძილზე უკვე სარგებლობს, რისთვისაც გ. რ-ამ მოითხოვა კიდეც სარჩელით ზიანის ანაზღაურება. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიზანშეწონილად არ მიიჩნია, შეცვალა არსებული მდგომარეობა დავის საბოლოო დასრულებამდე.

12. სააპელაციო პალატამ გაითვალისწინა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის მესამე ნაწილით გარანტირებულია გ. რ-ას უფლება, მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფით მიყენებული ზიანის ანაზღაურება შპს „ნ-ისაგან“, თუ ამ უკანასკნელის სარჩელი საბოლოოდ იქნება უარყოფილი სასამართლოს მიერ.

13. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე გ. რ-ამ შეიტანა საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და მისი საჩივრის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

14. საჩივრის ავტორის მითითებით, შპს „ნ-ის“ სარჩელი გ. რ-ას კუთვნილი უძრავი ნიგოთის გავლით აუცილებელი გზის დადგენის თაობაზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა. ეს გადაწყვეტილება დაეფუძნა როგორც ექსპერტიზის დასკვნებს, ასევე, სადაც ადგილზე დათვალიერების შედეგებს, რომ-ლებითაც დადგინდა, რომ შპს „ნ-ს“ საკუთარ ფართთან აქვს რამდენიმე აღტერნატიული მისასვლელი, რაც გამორიცხავს გ. რ-ას საკუთრების უფლების შეზღუდვას.

15. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის შესაბამისად, საჩივრის ავტორმა მიიჩნია, რომ აუცილებელი გზის მოთხოვნისას საჭიროა მხოლოდ იმ ფაქტის დადგენა, გააჩნია თუ არა მოსარჩელეს კუთვნილი ქონებით სარგებლობის აღტერნატიული გზა, ამდენად, დავის ხასიათიდან გამომდინარე, გამოირიცხება სასამართლო გადაწყვეტილების რეალურად აღსრულების დაბრკოლება.

16. მხარის განმარტებით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 10 ივლისის განჩინება ზიანს აყენებს გ. რ-ას, რადგან იგი ვერ ახერხებს კუთვნილი ფართის გაქირავებას და წელიწადში კარგავს 18000 აშშ დოლარს. ამავდროულად, ვერც შპს „ნ-ი“ ახერხებს საკუთარი ფართის გაქირავებას, რადგან იგი დაყადაღებულია გ. რ-ას სარჩელის უზრუნველსაყოფად.

17. გ. რ-ას კუთვნილი ფართი, არის გამოუყენებელ მდგომარეობაში, იქცა ანტისანიტარიის ბუდედ, რაც ლახავს არა მხოლოდ მესაკუთრის უფლებებს, არამედ საფრთხეს უქმნის მო-

სახლეობის ჯანმრთელობას, ზიანს აყენებს ქალაქ ქ-ის ცენტრალურ ნაწილს, რომელსაც ყოველდღიურად სტუმრობენ ტურისტები.

18. მხარემ განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი ერთნაირად იცავს ორივე მხარის ინტერესებს და მოსარჩელის ინტერესების უზრუნველყოფა არ ხდება მოპასუხის უფლებების გაუთვალისწინებლად. ამასთან, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება უნდა იყოს ადეკვატური დავის საგანზე მისაღები გადაწყვეტილების აღსრულებასთან მიმართებით.

19. გ. რ-ამ მიიჩნია, რომ გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლით ოპტიმალურად და ადეკვატურად იქნება დაცული ორივე მხარის ინტერესი, თუ საჩივრის ავტორი დეპოზიტზე განათავსებს 5000 აშშ დოლარს.

20. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 12 ნოემბრის განჩინებით გ. რ-ას საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუსაბუთებლად და საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

21. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup>-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საჩივარში დაფიქსირებული მოსაზრებებით არ არის გაქარწყობული გასაჩივრებული განჩინების დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით. ამავე კოდექსის 196-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა არის სასამართლოს უფლებამოსილება და არა ვალდებულება, რომელიც განპირობებული უნდა იყოს მნიშვნელოვნად შეცვლილი გარემოებებით და მიზანშეწონილობით. მოცემულ შემთხვევაში ამგვარი ცვლილება დადასტურებული არ არის. შესაბამისად, საჩივარი დაუსაბუთებელია და ვერ დაკმაყოფილდება, რის გამოც იგი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად უნდა გადაეგზავნოს ზემდგომ სასამართლოს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

22. საკასაციო სასამართლო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. რ-ას საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კი დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

23. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მი-

მართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარე-მოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღო-ნისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასა-ბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიე-ბის გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასა-მართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნ-ველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარე-ბა მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახ-დენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტ-ანაზე.

24. დასახელებულ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებელი შესაძლებლობას აძლევს მოსარჩელე მხარეს, მხოლოდ საკუთარი კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით, მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყ-ენება. ამისათვის მოსარჩელემ სარწმუნოდ უნდა დაასაბუთოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭი-როება, რათა სასამართლოს შეუქმნას რჩმენა კონკრეტულ გა-რემოებათა საფუძველზე გადაწყვეტილების უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ.

25. აღნიშნული საკითხების დამაჯერებლად დამტკიცება მნიშვნელოვანია, რამდენადაც მსგავსი სახის უზრუნველყოფა ნარმოადგენს ერთი მხარისათვის თავისი უფლებების დაცვის გარანტის, ხოლო მეორე მხარეს უზღუდავს კანონიერი უფლებე-ბის განხორციელების შესაძლებლობას. შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტილებას და ერთ-ერთი მხა-რის უფლებების თუნდაც კანონისმიერ ფარგლებში შეზღუდ-ვისას სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარა-უდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გა-რეშე ობიექტურად შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულდება საქმის განხილვის სამართლებრივი შედეგის – სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.

26. ამდენად, საკუთრების ნებისმიერი შეზღუდვის შემთხ-ვევაში, შეზღუდვა უნდა განხორციელდეს მხარის ინტერესთა შორის სამართლიანი ბალანსისა და პროპორციულობის პრინ-ციპის გათვალისწინებით. საკუთრების უფლებაში ჩარევა უნდა

პასუხობდეს დასახულ მიზანს და იმდენად უნდა იწვევდეს მე-საქუთრის უფლებების შეზღუდვას, რამდენადაც ეს აუცილე-ბელია ამ მიზნის მისაღწევად.

27. ამავე კოდექსის 196-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახ-მად, მხარეთა თხოვნით დასაშვებია სარჩელის უზრუნველყ-ოფის ერთი სახის მეორით შეცვლა.

28. მითითებული ნორმით გათვალისწინებული შესაძლებლო-ბა გამოიყენება ისეთ დროს, როდესაც მხარე სარწმუნოდ დას-აბუთებს, რომ ამგვარი ცვლილების განხორციელებით საში-როება არ დაემუქრება არც სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას და არც მოწინააღმდეგე მხარის კანონიერ ინტერ-ესებს.

29. მოცემული საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 10 ივლისის განჩინებით შპს „ნ-ის“ მიერ მომავალში აღსაძრავი სარჩელის უზრუნველსაყ-ოფად, გ. რ-ას აეკრძალა ხელშეშლა შპს „ნ-ის“ მიერ გ. რ-ას სა-კუთრებაში არსებული ფართით (საკადასტრო კოდი №..) სარგე-ბლობაში, რისთვისაც გ. რ-ას დაევალა, აეღო შპს „ნ-ის“ ფართში შესასვლელ კართან არსებული ყველა დაბრკოლება (ზის სამ-შენებლო ღობე და სხვ).

30. 2015 წლის 23 სექტემბერს გ. რ-ამ განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 10 ივლისის განჩინებით გამოყენებუ-ლი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების იმგვარად შეცვ-ლა, რომ გ. რ-ას დაევალოს სასამართლოს შესაბამის სადეპოზი-ტო ანგარიშზე განათვალსო 5000 აშშ დოლარი შპს „ნ-ისათვის“ მიყენებული ზიანის საკომპენსაციოდ.

31. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს იმ ფაქტზე, რომ აღნიშნული განჩინების მსჯელობის საგანია უკვე გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სხვა სახის ღონისძიებით შეცვლის კანონიერება და მოცემული საჩივ-რის განხილვს ფარგლებში საკასაციო პალატა ვერ შეაფასებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებად შეგებებული სარ-ჩელით მოთხოვნილი აუცილებელი გზის გამოყოფის გამოყენებ-ის მართლზომიერებას.

32. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს სადაც გარემოებათა მტკიცების გარკვეულ სტანდარტს, კერძოდ, 102-ე მუხლის პირველი ნაწი-ლის ძალით თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოება-ნი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესა-გებელს.

33. მოცემულ შემთხვევაში გ. რ-ას მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა იმ გარემოების დადასტურება, რომ სარჩელის უზრუნველყოფის „უკვე გამოყენებული ღონისძიების შეცვლით შპს „ნისათვის“ მიყენებული ზიანი 5000 აშშ დოლარს არ აღემატება, თუმცა მხარეს აღნიშნული საპროცესო მოვალეობა არ შეუსრულებია.

34. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს გ. რ-ას მოსაზრებას, რომ გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლით ოპტიმალურად და ადეკვატურად იქნება დაცული ორივე მხარის ინტერესი, ვინაიდან გაურკვეველია, რა მოცულობის ზიანი შეიძლება მიადგეს შპს „ნ-ს“ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ მას კუთვნილ ფართან სხვა მისასვლელი არ გააჩნია.

35. რაც შეეხება სასამართლოს მიერ 2015 წლის 10 ივლისის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით თავად გ. რ-ასათვის მიყენებულ ზიანს, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო პალატის მითითებას, რომ საჩივრის ავტორს სრული უფლება გააჩნია, მოითხოვოს აღნიშნული ზიანის ანაზღაურება.

36. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიაჩნია, რომ წარმოდგენილი საჩივარი არ უნდა დაკამაყოფილდეს და სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. გ. რ-ას საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2015 წლის 24 სექტემბრისა და 12 ნოემბრის განჩინებები დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# სარჩელის უზრუნველყოფით გამოცვაული ზარალის ანაზღაურება

## განხილვა

№ას-759-718-2015

28 ივლისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. თოლეა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ე. გასიტაშვილი

**დავის საგანი:** სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით  
მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა, სარ-  
ჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება

### აღნერილობითი ნაწილი:

1. მ. ა-ა შპს „ქ. მ-ს“ (სკ ...) პარტნიორი და საზოგადოების 39,5% წილის მფლობელია, ხოლო მეორე პარტნიორი, ჯ. ხ-ა კი, 60. 5%-ის მესაკუთრეა.

2. მ. ა-მ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასა-  
მართლოს და მოითხოვა სარჩელის აღქვრამდე მოპასუხე შპს „ქ. მ-ს“ საკუთრებაში არსებულ ქონებაზე ყადაღის დადება [საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, „შემდგომ-  
ში სსკ-ის“, 192-ე მუხლის პირველი ნაწილი].

3. განმცხადებლის მოთხოვნა დასაბუთებული იყო შემდეგი გარემოებით:

ა) მას და ჯ. ხ-ს შორის უკანასკნელ ხანს მეტად დაძაბული ურთიერთობაა, რაც განპირობებულია სანარმოს მართვაში მე-  
სამე პირის, ხოფერიას შვილის, ს. მ-ს, მონაწილეობით.

ბ) ბოლო ორი წლის განმავლობაში იგი (განმცხადებელი) ფაქ-  
ტობრივად არ მონაწილეობს საზოგადოების საქმიანობაში, ყვე-  
ლა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღება მისი დასწრები-  
სა და აზრის გათვალისწინების გარეშე. ამ ხნის განმავლობაში  
მას არ მიუღია კუთვნილი დივიდენდები;

გ) 2014 წლის 19 დეკემბერს შპს „ქ. მ-ს“ მიერ დაიგეგმა პარტ-  
ნიორთა მორიგი კრება. დღის წესრიგის მიხედვით, ერთ-ერთი  
საკითხი საზოგადოების საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთ-  
ების გასხვისებას შეეხებოდა. ვინაიდან კრებაზე გადაწყვეტი-  
ლება უმრავლესობით მიიღებოდა, მის დასწრებას მხოლოდ

ფორმალური ხასიათი ექნებოდა და უძრავი ქონება მაინც გასხვისდებოდა.

დ) აღნიშნულის გამო, იგი აპირებს, საზოგადოების წინააღმდეგ აღძრას სარჩელი და მოითხოვოს: შპს „ქ. მ-ი“ მისი წილის გამოყოფა, საზოგადოებიდან გასვლა და მიუღებელი შემოსავლის, 2 000 000 ლარის, გადახდა.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 18 დეკემბრის განჩინებით მ. ა-ს განცხადება ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და შპს „ქ. მ-ს“ აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონების გასხვისება ან რაიმე სახის ვალდებულებით დატვირთვა:

4.1. უძრავი ქონება საკადასტრო კოდით №..., მის: ქ. ყვარელი;

4.2. უძრავი ქონება საკადასტრო კოდით №..., მის: ყვარელი, სოფ. ...;

4.3. უძრავი ქონება საკადასტრო კოდით №..., მის: ქ. ყვარელი, სოფ. ...;

4.4. უძრავი ქონება საკადასტრო კოდით №..., მის: ქ. ყვარელი, სოფ. ...;

4.5. უძრავი ქონება საკადასტრო კოდით №..., მის: ყვარელი, სოფ. ...;

4.6. უძრავი ქონება საკადასტრო კოდით №..., მის: ყვარელი, სოფ. ...;

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 18 დეკემბრის განჩინება გაასაჩივრა შპს „ქ. მ-ა“. საჩივრის ავტორი სადაოდ ხდიდა, როგორც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მართლზომიერებას, ასევე იმ გარემოებასაც, რომ სასამართლომ არ იმსჯელა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფაზე;

6. საჩივარზე გადაწყვეტილების მიღებამდე, 2014 წლის 29 დეკემბერს, მ-ა ა-მ სარჩელი აღძრა შპს „ქ. მ-სა“ და ჯ. ხ-ს, წინააღმდეგ. მან ფაქტობრივად შეცვალა სარჩელის აღძვრამდე განცხადებაში მითითებული დავის საგანი და ამჯერად მოითხოვა: მოპასუხეებს საწარმოში მისი კუთვნილი წილის [39.5%] საკომპენსაციოდ 20 000 000 აშშ დოლარი დაკასრებოდათ. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში სსკ-ის) 399-ე მუხლის მეოთხე ნაწილზე და 352-ე, 354-ე მუხლებზე. მან ასევე სსკ-ის 408 (1) და 411-ე და 412-ე მუხლების საფუძველზე მიყენებული

ზიანის, 1 500 000 აშშ დოლარის, ანაზღაურებაც მოითხოვა.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 16 იანვრის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად გადაიგზვნა თბილისის სააპელაციო სასამართლოში;

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 6 თებერვლის განჩინებით საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ძალაში დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 18 დეკემბრის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფით მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის მოთხოვნა დაკმაყოფილდა და მ. ა-ს დაევალა 7 დღის ვადაში საერთო სასამართლოების სადეპოზიტო ანგარიშზე განეთავსებინა 645000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში სსსკ-ის) 199 (1)-ე მუხლი);

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 6 თებერვლის განჩინება მ. ა-ს 2015 წლის 11 თებერვალს ჩაბარდა.

10. მან განჩინებით დაკისრებული მოქმედება არ შეასრულა და მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით საერთო სასამართლოების სადეპოზიტო ანგარიშზე არ განათავსა 645 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 19 თებერვლის განჩინებით გაუქმდა საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 18 დეკემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება. აღნიშნული განჩინების მიღების საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ მ. ა-მ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 6 თებერვლის განჩინებით დადგენილი მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურება ვერ უზრუნველყო (სსსკ-ის 199.2 მუხლი).

12. მ-ა ა-მ გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 6 თებერვლის განჩინება მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის ნაწილში, ასევე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 19 თებერვლის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების შესახებ. საჩივრის ავტორის მოსაზრებით, არ არსებობდა სსსკ 199-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წინაპირობები,

რადგანაც არ იყო დასაბუთებული თუ რა სახისა და რა ოდენობის ზიანი მიაღებოდა შპს „ქ. მ-ს“ ქონებაზე ყადალის დადებით. მისი აზრით, სააპელაციო სასამართლოს მხრიდან საკითხისადმი ფორმალური მიდგომა საერთოდ ეჭვქვეშ აყენებს საპროცესო უზრუნველყოფის ინსტიტუტის დანიშნულებას;

13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 ივნისის განჩინებით მ. ა-ს საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საჩივარი საქმის მასალებთან ერთად გადმოიგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

14. საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ არ არსებობს მ-ა ა-ს საჩივრის დაკმაყოფილების არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი საფუძვლი, კერძოდ:

15. საჩივრის ავტორის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ არ არსებობდა სასამართლოს მიერ სსსკ-ის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის გამოყენების წინაპირობები, რადგანაც არ იყო დასაბუთებული, „ქ. მ-ს“ რა სახის და რა ოდენობის ზიანი მიაღებოდა, შპს ქონებაზე ყადალის დადებით, სამართლებრივად დაუსაბუთებელია და, შესაბამისად არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს. სარჩელის უზრუნველყოფისა და მასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ისინი განსაკუთრებით დროულად და სწრაფად უნდა წარიმართოს. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ გაანალიზა რა საქმის გარემოებები:

16. ა) შპს „ქ. მ-ს“ ქონებაზე ყადალის დადებით შეეზღუდა მათი რეალიზაციის გზით კრედიტორების ვადამოსული მოთხოვნების დაკმაყოფილების საშუალება, ბ) ასევე გააანალიზა მ. ა-ს სასარჩელო მოთხოვნების მოცულობა [21 500 000 აშშ დოლარი], გამოიყენა კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება და მოსარჩელეს მოსთხოვა მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა მოთხოვნის ღირებულების 3%, 645 000 დოლარი;

17. სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა სსსკ-ის 199-ე მუხლის მეორე ნაწილის ბოლო წინადადება და მას შემდეგ, რაც განჩინებით დადგენილ ვადაში მოსარჩელემ არ განხორციელა მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა, გააუქმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 18 დე-

კემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, შპს „ქ. მ-ს“ [ს/კ...] ქონებაზე დადებული ყადაღა.

18. ამასთან, საკასაციო სასამართლო საჩივრის ავტორის ყურადღებას მიაქცევს შემდეგზე:

სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მან პირის მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების სამართლებრივი გარანტიები უნდა შექმნას. მართალია, სსსკ-ის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით და მოთხოვოს მოპასუხეს დაუნესდეს გარკვეული სახის შეზღუდვები დავის საგნის [მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით] განკარგვასთან მიმართებით, მაგრამ მან სათანადოდ უნდა დაასაბუთოს ასეთი შეზღუდვის აუცილებლობა. წარმოდგენილი/ან მომავალში მის მიერ წარმოსადგენი სარჩელის შინაარსი მაღალი ალბათობით უნდა იძლეოდეს იმის ვარაუდის შესაძლებლობას, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნას გააჩინა პერსპექტივა და მასში მითითებული ფაქტობრივი წინაპირობების განხორციელების [შესრულებაში] შემთხვევაში, სწორედ ის სამართლებრივი შედეგი დადგება, რისი ინტერესიც გააჩინა მოსარჩელეს, ანუ მხარის მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს [„სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე“ სსსკ-ის 191(1)-ე მუხლის ბოლო ორი წინადადება], მათ ასკურავს მიერ წარდგენილი სარჩელი კი ასეთი ვარაუდის შესაძლებლობას არ იძლევა. კერძოდ:

19. 2014 წლის 29 დეკემბრის სარჩელით მან მოთხოვნა წაუყენა სანარმო – შპს „ქ. მ-ს“ და პარტნიორ ჯ. ხ-ს სანარმოში მისი კუთვნილი წილის [39.5%-ის] საკომიცენსაციოდ 20 000 000 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად იგი მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში სსკ) 399-ე მუხლის მეოთხე ნაწილზე და 352-ე, 354-ე მუხლებზე. სსკ-ის 399-ე მუხლი არეგულირებს გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის მოშლის სამართლებრივ შედეგებს და არა სამეწარმეო ურთიერთობიდან გამომდინარე პარტნიორის საზოგადოებიდან გასვლის სამართლებრივ შედეგებს. მართალია, სანარმოს დაფუძნება წარმოადგენს სამო-

ქალაქო სამართლებრივ გარიგებას, მაგრამ პარტნიორების უფლება-მოცალეობები არა სამოქალაქო კოდექსის, არამედ „მე-ნარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის საფუძველზე, როგორც კანონით, ისე საწარმოს წესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით) განისაზღვრება. მოცემულ შემთხვევაში, პარტნიორების მიერ კაპიტალის გაერთიანების შედეგად დაფუძნებულია შპს „ქ. მ-ი“, რომელიც დამოუკიდებელი სუბიექტია და საკუთარი სახელით მონაწილეობს სამოქალაქო ბრუნვაში. დაყადაღებული ქონება, წარმოადგენს არა პარტნიორების საკუთრებას, არამედ საწარმოს საკუთრებას და შესაბამისად, პარტნიორებს შორის დავის შემთხვევაში, მათ მიერ დაფუძნებული საზოგადოება, შპს „ქ. მ-ი“, ვერ იქნება ის პირი, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ამ ნაწილში სრულად იზიარებს მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებას.

20. მ-ა ა-ს შპს-დან გასვლის უფლებასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „მენარმეთა შესახებ“ კანონი სპეციალურად არ არეგულირებს პარტნიორის საზოგადოებიდან გასვლის სამართლებრივ შედეგებს. ამ კანონის 46-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, ეს საკითხი წესდებით უნდა იქნეს მოწესრიგებული. საზოგადოების წესდების მეოთხე პუნქტით განსაზღვრულია პარტნიორთა უფლება-მოვალეობები. შეთანხმების მიხედვით, პარტნიორს შეუძლია საზოგადოებიდან გავიდეს წილის გასხვისების [3.4.7] ან საწესდებო კაპიტალის ოფიციალური შემცირებით და მის მიერ განხორციელებული შენატანის უკან დაბრუნების გზით [3.4.2]. ამრიგად, წესდება არ ანიჭებს მ-ა ა-ს უფლებას, მოთხოვოს თავისი კუთვნილი წილის კომპენსაცია. შესაბამისად, მაღალი ალბათობით მის მოთხოვნას წარმატების შანსი არ ექნება. ასეთი უფლების არსებობის შემთხვევაშიც კი, მოთხოვნა, სავარაუდოდ, ნაკლებად პერსპექტიული იქნება, რადგანაც საფრთხის წინაშე დადგება საზოგადოების კრედიტორების ვადამოსული მოთხოვნების დაკმაყოფილების საკითხი.

21. მ. ა-ს სასარჩელო მოთხოვნა მიყენებული ზიანის, 1 500 000 აშშ დოლარის ანაზღაურების თაობაზე სამართლებრივ საფუძვლად სსკ-ის 408 (1) და 411-412 მუხლების დანაწესზე, მითითებით ასევე ნაკლებად სავარაუდოა, რომ დაკმაყოფილდეს. ჯერ ერთი, მოსარჩელის განცხადება არ შეიცავს ინფორმაციას თუ რა სახისა და რა ოდენობის დივიდენდი ეკუთვნოდა მას, როგორც პარტნიორს. მართალია, შპს-ს კომერციული საქმი-ანობის მიზანი მოგების მიღებაა, მაგრამ ეს სულაც არ გულისხ-

მობს იმას, რომ საწარმომ რეალურად ნახა მოგება. ამ სახის მოთხოვნის დასასაბუთებლად აუცილებელია, მინიმუმ იმაზე მაინც იყოს მითითება სარჩელში, თუ ფაქტობრივად რა პერიოდში და რამდენი მოგება მიიღო საწარმომ და დივიდენდი განაწილდა თუ არა ჯ. ხ-ზე. იმ ვითარებაში, როდესაც აუდიტორული დასკვნის მიხედვით, კომპანიას დღეისათვის ჰყავს კრედიტორები და მათ მიმართ მას გააჩნია ფულადი დავალიანება, რომელიც 29 000 000 ლარს აღემატება, ზემოაღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილება საფრთხეს შეუქმნიდა კრედიტორთა ინტერესებსაც და მათ სამართლებრივ სტაბილურობასაც;

22. ამრიგად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან საპერატურო სამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. მ-ა ა-ს საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 6 თებერვლის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფით მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის შესახებ განცხადების ნაწილობრივ დაკმაყოფილების ნაწილში და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 19 თებერვლის განჩინება;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**დაუსწრებელი გადაცემის გამოტანა  
დაუსწრებელი გადაცემის გამოტანა  
შესაბამის თარიღის მიზანის გამო**

**განხილვა**

№ას-248-233-2014

12 თებერვალი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ნასყიდობის თანხის დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ბ. გ-მ სარჩელი ალძრა სასამართლოში მ. ა-ას მიმართ შეძენილი ცხვრის ღირებულების – 13 855 ლარის, ასევე სასამართლო და სასამართლოსგარეშე ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნით შემდეგ გარემობათა გამო:

2012 წლის 20 სექტემბერს მოსარჩელემ მოპასუხეს მიყიდა კუთვნილი 141 ცხვარი და თითოეულის ღირებულება განისაზღვრა 155 ლარით. მხარეთა შეთანხმებით მოპასუხეს თანხა უნდა გადაეცა ერთ კვირაში.

მოპასუხემ ვალდებულება არ შეასრულა ჯეროვნად და გადასახდელი აქვს 13 855 ლარი.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა შემდეგი საფუძვლებით:

მ. ა-ას მოსარჩელისაგან ცხვარი არ შეუძენია და არც მისი ვალი გააჩნია. ბ. გ-ის ცხვარი, ისევე, როგორც მოპასუხისა და კიდევ სხვა პირების ცხვარი, შეიძინა მ. ხ-მ, რომელმაც თანასოფლელ კ. ო-ის მეშვეობით გადასცა მას თანხის ნაწილი.

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩინორა მოსარჩელემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 12 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ბ. გ-ის სააპელაციო საჩივარი დაქმაყოფილდა, სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილე-

ბა და ბ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, მ. ა-ას ბ. გ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 13 855 ლარის ანაზღაურება შემდეგი დასაბუთებით:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში 2013 წლის 28 ნოემბერს, 12:00 საათზე დანიშნულ საქმის ზეპირი განხილვისას არ გამოცხადდა მონინაალმდეგი მხარე მ. ა-ა, რომელიც სასამართლო სხდომის შესახებ გაფრთხილებული იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

სასამართლოს მითითებით, მართალია, საქმეში წარმოდგენილ იყო 2013 წლის 21 ნოემბრის განცხადება, მაგრამ აღნიშნული განცხადების შინაარსიდან გამომდინარე დგინდებოდა, რომ მას სასამართლოსათვის არ მოუთხოვია საპატიო მიზეზის გამო, დანიშნული პროცესის სხვა დროისათვის გადადება, განცხადებებისა მიუთითა მხოლოდ რამდენიმე ფაქტობრივ გარემოებაზე და მოითხოვა სასამართლოს მიერ სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანა, ამდენად, პალატამ ჩათვალა, რომ არ არსებობდა რაიმე გარემოება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მოპასუხის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიოდ მიჩნევისათვის. ბ. გ-ის წარმომადგენელმა ჯ. მ-მა იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისა და ბ. გ-ის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე, რაც სასამართლომ საფუძვლიანად მიიჩნია.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლით, 387-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 230-ე მუხლის პირველი ნაწილით და რადგანაც სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა მონინაალმდეგი მხარე მ. ა-ა, რომელიც სასამართლო სხდომის შესახებ გაფრთხილებული იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, ამასთან, არ არსებობდა მისი გამოუცხადებლების საპატიო მიზეზი, ხოლო აპელანტის (მოსარჩელის) მიერ სააპელაციო საჩივრში (სარჩელში) მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებდა (ასაბუთებდა) აპელანტის მოთხოვნას არსებობდა შუამდგომლობის დაკმაყოფილების ნინაპირობები, კერძოდ, სააპელაციო საჩივარი (სარჩელი) ემყარებოდა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

2012 წლის 20 სექტემბერს ბ. გ-მ მ. ა-ას მიჰყიდა კუთვნილი 141 ცხვარი, თითოეული 155 ლარის ღირებულების, გარიგება დაიდო ზეპირად. მხარეთა შეთანხებით მ. ა-ას ბ. გ-ისათვის თანხა უნდა გადაეცა ერთ კვირაში. მ. ა-ამ ვალდებულება არ

შეკასრულა ჯეროვნად და მას ბ. გ-ისათვის გადასახდელი ჰქონდა 13 855 ლარი (სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები).

სასამართლოს საქმეზე დაკითხულ მოწმეთა (დ. ლ-ე, მ. ქ-ე, ჯ. გ-ე, ფ. ა-ი, მ. ხ-ე) ჩვენებების საფუძველზე დადგენილად უნდა მიეჩნია ის გარემოება, რომ ბ. გ-ისაგან 141 სული ცხვარი შეიძინა მ. ა-ამ და არა მ. ხ-მ, შესაბამისად, არ არსებობდა რაიონული სასამართლოს მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის გამოყენების წინაპირობა და ამ მუხლის თანახმად, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.

მოსარჩელის განმარტებითა და მოწმეთა ჩვენებებით დადგინდა, რომ მ. ა-ას მაქსიმუმ ერთ კვირაში ცხვრის შეძენიდან უნდა მოეტანა ნასყიდობის თანხა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ახმეტის რაიონული სამმართველოს ნერილით და გამოკითხვის ოქმით დგინდებოდა, რომ ბ. გ-მ 141 ცხვარი მიჰყიდა მ. ა-ს, რომელმაც თავის გამოკითხვაში დაადასტურა ვალის არსებობა.

სამოქალაქო საქმეთა პალატამ დამტკიცებულად მიიჩნია რაზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები, ჩათვალა, რომ ისინი სამოქალაქო კოდექსის 186-ე, 317-ე მუხლის პირველი ნაწილის, 327-ე მუხლის პირველი ნაწილის, 361-ე, 397-ე, 477-ე და 478-ე მუხლების თანახმად, იურიდიულად ამართლებდნენ სააპელაციო საჩივრის (სარჩელის) მოთხოვნას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 13 თებერვლის განჩინებით მ. ა-ას საჩივრი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა ძალაში შემდეგი დასაბუთებით:

დაუსწრებელი გადაწყვეტილების წინააღმდეგ წარდგენილ საჩივარს მ. ა-ამ დაურთო 2013 წლის 30 ოქტომბერს წარმოდგენილი განცხადება, რომელსაც ახლავს 28 ოქტომბერს გაცემული ჯანმრთელობის მდგომარეობის დამადასტურებელი ცნობა – ფორმა №100, ასევე 2014 წლის 17 იანვარს გაცემული ფორმა №100 და ცნობა №41, რომელთან ერთი გაცემულია კლინიკის მიერ, ხოლო მეორე – უშუალოდ მკურნალი ექიმის მიერ ხელმოწერილია და დამოწმებულია ბეჭდით. წარმოდგენილი ცნობები არ შეიცავდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლით გათვალისწინებულ იმ საპატიო მიზეზთა ჩამონათვალს, რომელიც შეიძლება საფუძვლად დადებოდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას.

სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ სასამართლო სხდომა დანიშნული იყო 2013 წლის 31 ოქტომბერს, სადაც არ გამოცხადდა რა მ. ა-ა, პალატამ გაითვალისწინა 2013 წლის 28 ოქტომბერს გაცემულ ფორმა №100-ში მითითებული საფუძვლები და სხდომა გადადო 2013 წლის 28 ნოემბერს. სხდომამდე, 21 ნოემბერს მ. ა-ამ წარადგინა განცხადება, სადაც იგი საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისა და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე მიანიშნებდა და სხდომის გადადების შუამდომლობას ეს განცხადება არ შეიცავდა. ის გარემოება, რომ მ. ა-ასათვის ცნობილი იყო 28 ნოემბერს დანიშნული სხდომის თაობაზე, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების დროს სასამართლომ შეამონა, შეტყობინება სხდომის შესახებ 2013 წლის 13 ნოემბერს ჩაბარებული ჰქონდა თავად მ. ა-ას, რის გამოც სწორედ 21 ნოემბერს მიმართა სასამართლოს განცხადებით. 28 ნოემბერს საპატიო მიზეზით მისი სხდომაზე გამოუცხადებლობის რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტი წარდგენილი არ ყოფილა, განცხადება ასეთ მითითებას არ შეიცავდა, მხარე არ ითხოვდა სხდომის გადადებას და აქედან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება იყო საპროცესო ნორმების დაკვით მისაღები. შესაბამისად, დაკმაყოფილდა საპელაციო საჩივარი.

რაც შეეხება საჩივარში მითითებულ იმავე 2013 წლის 28 ოქტომბრის ფორმა №100-სა და 2014 წლის 17 იანვარს გაცემულ ცნობას, ასევე ფორმა №100-ს, პალატის შეფასებით, 31 ოქტომბერს გადადებულ სხდომაზე წარმოდგენილი ცნობა ვერ გახდებოდა 2013 წლის 28 ნოემბერს ჩანიშნულ სხდომაზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების წინაპირობა მით უფრო, რომ 2014 წლის 17 იანვარს გაცემულ ფორმა №100-ში მითითებული არ ყოფილა, რომ მ. ა-ას 28 ნოემბრიდან აღნიშნებოდა ჯანმრთელობის გაუარესება, რადგან ავადმყოფობა ქრონიკულ ხასიათს ატარებდა და მას იმ დღეს სხდომაზე გამოცხადება არ შეეძლო, ამის დამადასტურებელ გარემოებებზე მითითებას განცხადება და ცნობა არ შეიცავდა.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 240-ე მუხლით და მიიჩნია, რომ საჩივრის აცტორმა ვერ წარადგინა იმის დამადასტურებელი დოკუმენტები, რაც 2013 წლის 28 ნოემბრის სხდომაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის ფაქტს დადასტურებდა.

სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. ა-ამ, მოითხოვა მათი

გაუქმება და საქმის იმავეს სასამართლოსათვის ხელახლა გან-სახილველად დაბრუნება შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 13 თებერვლის გან-ჩინება იურიდიულად დაუსაბუთებელია, სასამართლომ სრულად არ გამოიკვლია სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოე-ბები, დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხ-ლის მე-2 ნაწილი, კერძოდ, სასამართლო შეიძლება დაყრდნო-ბოდა მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ და-გენილ სადაცო და უდავო ფაქტობრივ გარემოებებს ან, საქმის ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის გზით, თავად დაედ-გინა ახალი. სააპელაციო პალატა, მართალია, მიუთითებს რაიონ-ული სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებზე, თუმცა არ გაიზიარა ის, რომ სადაცო ცხვარი მოსარჩელისაგან შეიძინა არა კასატორმა, არამედ მ. ხ-მ.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართ-ლომ გამოიყენა დაუშვებელი მტკიცებულებები, კერძოდ, ცხ-ვრის მოპასუხისათვის გადაცემის ფაქტი დადგენილად ცნო შეს კახეთის მთავარი სამართველოს ახმეტის რაიონული სამართ-ველოს წერილის თანახმად. თავად სისხლის სამართლის საქმეზე მოპოვებული მტკიცებულების უკანონობას ადასტურებს ის გა-რემოება, რომ მ. ა-ა არ ფლობს სამართლწარმოების ენას, სა-ჭიროებს აზერბაიჯანულენოვან თარჯიმანს, რაც განაცხადა კიდევაც საქმის პირველი ინსტანციის წესით განხილვისას, სა-დაცო დოკუმენტი კი, ქართულ ენაზეა შედგენილი, რაც სისხ-ლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, მის დაუშვე-ბელ მტკიცებულებად მიჩნევის წინაპირობაა.

გარდა აღნიშნულისა, საქმეში არ არის სააპელაციო სასა-მართლოს სხდომის ოქმი, კერძოდ, საქმის გაცნობისას გაირკ-ვა, რომ 2014 წლის 13 თებერვლის სხდომის ოქმი, რა დროსაც მიღებულ იქნა განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძა-ლაში დატოვების შესახებ, საქმეში არ იყო წარმოდგენილი იმ მიზეზით, რომ მასზე არ იყო ერთ-ერთი მოსამართლის ხელმოწ-ერა, სხდომის ოქმის მხარის წარმომადგენლისათვის გადაცემა მოხერხდა მხოლოდ 2014 წლის 24 თებერვალს, რაც განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

სააპელაციო პალატამ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მი-ლებისას არასწორად არ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კო-დექსის 280-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი და 281-ე მუხლის „ე“ ქვე-პუნქტი. საქმეში წარმოდგენილი იყო საკარისი მტკიცებულე-ბა – 2013 წლის 28 ოქტომბრის ცნობა ფორმა №100/ა, რომლის თანახმადაც კასატორს დადგენილი ჰქონდა ბრონქოექტაზოუ-

რი დაავადება, საჭიროებდა ქირურგიულ ჩარევას, დაავადება არის ქრონიკული, პროგრესირებადი, ახასიათებს ხშირი გამწვავება, რა დროსაც ავადმყოფს შეზღუდული აქვს გადაადგილების უნარი, უჭირს სუნთქვა, საზოგადოებასთან კომუნიკაცია, ესაჭიროება ამბულატორიული მკურნალობა, ხოლო გამწვავების პერიოდში – წოლითი რეჟიმი. სასამართლოს ამ მტკიცებულების საფუძველზე შეეძლო, შეეჩერებინა საქმის განხილვა არა უმეტეს 2 თვისა.

საქმეში წარმოდგენილია 2013 წლის 21 ნოემბრის განცხადება, რომლითაც შ. ა-ა მიუთითებდა, რომ ავადმყოფობის გამო სასამართლო სხდომაზე ვერ გამოცხადდებოდა, რაც სხვა მტკიცებულებებთან ერთად, სწორედ საქმის წარმოების შეჩერების საფუძველს წარმოადგენდა.

გარდა აღნიშნულისა, 2013 წლის 21 ნოემბრის განცხადებით მ. ა-ამ სასამართლოს მიაწოდა ინფორმაცია მ. ხ-ის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების თაობაზე და იშუამდგომლა საგამოძიებო ორგანოებიდან მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ, თუმცა სასამართლო ობიექტური ჭეშმარიტების დამდგენი ეს მტკიცებულებები არ მოუპოვებია, უფრო მეტიც, კასატორს შეეზღუდა საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებების განხორციელების შესაძლებლობა, ხოლო საპელაციო პალატამ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მოთხოვნები.

2013 წლის 13 თებერვლის განჩინების გამოტანისას სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მოთხოვნები, კერძოდ, საჩივარზე დართული ცნობების თანახმად, სასამართლოს სხდომა სხვა დროის თვის უნდა გადაეტანა, რადგანაც სამედიცინო დოკუმენტაციის თანახმად მხარე სხდომაზე ვერ გამოცხადდებოდა.

საკასაციო საჩივარზე დართული მკურნალი ექიმის მიერ გაცემული ცნობით დასტურდება, რომ კასატორმა მას 2013 წლის 28 ნოემბერს მიმართა, ჯანმრთელობის მდგომარიება ჰქონდა გართულებული, ექიმის რეკომენდაციის თანახმად, მას ჰქონდა წოლითი რეჟიმი, ანტიბიოტიკური თერაპია, აკრძალული ჰქონდა სიარული და ფიზიკური დატვირთვა. დოკუმენტაციაში მითითებულია, რომ დაავადება ქრონიკულია და ახლავს ხშირი რეციდივი, ხოლო სათანადო მკურნალობის ჩაუტარებლობის შემთხვევაში, მოსალოდნელია სიცოცხლისათვის საშიში გართულებები.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლო არასწორად დაეყრდნო საპელაციო საჩივარში მითითებულ ფაქტო-

ბრივ გარემოებებს, რადგან სააპელაციო საჩივარი შეიცავდა ფაქტობრივ უსწორობებს, შესაბამისად, რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებისას სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნები და სასამართლო სხდომაზე არ გამოიკვლია მტკიცებულებები, შესაბამისად, პალატის დასკვნა, რომ მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს აპელანტის მოთხოვნას, დაუსაბუთებელია. გარდა აღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლომ უარყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლი მოთხოვნა და არასათანადო მოპასუხე – მ. ა-ა არ შეცვალა სათანადო მოპასუხით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა მ. ა-ას საკასაციო საჩივრის საფუძვლანობა, საქმის მასალები, შეამოწმა გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინების სამართლებრივი დასაბუთება და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააქმაყოფილებს საკასაციო საჩივრს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ ხებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ, 2013 წლის 19 სექტემბრის განჩინებით ამავე წლის 31 ოქტომბერს, 12:00 საათზე დანიშნა სასამართლოს მთავარი სხდომა, სასამართლომ აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეს განუსაზღვრა 7-დღიინი ვადა შესაგებლის წარდგენისათვის, ამასთანავე, განუმარტა მ.ა-ას ამ ვალდებულებათა დარღვევის წევატიური შედეგები;

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლების თანახმად გაეგზავნა და პირადად ჩაბარდა კორესპონდენცია მ. ა-ას 2013 წლის 26 სექტემბერს;

საქმეში წარმოდგენილია შესაგებელი, რომლითაც მ.ა-ა არ ცნობს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას. შესაგებელი წარდგენილია 2013 წლის 30 ოქტომბერს;

საქმეში ასევე წარმოდგენილია 30 ოქტომბრით დათარიღე-

ბული განცხადება, რომლითაც მ. ა-ამ მიუთითა მისი ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობაზე, აღნიშნავდა, რომ სწორედ ამ მდგომარეობითაა განპირობებული შესაგებლის წარდგენის ვადის დარღვევა და სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა საქმის მის დაუსწრებლად განხილვის ან განხილვის სხვა დროისათვის გადადების თაობაზე. წარდგენილ განცხადებას ერთვის ექიმ ლ. ო-ის მიერ ხელმოწერილი და დამონმებული ფორმა №100. ცნობა შედგენილია 2013 წლის 28 ოქტომბერს და მითითებულია შემდეგი დიაგნოზი: მარცხენამხრივი ბრონქოექტაზიური დაავადება, ქრონიკული ბრონქიტი – ბრონქოკონსტრიქცია, სუნთქვის ქრონიკული უქმარისობა – I-II ხარისხი, წელის მაღების ოსტეოქონდროზი, დეპრესიული ნევროზი. ცნობის შესწავლით ირკვევა, რომ დაავადება პაციენტს გაუმწვავდა მიმდინარე წლის ივნის-ივლისში, გამოკვლევის შედეგად საჭირო გახდა ოპერაციულ ჩარევა – ფილტვის უბნის ამოკვეთა, რაც არ ჩატარებულა, ზოგადად, დაავადება ქრონიკულია, პროგრესირებადი, მიმდინარეობს ხშირი გამწვავებებით, რა დროსაც ავადმყოფს შეზღუდული აქვს თავისუფლად გადაადგილების უნარი, სუნთქვა, შრომის უნარიანობა, საზოგადოებასთან კომუნიკაცია, ასევე მითითებულია დანიშნული მკურნალობის თაობაზე, სამკურნალო და შრომით რეკომენდაციად მითითებულია ოპერაციული მკურნალობა, სისტემატური ამბულატორიული მეთვალყურეობა და გამწვავების პერიოდში წოლითი რეჟიმი;

სააპელაციო პალატამ, 2013 წლის 31 ოქტომბერს დანიშნულ სხდომაზე წარდგენილი განცხადებისა და ზემოაღნიშნული სამედიცინო ცნობის შესწავლით, მიიჩნია, რომ სახეზე იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული საფუძველი და სასამართლო სხდომა გადაღო 2013 წლის 28 ნოემბერს, 12:00 საათზე;

საქმეში წარმოდგენილი უნიკებისა და საფოსტო შეტყობინების თანახმად, სხდომის გადადების თაობაზე შეტყობინება პირადად ჩაბარდა მ. ა-ას 2013 წლის 18 ნოემბერს;

საქმეში წარმოდგენილია მ. ა-ას განცხადება, რომლითაც მხარე მიუთითებს საქმის გარემოებებზე, შუამდგომლობს გამოძიების მასალების გამოთხოვის თაობაზე და აღნიშნავს, რომ სხდომას ვერ დაესწრება ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ამასთანავე, მოითხოვს სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანას. განცხადება ფოსტას ჩაბარდა 2013 წლის 20 ნოემბერს, ხოლო სასამართლოში რეგისტრირებულია 2013 წლის 21 ნოემბერს, განცხადებას არ ახლავს მისი წარდგენის დროისათვის მ. ა-ას ჯანმრთელობის მდგომაროების დამადასტურებელი მტკიცებულება;

2013 წლის 28 ნოემბერს დანიშნულ სხდომაზე აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე არ გამოცხადებულა, სასამართლომ კი, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება 2013 წლის 12 დეკემბერს გადადო, შესაბამისად, ამ რიცხვითაა დათარიღებული სადავო დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო, გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ განჩინების კანონიერების შემოწმების მიზნით, ყურადღებას გაამახვილებს შემდეგზე:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლი სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის მარეგულირებელი სპეციალური ნორმა, რომელიც ადგენს სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობის შედეგებს, კერძოდ, ნორმის პირველი და მე-2 ნაწილებით განსაზღვრულია აპელანტის ან მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგები, ხოლო მე-3 ნაწილით დადგენილია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის მარეგულირებელი ყველა იმ წესის გამოყენების აუცილებლობა, რაც სპეციალურ მოწესრიგებას (სსსკ 387-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები) არ ეწინააღმდეგება.

იმისათვის, რათა სააპელაციო სასამართლოში აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობისას გამოტანილ იქნას დაუსწრებელი გადაწყვეტილება, უნდა შემოწმდეს არსებობს თუ არა 387-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წინაპირობები: ა) საქმის ზეპირ განხილვაზე არ უნდა გამოცხადდეს აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე; ბ) გამოცხადებული აპელანტი უნდა შეუადგომლობდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე. ამ გარემოებათა კუმულატიურად არსებობა, წარმოადგენს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ფორმალურ წინაპირობას, თუმცა, ზემოაღნიშნული ნორმის მე-3 ნაწილის დათქმიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებულია, შეამოწმოს სააპელაციო საჩივრში (სარჩელში) მითითებული გარემოებები ამართლებს თუ არა აპელანტის მოთხოვნას, ამასთან, სააპელაციო სასამართლო შეიძლება ასევე დაემყაროს აპელანტის ახსნა-განმარტებას. გარდა აღნიშნულისა, პალატამ ასევე უნდა შეამოწმოს ხომ არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები, კერძოდ სახეზე ხომ არ არის შემდგეგი: ა) გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ იყო ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით; ბ) სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუ-

ძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომლებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გა-მოცხადებისათვის; გ) გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები; დ) არ არსებობს სარჩელის აღძრის წინაპირობები (სსსკ 230.2 და 233.1 მუხლები).

მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების წინაპირობას წარმოადგენს საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის დანაწესი, რომლის თანახმადაც, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

თავის მხრივ, საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი განმარტავს, ამ კანონის მიზნებისათვის თუ რა განიხილება საპატიო მიზეზად, ასეთად კი, ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დანესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

განსახილველ შემთხვევაში, კასატორის ძირითადი პრეტენზიები მიმართულია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობის შემდეგი წინაპირობებისაქნ:

ა) საქმეში არ არის სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი.

ბ) სამედიცინო დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მხარე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ გამოცხადდებოდა სასამართლო სხდომაზე;

გ) სასამართლომ არ გამოიკვლია მტკიცებულებები და არასწორად მიიჩნია დადგენილად სარჩელსა და სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები, ამასთანავე, დადგენილად მიჩნეული გარემოებები იურიდიულად არ ამართლებდა სასარჩელო მოთხოვნას, ხოლო მ.ა. წარმოადგენდა არასათანადო მოპასუხეს;

დ) სასამართლოს უნდა შეეჩირებინა საქმის განხილვა მოწინააღმდეგე მხარის ავადმყოფობის გამო;

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრე-

ბეჭს და მიიჩნევს, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანასა და/ან მის გაუქმებაზე უარის თქმის საფუძველი, რადგანაც მხარის სასამართლო სხდომაზე დადგენილი წესით მოწვევის ფაქტი სადავო არაა, რაც შეეხება მისი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზს, მართალია, სამედიცინო დოკუმენტები შეიცავენ გარკვეულ მითითებას მ. ა-ას ჯანმრთელობის მდგომარობის თაობაზე, თუმცა ამ კუთხით სასამართლომ სავსებით მართებულად შეაფასა ისინი და სწორად ჩათვალა, რომ ეს მტკიცებულებები არ ადასტურებდა საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ საპატიო მიზეზის არსებობას, კერძოდ, 2013 წლის 28 ოქტომბრის ცნობა ადასტურებს, რომ მ. ა-ას ესაჭიროება ოპერაციული მკურნალობა, სისტემატური ამბულატორიული მეთვალყურეობა და გამწვავების პერიოდში წოლითი რეჟიმი.

ეს დოკუმენტი გაცემულია სასამართლო სხდომამდე და მისი შინაარსიდან ირკვევა ის, რომ 2013 წლის იენის-ივლისში გაუმნებადა ბოლოს მ. ა-ას ჯანმრთელობა, შესაბამისად, ცნობა არ იძლევა მისი გაცემის შემდეგ დანიშნულ სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობის შესახებ დასკვნის საფუძველს. რაც შეეხება 2013 წლის 20 ნოემბრის განცხადებას, მასში მითითებულია მხოლოდ ის, რომ მ. ა-ას ჯანმრთელობა არ უწყობს ხელს, გამოცხადდეს სასამართლო სხდომაზე, მას არ ერთვის ამ დროისათვის მხარის ჯანმრთელობის მდგომარობის დამადასტურებელი მტკიცებულება, უფრო მეტიც, მ. ა-ას სხდომის გადადების თაობაზე არ უშუამდგომლია, მან მხოლოდ საქმის სამართლიანად გადაწყვეტა მოითხოვა, სასამართლო კი, მხარის მოთხოვნის ფარგლებს ვერ გასცდებოდა.

რაც შეეხება 2014 წლის 17 იანვარს კლინიკა „L-ის“, ასევე ექიმ ლ. ო-ის მიერ გაცემულ ცნობებს, ამ ცნობებით არ დასტურდება სასამართლო სხდომის დღეს, ან საქმეში წარმოდგენილი ბოლო ცნობის გაცემის – 2013 წლის 28 ოქტომბრის შემდეგ მ. ა-ას ჯანმრთელობის არსებით გაუარესების ფაქტი, თანახმად საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილისა.

გარდა აღნიშნულისა, სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის პოზიციას, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 280-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად სასამართლოს საქმის წარმოება უნდა შეეჩერებინა, რადგანაც აღსანიშნავია, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე საჩივარი მხარის ამ პრეტენზიას არ შეიცავს, ამსათანავე, 280-ე მუხლი არ წარმოადგენს იმპერატიულ ნორმას და მისი გამოყენება გამართლებულია მხოლოდ სასამართლოს შეხედულებით, რომელ-

იც საქმის მასალების გამოკვლევას უნდა ემყარებოდეს.

პალატა ასევე ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას სხდომის ოქმის არარსებობის მოტივით გასაჩივრებული განჩინების გაუქმების თაობაზე, რადგანაც, მართალია, საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, იგი გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, მხარე თავადვე ადასტურებს და საქმის მასალებითაც ირკვევა, რომ 2014 წლის 13 თებერვლის სხდომის ოქმი საქმეშია, კასატორი ამ ოქმის არარსებობას უკავშირებს მის საქმეში გვიან განთავსების ფაქტს, რაც თავისთავად ვერ იქნება გაზიარებული საკასაციო პალატის მიერ, ამასთანავე, მოქმედი კანონმდებლობა (სსსკ 289.3 მუხლი) მართალია, ადგენს სხდომის ოქმის მომზადების კონკრეტულ ვადას – 3 დღეს, თუმცა ამ ვადის დარღვევის დადასტურების შემთხვევაშიც კი, იგი მაინც ვერ გახდება მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი, რადგანაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

რაც შეეხება მტკიცებულებათა გამოკვლევასა და საქმის გარემოების არასწორად დადგენას, საკასაციო პალატა ვერც აღნიშნულს გაიზიარებს, რადგანაც აპელანტის მოწინააღმდეგებების მხარის გამოუცხადებლობისას სააპელაციო საჩივარში (სარჩელში) მითითებული გარემოებები კანონის ძალით ითვლება დადგენილად (სსსკ 387-ე და 230-ე მუხლები) იმგვარად, რომ სასამართლოს უფლება, გამოიკვლოოს მტკიცებულებები, კანონით გათვალისწინებული არაა. სასამართლოს როლი მხოლოდ იმაში გამოიხატება, შეამონეოს კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული გარემოებები იურიდიულად ამართლებს თუ არა მოთხოვნას, ანუ სასამართლომ სწორად უნდა განსაზღვროს სამართლის ნორმა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილება და შეაფასოს, დადგენილად მიჩნეული გარემოებები ამართლებს თუ არა მხარის მოთხოვნას.

განსახილველ შემთხვევაში, მ. ა-ას გამოუცხადებლობის გამო, სააპელაციო პალატამ სავსეპით სწორად მიიჩნია დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

– 2012 წლის 20 სექტემბერს ბ. გ-მ მ. ა-ას მიჰყიდა კუთვნილი 141 ცხვარი, თითოეული 155 ლარის ღირებულების, გარიგება დაიდო ზეპირი ფორმით. მხარეთა შეთანხებით მ. ა-ას ბ. გ-

ისათვის თანხა უნდა გადაეცა ერთ კვირაში. მ. ა-ამ ვალდებულება არ შეასრულა ჯეროვნად და მას პ. გ-ისათვის გადასახდელი აქვს 13855 ლარი.

– სასამართლოს საქმეზე დაკითხული მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე დადგენილად უნდა მიეჩნია ის გარემოება, რომ პ. გ-ისაგან 141 სული ცხვარი შეიძინა მ. ა-ამ და არა მ. ხ-მ. შესაბამისად, არ არსებობდა რაიონული სასამართლოს მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის გამოყენების ნინაპირობა და ამ მუხლის თანახმად, სარჩელის დაქმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.

საკასაციო პალატა ასევე იზიარებს გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების მსჯელობას, რომ დადგენილად მიჩნეული გარემოებები სამოქალაქო კოდექსის 186-ე, 327-ე, 477-ე და 478-ე მუხლების თანახმად, იურიდიულად ამართლებენ საპელაციო საჩივრის (სარჩელის) მოთხოვნას.

პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს იმ გარემოებაზეც, რომ როგორც უკვე აღინიშნა, კანონით დადგენილი წესით, 2013 წლის 26 სექტემბერს მ. ა-ას პირადად ჩაბარდა პ. გ-ის სააპელაციო საჩივრის ასლი, სააპელაციო პალატის განჩინება, რომლითაც განესაზღვრა 7-დღიანი ვადა შესაგებლის წარდგენისათვის და განემარტა მისი წარუდგენლობის შედეგების თაობაზე, ასევე სასამართლო უწყება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, 7-დღიანი ვადის დენა დაწყებულია 2013 წლის 27 სექტემბერს და ამოწურულია 2 ოქტომბერს, სააპელაციო პასუხი მხარეს წარდგენილი აქვს 2013 წლის 30 ოქტომბერს. 2013 წლის 30 ოქტომბრის განცხადებით მხარე აღიარებს ამ ვადის დარღვევას იმგვარად, რომ მას არც ვადის დარღვევის საპატიოდ მიჩნევა და არც მისი აღდგენის თაობაზე უშუამდგომლია.

ამ ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლის თანახმად, ზეპირი მოსმენის გარეშე უნდა გამოეტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით პალატა მიიჩნევს, რომ, მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ, აპელანტის მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო, საესებით მართებულად გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე, კასატორმა კი, ვერც საჩივარსა და ვერც საკასაციო საჩი-

ვარში მიუთითა იმგვარ გარემოებებზე, რაც მისი გაუქმების წინაპირობა გახდებოდა.

რაც შეეხება საკასაციო საჩივარსა და 2014 წლის 7 მარტის განცხადებაზე დართულ მტკიცებულებებს, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ისინი უნდა დაუბრუნდეს კასატორს, რადგანაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. აღნიშნული ნორმა ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესუალურ ფარგლებს და მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება, შესაბამისად, საკასაციო პალატა არ არის უფლებამოსილი მიიღოს და განიხილოს ის მტკიცებულებები, რომლებიც ქვემდგომი სასამართლოს მსჯელობის საგანი არ გამხდარა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ, ამდენად, მ. ა-ას უნდა დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე დართული მტკიცებულება 2 (ორი) ფურცლად, ასევე 2014 წლის 7 მარტის განცხადებაზე დართული მტკიცებულება 2 (ორი) ფურცლად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. ა-ას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 12 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ 2014 წლის 13 თებერვლის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## დაუსრულებელი გადაწყვეტილების გამოტანა შესახებლის თარულების გამო

### განხილვა

№ას-673-639-2015

22 სექტემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ოოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ე. გასიმაშვილი

დავის საგანი: სადაზღვევო თანხის ანაზღაურება

#### აღნერილობითი ნაწილი:

1. მ. ბ-ის (შემდეგში: „მოსარჩელის, აპელანტის ან მოწინააღმდეგე მხარის“) ან გარდაცვლილი მეუღლე მ. გ-ე (შემდეგში: „დაზღვეული“) მუშაობდა შპს „ს. ფ-ი“ (შემდეგში: „დამზღვევი ან დამსაქმებელი“) გენერალური ინსპექციის დაცვის ჯგუფის უფროსის თანამდებობაზე.

2. 2013 წლის 31 მაისს შპს „ს. კ. ჯ. ჰ-თან“ (შემდეგში: „მოპასუხესთან, კასატიონთან, მოწინააღმდეგე მხარე ან მზღვეველთან“) დადებული ხელშეკრულების №შ/ზ-195 საფუძველზე დამსაქმებელმა დააზღვია დასაქმებულების, მათ შორის, მ-ლ გ-ის სიცოცხლე და ჯანმრთელობა [საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდგომში სსკ-ის, 799-ე და 844.1 მუხლები].

3. სადაზღვევო შემთხვევას, სხვა გარემოებებთან ერთად, წარმოადგენდა გაუთვალისწინებელი გარეგანი ძალისმიერი ზემოქმედება, რომელიც უფუალოდ გამოიწვევდა დაზღვეულის სხეულის დაზიანებას ან გარდაცვალებას [სსკ-ის 854-ე მუხლი].

4. დაზღვეული უფლებამოსილი იყო, სადაზღვევო შემთხვევის შემთხვევაში, ესარგებლა ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი უფლებებით დამზღვევთან შეთაბეჭის გარეშე, რადგანაც მას ხელთ ჰქონდა სადაზღვევო მოწმობა (პოლისი) [სსკ-ის 837-ე და 844-ე მუხლები].

5. 2013 წლის 23 აგვისტოს სოფელ წინანდალში მყოფ დაზღვეულს დაუსრიალდა ფეხი, ვერ შეიკავა თავი, წაიქცა და მიიღო თავის მძიმე ტრავმა. იგი შემთხვევიდან რამდენიმე საათის შემდეგ სახლში უგონოდ მყოფი ნახეს. უბედური შემთხვევის შედეგად დაზღვეული 2013 წლის 28 აგვისტოს გარდაიცვალა.

6. დაზღვეულის პირველი რიგის კანონისმიერ მემკვიდრეს წარმოადგენს მოსარჩელე (რეგისტრირებული მეუღლე). ამ უკანასკნელის სამემკვიდრეო უფლებები დადასტურებულია 2014 წლის 10 მარტს გაცემული სამკვიდრო მოწმობით [სსკ-ის 1336-ე და 1499-ე მუხლები].

7. მოსარჩელემ, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, მიმართა მზღვეველს და მოითხოვა სადაზღვევო შემთხვევის გამო [დაზღვეულის გარდაცვალება] სადაზღვევო თანხის, 4000 ლარის ანაზღლაურება.

8. მზღვეველმა მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. უარის მიზეზად მითითებული იქნა ან გარდაცვლილის მიერ ალკოჰოლის მიღება [სიმთვრალე], რაც დაზღვევის ხელშეკრულების (უბედური შემთხვევის დაზღვევა) მე-6 პუნქტის შესაბამისად, გამორიცხავდა მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

9. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მზღვეველის წინააღმდეგ სადაზღვევო თანხის, 4000 ლარის, დაკისრების მოთხოვნით.

10. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა კოლეგიის 2014 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სარჩელის უარყოფას სასამართლომ საფუძვლად დაუდო მოთხოვნის გამომრიცხავი გარემოება; კერძოდ ის, რომ დაზღვეული უბედური შემთხვევის დროს ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. დამსაქმებლის მიერ მზღვეველთან დადებული ხელშეკრულების სტანდარტული დებულებით (პ.6) დაზღვეულის გარდაცვალება, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ პროვოცირებული იყო ამ უკანასკნელის ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ ყოფნით, გამორიცხავდა სადაზღვევო თანხის მოთხოვნის უფლებას. მოსარჩელემ გადაწყვეტილება კანონით დადგენილ ვადაში სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2015 წლის 12 მარტს გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება მზღვეველის მიერ დადგენილ ვადაში არასაპატიო მიზეზით სააპელაციო შესაგებლის ნარმოუდგენლობის გამო [საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდგომში სსსკ-ის, 372-ე, 232<sup>1</sup> და 234-ე მუხლები]. გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებდნენ მოთხოვნას.

12. 2015 წლის 26 მარტს მზღვეველმა შეიტანა საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმისნარმოების განახლების თაობაზე, იმ მოტივით, რომ შესაგებლის დროუ-

ლად წარუდგენლობა განაპირობა მენეჯერის მიერ დაშვებულ-მა შეცდომამ, რომელმაც უფლებამოსილ პირს სასამართლოს გზავნილი დროულად არ გადასცა. გარდა ამისა, საჩივრის ავტო-რის მოსაზრებით, საჩივარში მითითებული გარემოებები იური-დიულად არ ამართლებდა აპელანტის მოითხოვნას, რაც გამო-რიცხავდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას [სსკ-ის 232<sup>1</sup>-ე მუხლი]. გარდა ამისა, მზღვეველი მოითხოვდა გაშვებუ-ლი ვადის საპატიოდ ცნობასა და საქმის წარმოების განახლე-ბას.

13. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალ-ატამ 2015 წლის 7 მაისის განჩინებით არ დაკმაყოფილა მომ-ჩივნის მოთხოვნა საქმისნარმოების განახლების თაობაზე.

14. როგორც დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ისე საქმის-წარმოების განახლებაზე უარის თქმის განჩინება, საკასაციო წესით გაასაჩივრა მზღვეველმა და მოითხოვა მათი გაუქმება.

15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქ-მეთა პალატის 2015 წლის 21 ივნისის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და 408-ე მუხლის მე-სამე ნაწილის თანახმად, საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე

### **სამოტივაციო ნაწილი:**

16. საქმის მასალების გაცნობის, მათი ანალიზის, ასევე საკა-საციო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად, პალატა ასკვ-ნის, რომ არ არსებობს საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი, სახელდობრ:

16.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თა-ნახმად, საკასაციო სასამართლო არ დაკმაყოფილებს საკასა-ციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას სა-ფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასა-მართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვა წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმე-თა განხილვისათვის, XLVI თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით (სსკ-ის 372-ე მუხლი). სააპელაციო სასამართ-ლომ 2015 წლის 5 თებერვლის განჩინებით წარმოებაში მიიღო მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი და მზღვეველს შესაგებლის

წარმოსადგენად განუსაზღვრა 7 დღე. [სსსკ-ის 372-ე, 201-ე და 373-ე მუხლის პირველი ნაწილები]. ამავე განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მეორე პუნქტით მასვე განემარტა არასაპატიო მიზეზით შესაგებლის დადგენილ ვადაში წარმოუდგენლობის შედეგები [სსსკ-ის 372-ე და 232<sup>1</sup> მუხლები].

16.2. საქმის მასალებით უტყუარადა დადგენილი, რომ მზღვეველს სააპელაციო სასამართლოს გზავნილი სსსკ-ის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ჩაბარდა 2015 წლის 17 ოქტემბრას. ასევე დადგენილია, რომ მან დადგენილ ვადაში არ წარადგინა შესაგებელი. შესაგებლის წარუდგენლობა არ იყო გამოწვეული საპატიო მიზეზით. ის გარემოება, რომ მენეჯერმა გამოიჩინა უყურადებობა და უფლებამოსილ პირს არ გადასცა სასამართლოს გზავნილი, საპატიო მიზეზად ვერ ჩაითვლება და, შესაბამისად, სამართლებრივ შედეგს ვერ შეცვლის, რადგანაც არ წარმოადგენს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების გამომრიცხავ გარემოებას. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოქმედი სამოქალაქო საკროცესო კანონმდებლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას კრძალავს სსსკ-ის 233-ე და 230-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, კერძოდ:

ა) თუ გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ იყო სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით;

ბ) თუ სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომელსაც (რომელებსაც) შეეძლო ხელი შეეშალა სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის;

გ) თუ გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები;

დ) თუ არ არსებობდა სარჩელის აღქრის წინაპირობები;

ე) თუ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად არ ამართლებდნენ სასარჩელო მოთხოვნას. [ჩამოთვლილთაგან არცერთი გარემოება საქმეზე დადგენილი არ ყოფილა.]

16.3. მოსარჩელე თავის მოთხოვნას აფუძნებდა შემდეგ ფაქტებზე:

ა) გარდაცვლილი მეუღლის სიცოცხლე და ჯანმრთელობა დაზღვეული იყო უბედური შემთხვევისაგან;

ბ) სადაზღვევო შემთხვევა, გაუთვალისწინებელი გარეგანი ძალისმიერი ზემოქმედება (ფეხის ასრიალების შედეგად თავის ტრავმის მიღება), დაფიქსირდა 2013 წლის 23 აგვისტოს, რასაც შედეგად მოჰყვა მეუღლის გარდაცვალება;

გ) მის ხელთაა კასატორის მიერ გაცემული სადაზღვევო მოწ-  
მობა (პოლისი);

დ) იგი წარმოადგენს გარდაცვლილის პირველი რიგის მემკვი-  
დრეს.

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა სსკ-  
ის 799-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 854-ე მუხლით გათვალ-  
ისწინებული სამართლებრივი შედეგის, ზიანის ანაზღაურების,  
მოთხოვნის წარდგენის საფუძველია. როგორც უკვე აღინიშნა,  
მზღვეველმა დადგენილ ვადაში არასაპატიო მიზეზით არ წარად-  
გინა შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო  
უფლება ჰქონდა ზეპირი მოსმენის გარეშე მიეღო დაუსწრებე-  
ლი გადაწყვეტილება, რადგანაც ამ შემთხვევევაში, აპელანტის  
მიერ მითითებული ფაქტები დამტკიცებულად ითვლებოდა, მათ  
შორის, აპელანტის მიერ საჩივარში სადავოდ გამხდარი ის ფაქ-  
ტიც, რომ სადაზღვევო შემთხვევის დროს დაზღვეულს არ ჰქონ-  
და ალკოჰოლი მიღებული [სსკ-ის 230-ე მუხლის პირველი ნაწ-  
ილი]. აქედან გამომდინარე, საკასაციო საჩივარის ავტორის მო-  
საზრება, რომ სააპელაციო სასამართლომ დააარღვია სსკ-ის  
230-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნა, უსაფუძვლოა.

16.4. უსაფუძვლოა გაშვებული საპროცესო ვადის საპატიოდ  
მიჩნევისა და მისი აღდგენის მოთხოვნაც.

მართალია, სსკ-ის 65-ე მუხლი ასეთ შესაძლებლობას ითვა-  
ლისწინებს, მაგრამ ზემოაღნიშნული ნორმის გამოყენების წინა-  
პირობაა საპროცესო მოქმედების შესრულებისათვის სასამართ-  
ლოს მიერ განსაზღვრული ვადის არსებობა და საპროცესო მოქ-  
მედების საპატიო მიზეზით შეუსრულებლობა. საპატიო მიზე-  
ზად ჩაითვლება სსკ-ის 215-ე მუხლის მესამე ნაწილში მითითე-  
ბული გარემოებები [სსკ-ის 66-ე მუხლი]. ამ კონკრეტულ შემ-  
თხვევაში კასატორის მიერ გაშვებულია სასამართლოს მიერ გან-  
საზღვრული ვადა და არ იკვეთება სსკ-ის 215-ე მუხლის მესა-  
მე ნაწილით გათვალისწინებული ამა თუ იმ საპროცესო მოქმე-  
დების შეუსრულებლობის საპატიოდ მიჩნევის წანამძღვრები:  
ავადმყოფობა, ახლო ნათესავის გარდაცვალება ან სხვა გან-  
საკუთრებული ობიექტური გარემოება, რომელიც მისგან და-  
მოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის საპროცესო მო-  
ქმედების შესრულებას [ამასთან დაკავშირებით იხილეთ გან-  
ჩინება საქმეზე №ას-1212-1154-2014 20 იანვარი, 2015 წელი].

17. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო  
მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატას, დაუსწრებელი გადაწყ-  
ვეტილების მიღებისას, არ დაურღვევია კანონი და სწორად და-  
ტოვა იგი ძალაში, შესაბამისად, მზღვეველის საკასაციო საჩი-

ვარს უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 410-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. სს „ს-ო კ-ა ჯ-ი ჰ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 7 მაისის განჩინება და თბილისის საპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 12 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილება;
3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია;
4. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოშვების დაუშვებლობა**

#### **განხილვა**

№ას-642-608-2015

19 ნოემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ოოლუა (თავმჯდომარე),  
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** სახელფასო დავალიანების გადახდა

### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. 2009 წლის 31 იანვრიდან 2014 წლის მაისამდე გ. ჩ-ე (შემდეგში მოსარჩელე ან დასაქმებული) ზეპირი ხელშეკრულების საფუძველზე მუშაობდა შპს-ში „ს-ე“ (შემდეგში მოპასუხე, დამსაქმებელი ან საწარმო); დასაქმებულის ხელფასი შეადგენდა 400 ლარს ყოველთვიურად.

2. საწარმოს, დასაქმებულის არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, მისთვის მუშაობის მთელი პერიოდისათვის ხელფასი არ გადაუხდია.

3. 2014 წლის 13 აგვისტოს დასაქმებულმა სარჩელი აღძრა ბათუმის საქალაქო სასამართლოში დამსაქმებლის წინააღმდეგ და მოითხოვა:

3.1. საწარმოსათვის სახელფასო დავალიანების 7600 ლარის დაკისრება;

3.2. სახელფასო დავალიანების დაფარვის დაყოვნებისათვის, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0.07%-ის გადახდა პირგასამტებლოს სახით, საერთო ჯამში 8696.8 (რვა ათას ექვსას ოთხმოცდათექვსმეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარის დაკისრება; დასაქმებულის სასარჩელო მოთხოვნამ, მოპასუხისათვის დასაკისრებული დავალიანების სახით, საერთო ჯამში შეადგინა 16 296,80 (თექვსმეტი ათას ორას ოთხმოცდათექვსმეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი.

4. საქალაქო სასამართლომ დასაქმებულის სარჩელი მიიღო წარმოებაში და, 2014 წლის 29 აგვისტოს განჩინებით, მთავარი სხდომა დანიშნა 2014 წლის 3 ოქტომბერს, 12:00 საათზე, რის თაობაზეც მხარეებს ეცნობათ კანონით დადგენილი წესით (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 70-78-ე მუხლები), მათ შორის, საწარმოს წარმომადგენლაც გ. კ-ას – 2014 წლის 3 სექტემბერს;

5. 2014 წლის 1 ოქტომბერს საწარმოს წარმომადგენელმა გ. კ-ამ წერილობითი შუამდგომლობით (რეგისტრაციის №24794) მიმართა საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა 2014 წლის 3 ოქტომბერს დანიშნული საქმის განხილვის გადადება სხვა დროისათვის, იმ საფუძვლით, რომ იმავე დღეს მონაწილეობდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში დანიშნული საქმის განხილვაში; შუამდგომლობის ავტორის მითითებით, ამ გარემოების დამადასტურებელ მტკიცებულებას იგი მომდევნო სხდომაზე წარუდგენდა სასამართლოს.

6. საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 3 ოქტომბრის სხდომაზე მოპასუხე არ გამოცხადდა. მოსარჩელემ იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე და მოითხოვა, მის სასარგებლოდ, მოპასუხისათვის ამ განჩინების 3.2 ქვეპუნქტში მითითებული დავალიანების დაკისრება. სასამართლომ დააკმაყოფილა შუამდგომლობა და გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხის წინააღმდეგ (სსსკ-ის 230-ე მუხლი).

7. საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 3 ოქტომბრის

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით იმავე სასამართლოს მიმართა მოპასუხებ (სსსკ-ის 234-ე მუხლი), საჩივარს დაურთო ქუთაისის საპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანაშემნის 2014 წლის 3 ოქტომბერს გაცემული ცნობა, რომლის მიხედვით მოპასუხის წარმომადგენელი, როგორც შპს „პ. +-ის“ რჩმუნებული პირი მონაწილეობდა სასამართლო საქმის განხილვაში 16:30 საათიდან 17:12 საათამდე. მოპასუხე საჩივარში უთითებდა, რომ მას არსებითი ინტერესი ჰქონდა, სასამართლო დავა გაეგრძელებინა საქალაქო სასამართლოში მის წინააღმდეგ აღძრულ სარჩელზე, ამასთან, მოპასუხეს საჩივარში არ მიუთითებია და არ დაუწყია იმის მტკიცება, რომ სააპელაციო სასამართლოს სხდომის თაობაზე მას უფრო ადრე, ანუ 2014 წლის 3 სექტემბრამდე ეცნობა, ვიდრე საქალაქო სასამართლო განსაზღვრავდა სხდომის თარიღს.

8. საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 17 ნოემბრის განჩინებით საწარმოს საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა ამავე სასამართლოს 2014 წლის 3 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

9. საწარმომ სააპელაციო საჩივარი შეიტანა ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინებაზე, რომლითაც უცვლელად დარჩა ამავე სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, მოითხოვა მისი და დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება (იხ. მე-8 პუნქტი).

10. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 1 მაისის განჩინებით საწარმოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 17 ნოემბრის განჩინება და ამავე სასამართლოს 2014 წლის 3 ოქტომბრის განჩინება.

11. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 230-ე, 233-ე, 216-ე მუხლებით, შეაფასა შესაძლებელი იყო თუ არა, რომ საწარმოს წარმომადგენელი გ. კ-ა 2014 წლის 3 ოქტომბერს, 12:00 საათზე გამოცხადებულიყო სხდომაზე ბათუმის საქალაქო სასამართლოში, ხოლო ძემდეგ, იმავე დღეს, 16:30 საათზე, მონაწილეობა მიეღო საქმის განხილვაში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში.

12. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში ასახული მსჯელობა და დასკვნები რამდენიმე ფაქტობრივ გარემოებას დაყრდნო, კერძოდ:

12.1. საქართველოში მცხოვრები ნებისმიერი პირისათვის დამახასიათებელი საშუალო ცოდნის საფუძველზე, ქალაქ ბათუ-

მიდან ქალაქ ქუთაისამდე მანძილი დაახლოებით 150 კმ-ია, რომლის გასავლელადაც, საქალაქთაშორისო გზებზე მოძრაობის საშუალო სიჩქარით (60 კმ/სთ) მოძრაობის პირობებშიც კი, ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალებით მგზავრობისათვის, აუცილებელია მაქსიმუმ 3 საათი;

12.2. ლოგიკურია, რომ ადვოკატი გამოცხადდეს ჯერ იმ პროცესზე, რომელიც დღის განმავლობაში უფრო ადრე არის დანიშნული და შემდეგ შეეცადოს, დაესწროს ქრონოლოგიურად მომდევნო პროცესს. ამდენად, თუ მოპასუხის წარმომადგენელი გამოცხადდებოდა ბათუმის საქალაქო სასამართლოში 12:00 საათზე და მონაწილეობას მიიღებდა საქმის განხილვაში, რომელიც, სავარაუდოდ, გაგრძელდებოდა საათი, საათ-ნახევრის განმავლობაში, მას ექნებოდა სრული შესაძლებლობა, რომ 16:30 საათზე დანიშნულ პროცესზე გამოცხადებულიყო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოშიც;

12.3. დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, სასამართლო მაქსიმალურად უწყობს ხელს მხარეებს, რომელთაც, გარკვეული ობიექტური გარემოების გამო, არ შეუძლიათ პროცესზე დროული გამოცხადება, თუნდაც სატელეფონო კავშირით მიღებული შეტყობინების შემთხვევაშიც, აცხადებს შესვენებას და გოხივრული ვადით (15-40 წუთის განმავლობაში) ელოდება მხარეთა გამოცხადებას. შესაბამისად, თუ საწარმოს წარმომადგენელი დაუკავშირდებოდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის შესაბამის თანაშემწეს და აცნობებდა, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოში, პროცესში მონაწილეობის გამო, ვერ ახერხებდა დროულად გამოცხადებას 16:30 საათზე დანიშნულ სხდომაზე, სააპელაციო სასამართლო აუცილებლად გაითვალისწინებდა მის თხოვნას და საქმეს არ განიხილავდა მისი მონაწილეობის გარეშე.

13. მე-12 პუნქტში მითითებული დასკვნებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხის გამოცხადებლობის ხელისშემსლელი, დაუძლეველი და საპატიო მიზეზები არ არსებობდა, ამასთან, სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება კანონიერად მიიჩნია იმ საფუძვლითაც, რომ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ჩათვალა (სსსკ-ის 230-ე მუხლის პირველად ნაწილი).

14. საწარმოს წარმომადგენელმა საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 1 მაისის განჩინება, მოითხოვა მისი გაუქმება, ასევე, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 3 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწ

ყვეტილებისა და 2014 წლის 17 ნოემბრის განჩინების გაუქმება და, სარჩელის ხელახლა განსახილველად, საქმის ბათუმის საქალაქო სასამართლოში დაბრუნება.

15. საკასაციო საჩივრის საფუძვლებად საწარმომ მიუთითა:

15.1. განჩინება იურიდიულად არ არის დასაბუთებული, რის გამოც მისი სამართლებრივი საფუძვლინობის შემოწმება შეუძლებელია, ეს კი, სსსკ-ის 394-ე მუხლის შესაბამისად, განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია;

15.2. სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიიღო ისე, რომ ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად არ შეაფასა საქმის გარემოებები, კერძოდ, ერთსა და იმავე დღეს დანიშნული იყო ორი სხდომა სხვადასხვა ქალაქში და მოპასუხემ ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამი დღით ადრე აცნობა მხარის სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობის თაობაზე;

15.3. დადგენილი პრატიკის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას საფუძვლად უნდა დაედოს სასამართლოს ვარაუდი, გამოუცხადებელი მხარის მიერ მისი უფლების დაცვის ინტერესის დაკარგვის თაობაზე და ამოსავალი წერტილი უნდა იყოს მხარის პასუხისმგებლობა და დამოკიდებულება სასამართლოსადმი;

15.4. საქალაქო სასამართლოს სრულყოფილად არ გამოუკვლევია და შეუფასებია სასარჩელო გარემოებები. დირექტორის მიერ ხელმოწერილი შედარების აქტი ბათილია. ეს უკანასკენილი არაკეთილსინდისიერად მოქმედებდა, დაარღვია „მენარმე-თა შესახებ“ კანონის მოთხოვნები;

15.5. დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას, სასარჩელო მოთხოვნის იურიდიული დასაბუთებულობა სასამართლომ უნდა გაარკვიოს არა იმ მოტივით, მოთხოვნა შეესაბამება თუ არა მატერიალური სამართლის ნორმას, არამედ სარჩელის დაკამაყოფილების შემთხვევაში, იქნება თუ არა დაცული დაზარალებულის უფლებები.

16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2015 წლის 10 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივარი წარმოებაში მიიღო, სსსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამონმებლად, ხოლო 2015 წლის 23 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძვლზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის

საფუძვლები, შეამონება გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

17. სსსკ-ის 230-ე მუხლის მიხედვით, თუ სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოების დამტკიცებულად ითვლება. თუ სარჩელში მითითებული გარემოები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყფილებაზე.

18. მოხმობილი ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლო უფლებამოსილია, გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში, თუ მხარე, რომელსაც საქმის განხილვის თარიღი კანონის მოთხოვნათა დაცვით ეცნობა, არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე და არც აცნობა სასამართლოს, სხდომაზე გამოცხადების შეუძლებლობის შესახებ. არასაპატიო მიზეზით მხარის სასამართლოში გამოუცხადებლობას კანონმდებელი უკავშირებს საქმის განხილვისადმი მისი ინტერესის დაკარგვის ვარაუდს, რასაც შედეგად მოჰყვება მონინააღმდეგე მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილება. დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტი მიზნად ისახავს სასამართლოს ეფექტუან საქმიანობას, დავების სწრაფ და გაუჭიანურებლად გადაწყვეტას, მხარეთა „იძულებას“, განახორციელონ საპროცესო კანონით მინიჭებული უფლებები, საქმის განხილვაში აქტიური მონაწილეობა მიიღონ და ხელი შეუწყონ სასამართლოს განხილვასა და გადაწყვეტილების გამოტანაში. დაუსწრებელი გადაწყვეტილება არის პროცესუალური ფორმა, რომლის გამოტანა მხოლოდ იმ შემთხვევაშია მიზანშეწონილი, როდესაც მხარე თავისი მოქმედებით ან უმოქმედობით უარს აცხადებს საპროცესო თანამშრომლობაზე, ანუ როდესაც მას აქვს პროცესზე გამოცხადების შესაძლებლობა, მაგრამ არ აქვს ნება.

19. განსახილველ შემთხვევაში მოპასუხებს წარმომადგენელმა 2014 წლის 1 ოქტომბერს შუამდგომლობით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა 2014 წლის 3 ოქტომბერს დანიშნული საქმის განხილვის გადადება სხვა დროისათვის იმ საფუძვლით, რომ იმავე დღეს მონაწილეობდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში დანიშნული საქმის განხილვაში; მო-

პასუხის წარმომადგენლის მონაწილეობას სააპელაციო სასა-მართლოს სხდომაზე ადასტურებს სასამართლოს მიერ გაცემული ცნობა (იხ. წინამდებარე განჩინების მე-7 პუნქტი).

20. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სა-სამართლოს მსჯელობას, რომ მოპასუხის წარმომადგენლის გა-მოუცხადებლობა ბათუმის საქალაქო სასამართლოში არასაპა-ტიო იყო, ვინაიდან ბათუმისა და ქუთაისის შორის მანძილის გათ-ვალისწინებით, მხარეს შეეძლო საქალაქო სასამართლოში პრო-ცესის დასრულების შემდეგ, ბათუმიდან გამგზავრებულიყო ქუ-თაისში, სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად. საპროცესო კანონმდებლობა ადგენს მხარეთა თანა-ბარ საპროცესო უფლებებს (სსსკ-ის 83-ე მუხლი), მათ შორის უთუოდ იგულისხმება უფლება, დასაბუთებული შუამდგომ-ლობის წარდგენის შემთხვევაში, საპატიო მიზეზის გამო, შესაბა-მისი მტკიცებულების საფუძველზე, მხარემ მოითხოვოს საქ-მის განხილვის გადადება სხვა დროისათვის.

21. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის პრეტენ-ზიას, რომ სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მი-ლებისას ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად არ შეაფასა მხარის გამოუცხადებლობის გარემოები, მათ შორის ის, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას ამოსავალია მხ-არის პასუხისმგებლობა და დამოკიდებულება სასამართლოსად-მი.

22. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასა-მართლოს მსჯელობას ქალაქებს შორის მანძილისა და შესაბამ-ისი კილომეტრაჟის გარკვეული დროის მონაკვეთში გავლის შესახებ და დასკვნებს სასამართლო სხდომაში მონაწილეობის შესაძლებლობის თაობაზე (იხ. ამ განჩინების 12.1, 12.2 ქვეპუნ-ქტები).

23. საკასაციო სასამართლოს მიაჩინა, რომ იმ პირობებში, რო-ცა ერთსა და იმავე დღეს სასამართლო სხდომა დანიშნულია ორ სხვადასხვა ქალაქში, 12 საათსა და 16 საათზე, მხარე წინასწარ, გონივრულ ვადაში, ატყობინებს სასამართლოს სხდომაზე გა-მოუცხადებლობის შეუძლებლობის თაობაზე, ცხადია, რომ იგი პასუხისმგებლობით ეკიდება სხდომაზე მონაწილეობისა და და-ვის განხილვის საკითხს, შენარჩუნებული აქვს იურიდიული ინ-ტერესი დავის მიმართ, სურს, დროულად შეატყობინოს სასა-მართლოს ობიექტური გარემოება და მისი გამოუცხადებლობა საპატიოდ უნდა ჩაითვალოს.

24. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ პროცესის ხანგრძლივობისა და მანძილის გათვალისწინებით, მხარეს შეე-

ძლო მოესწრო ორივე სხდომაზე დასწრება და უფრო მეტიც, შესაძლო დაგვიანების შემთხვევაში, თანაშემწესთან კომუნიკაციის შედეგად, სასამართლო 15-40 წუთით გადადებდა სხდომას (იხ. ამ განჩინების 12.3 ქვეპუნქტი), დაუსაბუთებელი ვარაუდია, რომელიც არ გამომდინარეობს კანონის დანაწესიდან და დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტის მიზნებიდან; სასამართლოს ამგვარი მსჯელობა არ ემსახურება სწრაფი და ეფექტური მართლმასაჯულების ინტერესებს, რადგან არათუ დამკვიდრებული პრაქტიკა, არამედ სასამართლოს სხდომათა განრიგი, რომელიც წინასწარ იგეგმება ყოველი სხდომისათვის და რომლის თაობაზეც ინფორმირებული არიან მხარეები, ობიექტურად არ იძლევა შესაძლებლობას, სასამართლომ 15-40 წუთით გადადოს სხდომა, თუკი საამისოდ რაიმე განსაკუთრებული, ობიექტური და საპატიო მიზეზი არ არსებობს, ასეთი საგამონაკლისო შემთხვევა კი, უნდა დასაბუთდეს მოქმედი კანონმდებლობით.

25. სსსკ-ის 241-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები ან, თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

26. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლოს სხდომაზე გამოუცხადებლობის შესახებ, კასატორმა, წინასწარ – სხდომამდე თრი დღით ადრე აცნობა სასამართლოს, რითაც დაადასტურა განსახილველი დავისადმი იურიდიული ინტერესი და სასამართლოს წარუდგინა მტკიცებულება, რომელშიც მითითებული იყო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი (იხ. წინამდებარე განჩინების მე-7 და მე-19 პუნქტები).

27. საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს კასატორის პრეტენზიას, რომ სასამართლოს არ გამოუკვლევია და შეუფასებია სარჩელის ფაქტობრივი გარემოებები, არ გაუთვალისწინებია სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში დაზარალებულის ინტერესები.

28. საკასაციო სასამართლო უთითებს წინამდებარე განჩინების მე-17 პუნქტზე და განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს არ ევალება სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებისა და შესაბამისი მტკიცებულებების შეფასება. აუცილებელი და საკმარისია სასარჩელო მოთხოვნა სამართლებრივად გამართლებული, ე.ი., მატერიალური სამართლის ნორმის შესაბამისი იყოს.

29. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინებით დარღვეულია სსსკ-ის 105-ე მუხლით გათვალისწინებული მტკიცებულებათა შეფასების პროცესუალური წესი, რის გამოც საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

30. სსსკ-ის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აპრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა;

31. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია იმ ნაწილში, რომელიც ეხება სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისა (ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 3 ოქტომბრის განჩინება) და ამ გადაწყვეტილებაზე შეტანილი საჩივრის თაობაზე მიღებული განჩინების (იმავე სასამართლოს 2014 წლის 17 ნოემბრის განჩინება) უცვლელად დატოვების ნაწილში და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს. კასატორის მოთხოვნა საქმის განსახილველად პირველ ინსტანციაში დაპრუნების თაობაზე არ გამომდინარეობს საპროცესო კანონმდებლობიდან და ამ ნაწილში კასატორის მოთხოვნაზე უარი უნდა ეთქვას უსაფუძვლობის გამო.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 412-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს-ის „ს-ე“ საკასაციო საჩივარი დაქმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 1 მაისის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის ხელახლა განსახილველად;

3. კასატორის მიერ სახელმწიფო ბაჟი გადახდილია;

4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გასაჩივრების შესაძლებლობა

## განჩინება

№ას-532-505-2015

17 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ.ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
ნ. ბაქაქური

**დავის საგანი:** უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მი-  
ტოვების შესახებ განცხადებების, სამეთვალყურეო საბჭოს  
სხდომის ოქმების და მიწის ნაკვეთის გამიჯვნის შესახებ თანხ-  
მობის ბათილად ცნობა

### აღნერილობითი ნაწილი:

სს „მ-ამ“ სარჩელი აღდრა სასამართლოში საქართველოს  
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ  
სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართ და მოითხ-  
ოვა უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვების შესახებ  
განცხადებების, სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმებისა  
და მიწის ნაკვეთის გამიჯვნის შესახებ თანხმობის ბათილად  
ცნობა.

მოსარჩელემ განმარტა, რომ სს „მ-ის“ მიერ სახელმწიფოს  
სასარგებლოდ მიტოვებულ იქნა საკუთრების უფლება საზოგა-  
დოების კუთვნილ უძრავ ქონებაზე. აღნიშნული განხორციელ-  
და სს-ს იმუშამინდელი დირექტორის მიმართ იძულებისა და მუ-  
ქარის გზით.

მოპასუხებმა სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ უძრავ  
ქონებაზე საკუთრების უფლების მიტოვება განხორციელდა ნე-  
ბის თავისუფალი გამოვლენის შედეგად. მოსარჩელემ ჯ. შ-ას  
მიმართ იძულების ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება  
ვერ წარადგინა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 20 იანვრის  
გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბა-  
თილად იქნა ცნობილი სს „მ-ის“ სამეთვალყურეო საბჭოს 2011  
წლის 20 მაისის №3 სხდომის ოქმი სახელმწიფოს სასარგებლოდ  
საკუთრების უფლების მიტოვების შესახებ სს „მ-ის“ საკუთრე-

ბაში არსებულ შემდეგ უძრავ ქონებაზე: 1) თ-ში, კ-ს ქ. №..-ში მდებარე 35 705 კვ.მ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით №...; 2) თ-ში, ლ-ს სამრეწველო ზონაში, მშენებლობის სამინისტროს №1 სახლმშენებელი კომპინატის ტერიტორიაზე მდებარე 10 705 კვ.მ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით №...; 3) თ-ში, ლ-ს სამრეწველო ზონაში, მიღების საიზოლაციო სანარმოს ტერიტორიაზე მდებარე 6448 კვ.მ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით №..., ბათილად იქნა ცნობილი სს „მ-ას“ დირექტორ ჯ. შ-ას 2011 წლის 23 მაისის განცხადებები სახელმწიფოს სასარგებლოდ საკუთრების უფლების მიტოვების შესახებ სს „მ-ას“ საკუთრებაში არსებულ შემდეგ უძრავ ქონებაზე: 1) თ-ში, კ-ს ქ. №..-ში მდებარე 35 705 კვ.მ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით №...; 2) თ-ში, ლ-ს სამრეწველო ზონაში, მშენებლობის სამინისტროს №1 სახლმშენებელი კომპინატის ტერიტორიაზე მდებარე 10 705 კვ.მ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით №...; 3) თ-ში, ლ-ს სამრეწველო ზონაში, მიღების საიზოლაციო სანარმოს ტერიტორიაზე მდებარე 6 448 კვ.მ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით №..., მოსარჩევეს უარის ეთქვა თ-ში, კ-ს ქ. №..-ში №... საკადასტრო კოდით მდებარე თანასაკუთრებაში არსებულ ქონებაზე გამიჯვნის შესახებ სს „მ-ის“ სამეთვალყურეო საბჭოს 2011 წლის 15 ივნისის №4 სხდომის ოქმის ბათილად ცნობასა და გამიჯვნის შესახებ სს „მ-ის“ დირექტორ ჯ. შ-ას 2011 წლის 15 ივნისის თანხმობის ბათილად ცნობაზე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სს „მ-ამ“ გაასაჩივრა სააპელაციო წესით და მოთხოვა მისი გაუქმება გამიჯვნის შესახებ სს „მ-ის“ დირექტორ ჯ. შ-ას 2011 წლის 15 ივნისის თანხმობის ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში სარჩელზე უარის თქმისა და გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის 6.1 პუნქტში მითითებული მსჯელობის ნაწილში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 16 აპრილის განჩინებით სს „მ-ის“ სააპელაციო საჩივარი პირველი ინსტანციის სასამართლოს სამოტივაციო ნაწილის 6.1 პუნქტის (სამართლებრივი შეფასება) დასაბუთებულობასთან ერთად მოსარჩელის მიმართ გასაჩივრებული გადაწყვეტილებების მიღებისას ძალადობის და მუქარის დასაბუთებულად და დამტკიცებულად მიჩნევის ნაწილში დარჩა განუხილველად შემდეგ გარემობათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემულ შემთხვევაში აპელანტი სააპელაციო საჩივარით სადაცოდ ხდის გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილს, კერძოდ, 6.1 პუნქტს – სამართლებრივ შეფასებას.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ გადაწყვეტილების მხოლოდ სამოტივაციო ნაწილის გასაჩივრება დაუშვებელია, რადგან მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მხარის მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილის ან მისი რომელიმე პუნქტის გასაჩივრების შესაძლებლობას.

სააპელაციო პალატის მითითებით, გადაწყვეტილების კანონიერ ძალას გააჩნია განსაზღვრული სუბიექტური და ობიექტური ფარგლები, რომლებიც აზუსტებს გადაწყვეტილების მოქმედების საზღვრებს. გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება საქმის განხილვაში მონაწილე პირთა წრეზე (სუბიექტური ფარგლები) და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილზე (ობიექტური ფარგლები). შესაბამისად, გასაჩივრებას ექვემდებარება გადაწყვეტილება, თუ სადაცომ მისი სარეზოლუციო ნაწილით და არა აღნერილობითი ან სამოტივაციო ნაწილით დაგენილი ფაქტი.

გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი თავისი არსით წარმოადგენს პირდაპირ და ზუსტ პასუხს სარჩელზე. სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება იმავდროულად იწვევს მისი პრეტენზის აღმოფხვრას, ვინაიდან სადაცომ მიჩნეული უფლება მოდავე პირის სასარგებლოდა დაცული და, შესაბამისად, მხარის იურიდიული ინტერესიც დაკმაყოფილებულია. მხარის დარღვეული უფლების ობიექტური არსებობა არის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის სავალდებულო წინაპირობა. აღნიშნული ნორმა მოიცავს ასევე მხარის უფლებას, მიმართოს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სს „მ-ის“ სააპელაციო საჩივრი დაუშვებელია და უნდა დარჩეს განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე სს „მ-ამ“ შეიტანა კერძო საჩივარი და მოთხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით:

კერძო საჩივრის ავტორმა მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივრით გასაჩივრებული გადაწყვეტილების ერთ-ერთი დებულება არასწორადაა შეტანილი სამოტივაციო ნაწილში სამართლებრივ შეფასებად. თავისი შინაარსით იგი განეკუთვნება ფაქტობრივ გარემოებათა ნაწილს, კერძოდ კი, გადაწყვეტილების 3.2 პუნქტს.

მხარის მოსაზრებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მესამე ნაწილი ითვალისწინებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების 6.1 პუნქტის გასაჩივრების შესაძლებლო-

ბასაც, რადგან იგი წინ უსწრებს სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანას. აღნიშნული ნორმის შესაბამისად, აპელანტი და-ეთანხმა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს და სადაცოდ გახადა მოსარჩელის მიმართ ძალადობისა და მუქარის ფაქტის დაუსაბუთებლობის, ანუ ძალადობისა და მუქარის ფაქტის არ-არსებობის შესახებ 6.1 პუნქტი.

კერძო საჩივრის ავტორმა მიიჩნია, რომ სადაცო გადაწყვეტილების 6.1 პუნქტით დადგენილი ფაქტობრივი გარემოების გასაჩივრებაზე უარის თქმა, მიუხედავად იმისა, მოახდინა თუ არა აღნიშნულმა გავლენა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ჩამოყალიბებაზე, იქნება მხარისათვის კანონიერი უფლების შეზღუდვა, რადგან გასაჩივრებული დადგენილება სამომაცლო შეიძლება, გახდეს უდაცო მტკიცებულება მხარეთა შორის მოსალოდნელ სხვა დავებში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს „მ-ის“ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანია სააპელაციო პალატის განჩინება, რომლითაც განუხილველად დარჩა აპელანტის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის ერთ-ერთ პუნქტზე შეტანილი სააპელაციო საჩივარი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების შესაძლებლობა გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლით, რომლის თანახმად სასამართლოს პირველი ინსტანციით გამოტანილი გადაწყვეტილება მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ სააპელაციო სასამართლოში.

საკასაციო სასამართლო სრულიად ეთანხმება სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ გადაწყვეტილების მხოლოდ აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების გასაჩივრება დაუშვებელია, რადგან მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მხარის მიერ სააპელაციო წესით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მხოლოდ სარეზოლუციო

ნაწილის ან მისი რომელიმე პუნქტის გასაჩივრების შესაძლებლობას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილია გადაწყვეტილების ფორმალური (სსკ-ის 264-ე მუხლი) და მატერიალური (სსკ-ის 266-ე მუხლი) კანონიერი ძალა, რომელიც პირველ შემთხვევაში გულისხმობს მიმდინარე პროცესში დავის განხილვის დამთავრებას, ხოლო მატერიალური კანონიერი ძალა უზრუნველყოფს გადაწყვეტილების საბოლოო ხასიათსა და სავალდებულობას არა მარტო კონკრეტული პროცესისათვის, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე, მათ უფლებამონაცვლებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე, სადაც გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი.

მითითებული ნორმის შესაბამისად, გადაწყვეტილების კანონიერ ძალას გააჩნია კანონით განსაზღვრული სუბიექტური და ობიექტური ფარგლები, რომელიც აზუსტებს გადაწყვეტილების მოქმედების საზღვრებს. გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება საქმის განხილვაში მონაწილე პირთა წრეზე (სუბიექტური ფარგლები) და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილზე (ობიექტური ფარგლები). შესაბამისად, გასაჩივრებას ექვემდებარება გადაწყვეტილება, თუ სადაც მისი სარეზოლუციო ნაწილით და არა აღნერილობითი ან სამოტივაციო ნაწილით დადგენილი ფაქტი.

მართალია, ზემოთ მოყვანილ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლში პირდაპირი არ არის მითითება გადაწყვეტილების რომელიმე ნაწილის გასაჩივრების უფლებაზე, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი შეზღუდვის პირდაპირ მიუთითებლობა არ ნიშნავს, რომ მხარეს გადაწყვეტილების სხვადასხვა ნაწილების ცალ-ცალკე გასაჩივრების უფლება გააჩნია.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპებისა და დანაწესების ერთობლიობაში განმარტებით საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება მის სარეზოლუციო ნაწილზე, რომელიც სარჩელზე პირდაპირ და ზუსტ პასუხს წარმოადგენს. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს დასკვნას სარჩელის დაკმაყოფილების ან სარჩელზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ (სამოქალაქო საპროცესო კოდე-

ქსის 249-ე მუხლის მეხუთე ნაწილი). ამდენად, პირი, სარჩელის შეტანის გზით იცავს რა თავის უფლებას და შელახულ ინტერესებს, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება იმავდროულად ინვევს მისი პრეტენზის აღმოფხვრას, ვინაიდან სადავოდ მიჩნეული უფლება მოდავე პირის სასარგებლოდაა დაცული და, შესაბამისად, მხარის იურიდიული ინტერესიც დაკმაყოფილებულია.

საკასაციო პალატის მსჯელობას ამყარებს ის გარემოებაც, რომ გადაწყვეტილების აღსრულებისას აღსასრულებლად მიექცევა მხოლოდ სარეზოლუციო და არა სამოტივაციო ნაწილი, თუმცა ეს უკანასკნელი ადგენდეს რაიმე უფლების ან ვალდებულების არსებობას („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლი). სასამართლო გადაწყვეტილება მართლმსაჯულების აქტია და მისი სამართლებრივი შედეგები თვით კონსტიტუციითა რეგლამენტირებული. საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. სასამართლო გადაწყვეტილების სავალდებულობა დღის წესრიგში აყენებს მისი აღსრულებადობის უზრუნველყოფის საკითხს. თუ პირი, რომელის მიმართაცაა სასამართლო აქტი გამოცემული, თავისი ნებით არ შეასრულებს ამ გადაწყვეტილებას, კრედიტორის განცხადების საფუძველზე, საქმეში ერთვება საამისოდ უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო – სააღსრულებო ბიურო, რომელიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების აღსრულებას „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ამ კანონის პირველი მუხლის მიხედვით, ეს კანონი აწესრიგებს საერთო სასამართლოების მიერ მიღებული აქტების აღსრულების წესსა და პირობებს. ამავე კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო წარმოება არ დაიშვება სააღსრულებო ფურცლის გარეშე, რომელშიც ასახულია აღსასრულებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი.

აღსანიშნავია, რომ განსახილველი ტიპის საქმეებზე არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა (სუსგ 2009 წლის 7 სექტემბერი, საქმე №ას-710-1011-09), რომელსაც სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება სრულად შეესაბამება.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის არგუმენტს, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის გასაჩივრება დასაშვებია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე

მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად.

მითითებული ნორმის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც გამოტანილია საქმის პირველ ინსტანციაში განხილვასთან დაკავშირებით და რომლებიც წინ უსწრებს სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანას, იმისაგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა.

კანონის აღნიშნული დანაწესი განსაზღვრავს იმ განჩინებების გასაჩივრების წესს, რომლებიც სასამართლომ საქმეზე არსებითად განხილვის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებამდე გამოიტანა. იგულისხმება ისეთი შუალედური განჩინებები, რომელთა გასაჩივრება კერძო საჩივრის შეტანით დაუშვებელია.

განსახილველ შემთხვევაში სს „მ-ამ“ სააპელაციო წესით გაასაჩივრა არა ზემოთ მითითებული სახის განჩინება, არამედ საქმეზე არსებითად მიღებული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის დებულება, რაზეც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მესამე ნაწილის მოქმედება ვერ გავრცელდება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი კერძო საჩივარი სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია და მისი დაკმაყოფილების წინაპირობა არ არსებობს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. სს „მ-ის“ კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 16 აპრილის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გასაჩივრების შესაძლებლობა

## განხილვა

№ას-545-517-2015

1 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
6. ბაქაქური,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ქონების  
ყადაღისგან გათავისუფლება და სააღსრულებო წარმოების შეწ-  
ყვეტა.

### აღნერილობითი ნაწილი:

ბ. ც-მა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში  
მოპასუხების: სს „ს. ბ-ის“, ი. გ-ისა და თ. გ-ის მიმართ, რომლი-  
თაც მოითხოვა: 1. ერთი მხრივ, სს „ს. ბ-სა“ და მეორე მხრივ, თ.  
გ-ისა და ი. გ-ს შორის 27.02.2006წ.-ს გაფორმებული №..-ა იპ-  
ოთეკის ხელშეკრულებისა და 14.12.2010წ.-ს გაფორმებული იპ-  
ოთეკის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ №..-ა  
ხელშეკრულების ბათილად ცნობა ქ.თბილისში, ... გამზ.N72-ში  
მდებარე უძრავი ქონებიდან 69,94კვ.მ ფართის იპოთეკით  
დატვირთვის ნაწილში; 3. ქ.თბილისში, ... გამზ.№..-ში მდებარე  
ბ. ც-ის სახელზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული 69,94კვ.მ  
ფართის ყადაღისაგან გათავისუფლება; 2. ბ. ც-ის მიმართ  
სააღსრულებო წარმოების შეწყვეტა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
კოლეგის 2015 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებით მოსა-  
რჩელე ბ. ც-ის სარჩელი ხელშეკრულების ბათილად ცნობის,  
ქონების ყადაღისაგან გათავისუფლებისა და სააღსრულებო  
წარმოების შეწყვეტის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრ-  
და მოსარჩელე - ბ. ც-ის მიერ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრე-  
ბული გადაწყვეტილების გაუქმება და სააპელაციო სასამართ-  
ლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკ-  
მაყოფილება.

ასევე, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილე-

ბაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინეს მოპასუხეებმა: ი. გ-მა და თ. გ-მა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით, ბ. ც-ის სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 8 აპრილის განჩინებით ი. გ-ისა და თ. გ-ის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებაზე, დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება დასაბუთებულია იმ გარემოებებზე მითითებით რომ მოცემულ შემთხვევაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებით ბ. ც-ის სარჩელი ი. გ-ის, თ. გ-ის და სს „ს. ბ-ის“ მიმართ ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობის, ქონების ყადაღისაგან გათავისუფლებისა და საადსრულებო წარმოების შეწყვეტის შესახებ არ დაკმაყოფილდა. შესაბამისად, აღნიშნული გადაწყვეტილება არ არის მიღებული ი. და თ. გ-ების წინააღმდეგ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი პირდაპირ არ წარმოშობს მოპასუხისათვის რაიმე ქმედების შესრულების ან შესრულებისაგან თავის შეკავების ვალდებულებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ი. გ-ი და თ. გ-ი არ წარმოადგენენ იმ პირებს, რომლებსაც შეუძლიათ გაასაჩივრონ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი წარადგინეს ი. გ-მა და თ. გ-მა და მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღება.

კერძო საჩივარი დასაბუთებულია იმ გარემოებებზე მითითებით, რომ 2010წ.-ს ერთი შერივ, სს „ს. ბ-სა“ და მეორე შერივ, ი. გ-სა და თ. გ-ს შორის გაფორმებული იპოთეკის ხელშეკრულებით იპოთეკით დაიტვირთა ი. გ-ის სახელზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ფართი. ბ. ც-მა კი, როგორც ქ.თბილისში, ... გამზ. №...-ში მდებარე საცხოვრებელი ფართის მოსარგებლებ 1980 წლიდან მოაპოვა ფართზე სარგებლობის უფლება. ეს ინფორმაცია ბ-ისათვის ცნობილი იყო ფართის იპოთეკით დატვირთვის დროისათვის. იპოთეკის გაფორმებისა და ფართის იპოთეკით დატვირთვის მომენტში ბ. ც-ს გააჩნდა დასახელებულ ფართზე სარგებლობის უფლება და მოგვიანებით, მისი ეს

უფლება აღიარებულ იქნა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, რომლითაც ბ. ც-ი ცნობილ იქნა ქ.თბილისში, ... გამზ. №...-ში მდებარე 69კვ.მ საცხოვრებელი ფართის მესაკუთრედ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესების დაცვით.

კერძო საჩივრის ავტორთა მოსაზრებით, ის გარემოება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებით მოსარჩევე ბ. ც-ის სარჩევი ხელშეკრულების ბათილად ცნობის, ქონების ყადაღისგან გათავისუფლებისა და სააღსრულებო წარმოების შეწყვეტის შესახებ არ დაკმაყოფილდა, ბ. ც-ისათვის წარმოშობს იმ იურიდიულ შედეგს, როგორიცაა იპოთეკით დატვირთული ბინის, მათ შორის, ბ. ც-ის კუთვნილი ფართის აუქციონზე რეალიზაცია, ხოლო კერძო საჩივრის ავტორები-სათვის კი, ეს ყოველივე ქმნის იმ იურიდიულ მოვალეობას, რომ მათ ბ. ც-ს უნდა შეტანონ 69კვ.მ ფართი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 4 ივნისის განჩინებით კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

იმავე კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით კი, საკასაციო სასამართლო არ დაკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არ აქვს ადგილი.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებას იმის თაობაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების კანონით გათვალისწინებული წინაპირობები.

საკასაციო პალატა პირველ რიგში, მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის იმ დანარჩესზე, რომლითაც რეგულირებულია სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი, კერძოდ,

კოდექსის 364-ე მუხლზე, რომლის თანახმად სასამართლოს პირველი ინსტანციით გამოტანილი გადაწყვეტილება მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ სააპელაციო სასამართლოში.

საკასაციო სასამართლო განმარტაცს, რომ სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლება აქვს მხარეს, რომლის საწინააღმდეგოდაცა გამოტანილი გადაწყვეტილება, სახელდობრ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლის შინაარსობრივი და ლოგიკური განმარტების შედეგად გამომდინარეობს ერთმნიშვნელოვანი დასკვნა იმის თაობაზე, რომ გასაჩივრების ინსტიტუტი წარმოადგენს იმგვარ პროცესუალურ შესაძლებლობას, რომ ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების გზით, დაინტერესებულ მხარეს მიეცეს უფლება იდავოს გადაწყვეტილების იმ ნაწილზე, რომლითაც მის მოთხოვნას ეთქვა უარი დაკმაყოფილებაზე.

გადაწყვეტილების კანონიერ ძალას გააჩნია კანონით განსაზღვრული სუბიექტური და ობიექტური ფარგლები, რომელიც აზუსტებს გადაწყვეტილების მოქმედების საზღვრებს. გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება საქმის განხილვაში მოხანილე პირთა წრეზე (სუბიექტური ფარგლები) და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილზე (ობიექტური ფარგლები). შესაბამისად, გასაჩივრებას ექვემდებარება გადაწყვეტილება, თუ სადაც მისი სარეზოლუციო ნაწილით და არა აღნერილობითი ან სამოტივაციო ნაწილით დადგენილი ფაქტი (საკასაციო პალატის მსჯელობა შესაბამისობაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მსგავსი კატეგორიის საქმეებზე დადგენილ პრაქტიკასთან. იხ., 27.03.2014წ.-ის სუსტ ქანონი №ას-169-159-2014 განჩინება, სუსტ 01.07.2014წ.-ის სამოტივაციო ნაწილი №ას-455-430-2014 განჩინება).

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლი არ შეიცავს პირდაპირ მითითებას გადაწყვეტილების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილის გასაჩივრების თაობაზე, თუმცა ასეთი შეზღუდვის პირდაპირ მიუთითებლობა ნორმის განსხვავებულად განმარტების წინაპირობას არ იძლევა. სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპებისა და საპროცესო კოდექსის ნორმათა ურთიერთშეჯვერებითა და მათი ერთობლიობაში განმარტებით საკასაციო სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება მის სარეზოლუციო ნაწილზე.

გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი თავისი არსით

წარმოადგენს პირდაპირ და ზუსტ პასუხს სარჩელზე. დაინტერესებულ პირს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლია, თუ იგი მის წინააღმდეგაა მიღებული ან, რაიმე ფორმით მის კანონიერ ინტერესებს შეეხება.

მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა ბ. ც-მა და მოპასუხებად დასახელა სს „ს. ბ-ი“, ი. გ-ი და თ. გ-ი. სასარჩელო მოთხოვნას კი, წარმოადგენდა: 1. ერთი მხრივ, სს „საქართველოს ბ-სა“ და მეორე მხრივ, თ. გ-ისა და ი. გ-ს შორის 27.02.2006-ს გაფორმებული №..-ა იპოთეკის ხელშეკრულებისა და 14.12.2010წ.-ს გაფორმებული იპოთეკის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ №..-ა ხელშეკრულების ბათილად ცნობაქ.თბილისში, ... გამზ.№..-ში მდებარე უძრავი ქონებიდან 69,94კვ.მ ფართის იპოთეკით დატვირთვის ნაწილში; 3. ქ.თბილისში, ... გამზ.№..-ში მდებარე ბ. ც-ის სახელზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული 69,94კვ.მ ფართის ყადაღისაგან გათავისუფლება; 2. ბ. ც-ის მიმართ სააღსრულებო წარმოების შეწყვეტა.

მოცემულ შემთხვევაში კი, ი. გ-ი და თ. გ-ი ასაჩივრებენ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებას, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ბ. ც-ის სარჩელი ი. გ-ის, თ. გ-ის და სს „ს. ბ-ის“ მიმართ. გადაწყვეტილების გასაჩივრებისადმი იურიდიულ ინტერესად აპელანტები იმ გარემოებას მოიაზრებენ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებით „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმომბილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ბ. ც-ი ცნობილ იქნა ქ.თბილისში, ... გამზ.№..-ში მდებარე უძრავი ქონებიდან 69,94კვ.მ ფართის მესაკუთრედ. ამავე მისამართზე მდებარე უძრავი ქონება კი, რომელშიც ასევე შედის ზემოთაღნიშნული 69,94კვ.მ ფართი, სს „ს. ბ-ის“ სასარგებლოდ მიქცეულია სარეალიზაციოდ თ. გ-ის სასესხო ვალდებულების უზრუნველსაყოფად. ეს ყოველივე კი, კერძო საჩივრის ავტორთა მოსაზრებით, ი. გ-ისა და თ. გ-ს მომავალში წარმოუშობს ვალდებულებას შეუძინონ და გადასცენ ბ. ც-ს ანალოგიური მახასიათებლების მქონე ფართი.

კერძო საჩივარში მითითებული ზემოაღნიშნული არგუმენტები საკასაციო პალატის მოსაზრებით, ვერ გახდება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებაზე ი. და თ. გ-ების

მიერ წარდგენილი სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საფუძველი, გამომდინარე იქედან, რომ როგორც ეს მოცემული საქმის მასალებითაა დადგენილი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გასაჩივრებულია თავად მოსარჩელე – ბ. ც-ის მიერ. აპელანტის მოთხოვნას წარმოადგენს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება. ამდენად, მოსარჩელის მართლზომიერი იურიდიული ინტერესის – ქ.თბილისში, ... გამზ. №...-ში მდებარე უძრავი ქონების იძულებითი რეალიზაციისას არ იქნეს ხელყოფილი საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ 69,94კვ.მ ფართზე ბ. ც-ის საკუთრების უფლება – მიღწევა, პროცესუალურად შესაძლებელია არა მოპასუხების, არამედ უშუალოდ მოსარჩელის სამართლებრივად დასაბუთებული და შესაბამისი მტკიცებულებებით გამყარებული სააპელაციო პრეტენზით. ასე, რომ მოპასუხეთა მიერ წარდგენილი სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება, როგორც სამართალნარმოების პროცესში ბ. ც-ის საკუთრების უფლების დაცვის უაღმერნატივო გზა, პროცესუალური თვალსაზრისით, უმართებულოა.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტი (ყადალისგან ქონების გათავისუფლების შესახებ სარჩელი) წარმოადგენს იმგვარ სამართლებრივ ინსტრუმენტს, რომელიც იცავს სხვისის საკუთრების უფლებას უსაფუძვლო ხელყოფისაგან. ნორმის მიზანია ქონების ნამდვილი მესაკუთრის ინტერესის სამართლებრივი ბალანსის დაცვა მოვალესა და კრედიტორს შორის არსებულ ვალდებულებით სამართლებრივ ურთიერთობებში, ხოლო ნორმით მინიჭებული უფლების ადრესატად კი, ქონების მესაკუთრე გვევლინება.

გამომდინარე იქიდან, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი პირდაპირ არ წარმოშობს ი. და თ. გ-ების მიმართ რაიმე ქმედების შესრულების ან შესრულებისაგან თავის შეკავების ვალდებულებას, მათ არ გააჩნიათ ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცესუალური უფლებამოსილება, რის გამოც, მათი სააპელაციო საჩივარი სწორად იქნა დატოვებული განუხილველად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და

არ უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 410-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. თ. გ-ისა და ი. გ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისს საპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 8 აპრილის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასარიცხოდება.

## **სააპელაციო სასამართლოს გადაცევატილება**

**დაუსწრებელი გადაცევატილება – აპელაციის  
არასაპარატულობის მიზანით გამოუცხადებლობის გამო**

### **განხილვა**

№ას-68-62-2015

29 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** ინფორმაციის მიღება, ხელშეშლის აღკვეთა

### **აღწერილობითი ნაწილი:**

ვ. გ-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე, შპს „ბ-ის“ მიმართ, რომლითაც მოითხოვა, შემდეგი დოკუმენტების: შპს „ბ-ის“ სახელზე დაფუძნების დღიდან არსებული ყველა საბანკო ანგარიშის ნუსხის გადაცემა, იმ საბანკო ანგარიშების ჩათვლით, რომლებიც მითითებულ იქნა შპს „ბ-ის“ წარმომადგენლების მიერ მოივარეთა გადახდების მისაღებად (მაგალითად ეუთო)

კრედიტორებისაგან შპს „ბ-ის“ აქტივების ან შპს „ბ-ში“ წილის მყიდველების და /ან პოტენციური მყიდველების (მაგ: შპს „ბ-ი“, „ს-ი“, „ც-ი“ და ა.შ) და აღნიშნული საბანკო ანგარიშებიდან ყველა ამონანერის დამონმებული ასლების (მაგ: შპს „ბ-ის“ ან-გარიშები თბილისში, ციურიხში, ნიუ-ორკში და სხვა);

ასევე, ყველა საკრედიტო ბარათის ანგარიშის წუსხის გადაცემა, რომელიც არსებობს ან არსებობდა შპს „ბ-ის“ დაფუძნების მომენტიდან მის სახელზე ან მისი სარჯით და აღნიშნული ანგარიშების ყველა ამონანერის დამონმებული ასლები ყველა გაფორმებული კონტრაქტი და სხვა დოკუმენტაცია, რომლის თანახმად, შპს „ბ-ის“ რომელიმე ქონება გაიყიდა, გაიცა იჯარით, დაიტვირთა იპოთეკით ან უფლებით ან სხვაგვარად გასხვისდა ან დაიტვირთა მთლიანად ან ნანილობრივ (მაგ: კონტრაქტები დიდ ბრიტანეთთან, გერმანიასთან, ეუთოსთან, ევროპის საბჭოსა და სხვა, იპოთეკის ხელშეკრულებები და სხვ.);

ყველა ხელმოწერილი კონტრაქტისა და სხვა დოკუმენტაციის გადაცემა, რომლის თანახმად, შპს „ბ-ის“ რომელიმე ქონება ან პოტენციური ქონება გაიყიდებოდა, გაიცემოდა იჯარით ან სხვა რაიმე უფლებით ან სხვაგვარად გადაიცემოდა ან დაიტვირთებოდა მთლიანად ან ნანილობრივ (მაგ: ხელშეკრულებები შპს „პ.ჰ-ნ“, შპს „ბ-თან“ და სხვა);

შპს „ბ-ის“ დაფუძნების მომენტიდან პარტნიორთა კრებების ყველა ოქმის, მათ შორის, პარტნიორთა რიგგარეშე კრების ოქმების გადაცემა (2007 წლის 7 დეკემბრის რ. ჭ-ის მიერ ნარმოდგენილი ოქმების გარდა); შპს „ბ-ის“ დაფუძნების მომენტიდან აღმასრულებელი კომიტეტის ყველა ოქმის, მათ შორის, აღმასრულებელი კომიტეტის რიგგარეშე კრებების ოქმების გადაცემა; შპს „ბ-ის“ დაფუძნების დღიდან ყოველი წლის საბულალტრო წიგნების გადაცემა; შპს „ბ-ის“ დაფუძნების დღიდან არსებული ყველა საგადასახადო დოკუმენტაციის გადაცემა; ყველა აუდიტორული დასკვნის, როგორც სავალდებულო, ისე შპს „ბ-ის“ ინიციატივით ჩატარებული აუდიტორული დასკვნის გადაცემა; შპს „ბ-ის“ შვილობილი სანარმოების, მასთან ფინანსურად დაკავშირებული კომპანიების, ერთობლივი სანარმოებისა და საერთო სარგებლობაში არსებული ქონების წუსხის გადაცემა.

მოსარჩევემ განმარტა, რომ იგი არის შპს „ბ-ის“ პარტნიორი, თუმცა ბოლო წლების განმავლობაში საზოგადოების საქმიანობაში მონაწილეობა არ მიუღია. კ. გ-ის რამდენჯერმე სცადა მოპასუხისაგან სასურველი ინფორმაციის მიღება, რაზეც უარი მიიღო.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და წარმოდგენილ შესაგებელ-ში განმარტა, რომ მოსარჩელე კომპანიის მართვაში ჩართული არ იყო, ხოლო 2005 წლის 27 მაისს მხარეთა შორის დადებული „სააპერაციო ხელშეკრულებით“, რომელსაც საზოგადოების წესდებაზე უპირატესი ძალა ჰქონდა, მხარეთა შორის ნებისმიერ დაგა უნდა გადაეწყვიტა ნიუ-იორკის არბიტრაჟს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 6 მარტის გადაწყვეტილებით ჯ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მსს „ბ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად. ამავე სასამართლოს 2014 წლის 26 ნოემბრის განჩინებით კი, შპს „ბ-ის“ საჩივარს უარი ეთქვა და დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა ძალაში.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 ივლისს, 10:00სთ-ზე დანიშნულ სასამართლოს სხდომაზე, არ გამოცხადდა აპელანტ შპს „ბ-ის“ წარმომადგენელი – პ. ს-ა.

სამოქალაქო საქმეთა პალატამ განმარტა, რომ გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილი იყო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეეძლო გაექარნებლებინა დაუსწრებელი გადაწყვეტილების საფუძვლად არსებული ვარაუდი, მოეთხოვა მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება, თუ დაამტკიცებდა, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლზე და მიიჩნია, რომ ამ მუხლის ჩამონათვალი არ იყო ამომწურავი. გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილი იყო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეეძლო მიეთითებინა სხვა გარემოებებზეც, რაც სასამართლო სხდომაზე მისი გამოუცხადებლობის მიზეზი გახდა და რომლის შესახებაც მას არ შეეძლო დროულად ეცნობებინა სასამართლოსათვის. ამასთან, კანონმდებელი ავალდებულებდა მხარეს, წინასწარ ეცნობებინა სასამართლოს სხდომაზე მისი გამოცხადების შეუძლებლობის მიზეზის შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი შეტყობინება სხდომამდე შეუძლებელი იყო. იმ გარემოებათა დამტკიცების ტვირთი, რომლებზეც მიუთითებდა მხარე თავის საჩივარში, როგორც გამოუცხადე-

ბლობის საპატიო მიზეზზე, ეკისრებოდა მომჩივანს, ხოლო მომჩივნის მიერ მითითებული გარემოებების შეფასება იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად საპატიო იყო მხარის გამოუცხადებლობა, სასამართლოს უფლებამოსილებას წარმოადგენდა. მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების ერთ-ერთ საფუძვლად მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ სასამართლო პროცესზე მისი გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლისა და 103-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა მომჩივანს, რომელსაც სასამართლო სხდომაზე მისი გამოუცხადებლობის დამადასტურებელი მტკიცებულებები არ წარმოუდგენია. უფრო მეტიც, საჩივრის ავტორი წარმოდგენილ საჩივარში თავად უთითებდა, რომ მას არ მოქოვებოდა რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველი, მესამე ნაწილების, 229-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, მის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობას მისთვის სასამართლო შეტყუბინების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ჩაბარება წარმოადგნდა, რაც მოცემულ შემთხვევაში, დაცული იყო.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ აპელანტის წარმომადგენელს სააპელაციო სასამართლოში 2014 წლის 24 ივლისს, 10:00სთ-ზე დანიშნული მთავარი სხდომის შესახებ ეცნობა სატელეფონო შეტყუბინებით 08.07.2014წ.-ს, რაც დადასტურდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტის შესაბამისად შედგენილი აქტით. ამავე კოდექსის 70-ე მუხლის პირველ ნაწილის თანახმად კი, უწყება (გზაენილი) მხარისათვის და მისი წარმომადგენელისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო საჩივრის საფუძვლად მითითებული გარემოება იმის შესახებ, რომ სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მეორე ნაწილით, ყურადღება გაამახვილა ამავე მუხლის პირველ ნაწილზე და განმარტა, რომ იმ საკითხს, თუ სარჩელში

მითითებული გარემოებები იურიდიულად რამდენად ამართლებს სასამარჩელო მოთხოვნას, სასამართლო იუვლევდა მხოლოდ მაშინ, როდესაც სასამართლო სხდომაზე არ ცხადდებოდა მოპასუხე და მოსარჩელე შუამდგომლობდა მის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, რასაც კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა. ამ შემთხვევაში, სასამართლოს სხდომაზე გამოუცხადებელ მხარეს წარმოადგენდა არა მოპასუხე (მონინააღმდეგე მხარე), არამედ, აპელანტი. აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე კი, პირდაპირ მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველი ნაწილი და 229-ე მუხლის პირველი ნაწილი.

სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება მისი უცვლელად დატოვების შესახებ შპს „ბ-მა“ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილებად.

წარმოდგენილ საკასაციო საჩივარში აღნიშულია, რომ სააპელაციო სასამართლოს 24.07.2014წ.-ის სხდომაზე აპელანტის წარმომადგენლის გამოცხადება ვერ მოხერხდა გარკვეულ მიზეზთა გამო, თუმცა კასატორი მოკლებული იყო შესაძლებლობას წარმოედგინა გამოუცხადებლობის საპატიონის დამადასტურებელი მტკიცებულება.

საკასაციო საჩივრის ძირითადი დასაბუთება იმ გარემოებას ემყარება, რომ საქმის განმხილველ სასამართლოს უნდა ეხელებდვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლითა და 230-ე მუხლის მეორე ნაწილით და არ უნდა დაეკმაყოფილებინა მონინააღმდეგე მხარის შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე.

კასატორის ეს პოზიცია განპირობებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტის მოქმედებიდან, სახელდობრ, კასატორი განმარტავს, რომ მოსარჩელეს საზოგადოების დაფუძნების დღიდან არ მოუთხოვია ინფორმაცია საწარმოს საქმიანობის შესახებ, რაც განპირობებული იყო სწორედ იმ შეთანხმებით („საოპერაციო ხელშეკრულება“), რომელზეც მოპასუხე მხარე აპელირებდა თავის ახსნა-განმარტებაში პირველი ინსტანციის სასამართლოში. საზოგადოების უარი დოკუმენტის გადაცემაზე განპირობებული იყო იმით, რომ საზოგადოების პარტნიორი, რომელსაც არანაირი მონაწილეობა არ მიუღია საწარმოს მართვაში წლების განმავლობაში, არც დირექტორის ანგარიში მოუთხოვია და მხარეთა შეთანხმე-

ბით მისი მდგომარეობა პრივილეგირებული აქციების მფლობელი აქციონერის მდგომარეობასთან იყო გათანაბრებული, მოულოდნელად, ყოველგვარი განმარტების გარეშე, საწარმოს საქმიანობის ინფორმაციის ნაცვლად, კომპანიას მოსთხოვა ყველა დოკუმენტის გადაცემა, რაც გარკვეული ეჭვები აღძრა საწარმოს ხელმძღვანელობაში.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული ნორმა გულისხმობდა სწორედ ყველა დოკუმენტის გადაცემას საზოგადოების ნებისმიერი პარტნიორისათვის. თავისი არგუმენტაციის გასამყარებლად სასამართლომ მიუთითა „მენარმეთა შესახებ“ კანონის 46-ე მუხლის მე-4 პუნქტზე. კასატორის მტკიცებით კი, მითითებული ორი ნორმის განმარტებიდან გამომდინარე, პარტნიორს ჰქონდა უფლება, გაცნობოდა დოკუმენტაციას, მაგრამ ეს არ გულისხმობდა ყველა დოკუმენტის მიღების უფლებას. კანონი განმარტავდა, თუ რომელი დოკუმენტების მიღების უფლება ჰქონდა პარტნიორს და ეს იყო წლიური ანგარიშები. რაც შეეხება ასლების გადაღებას, მით უფრო, ისეთი დოკუმენტაციის მოთხოვნას, რომელიც არ არსებობდა, კანონი ცალსახად არ ითვალისწინებდა. სასამართლომ დააკმაყოფილა ისეთი მოთხოვნები, როგორიცაა პოტენციურ მყიდველთან დასადები ხელშეკრულებების ასლების გადაცემა, აგრეთვე, იმ დოკუმენტების გადაცემა, რომელთა მოპოვებაც თავისუფლად იყო შესაძლებელი ელექტრონული სახით საჯარო რეესტრის ოფიციალური ვებგვერდიდან, რაც, კასატორის მოსაზრებით, კანონსაწინააღმდეგო იყო.

კასატორმა აღნიშნა, რომ მხარეთა შორის არსებობდა „საიპერაციო ხელშეკრულება“, რომელიც განსაზღვრავდა ურთიერთობებს საზოგადოების პარტნიორებს, აგრეთვე, საზოგადოების პარტნიორებსა და საზოგადოებას შორის, მათ უფლებებსა და მოვალეობებს და უპირატესი ძალა ჰქონდა საზოგადოების წესდებასთან შიმართებაში. აღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით, მხარეთა შორის ნებისმიერი დავა უნდა გადაეწყვიტა ნიუ-იორკის არბიტრაჟს. ამდენად, არ არსებობდა სარჩელის აღძრის საფუძველი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტი). შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, განეხილა საქმე, ხოლო სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა აღნიშნულის თაობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 20 თებერვლის განჩინებით შპს „ბ-ის“

საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2015 წლის 1 აპრილის განჩინებით კი, საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაზიგოებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

კასატორი სადაცოდ ხდის მის წინააღმდეგ გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერებას და მისი გამოტანის დამაბრკოლებელ გარემოებად, ერთ შემთხვევაში, გამოუცხადებლობის საპატიოობას და მეორე შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნის იურიდიულ დაუსაბუთებლობას მიიჩნევს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლი განსაზღვრავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებს. აღნიშნული მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

ამდენად, მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია გააქარნლოს ვარაუდი, რომელიც საფუძვლად უდევს ამ გადაწყვეტილებას, მოითხოვოს მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება თუ, დამტკიცებს, რომ არ არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები.

მოცემულ საქმეზე დადგენილია ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ თბილისის სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში საქმის ზეპირი განხილვისას სასამართლოს სხდომაზე, რომელიც დანიშნული იყო 2014 წლის 24 ივნისს 10:00 საათზე, არ გამოცხადდა პელანტის წარმომადგენელი – პ. ს-ა, რომელიც სასამართლო სხდომის დღის შესახებ გაფრთხილებული იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით და სასამართლო არ იყო ინფორმირებული მისი გამოუცხადებლობის მიზეზის თაობაზე. ეს გარემოება კასატორს სადაცოდ არ გაუხდია და ამდენად, მას საკასაციო პალატისათვის სავალდე-

ბულო ძალა გააჩინია.

მოცემულ შემთხვევაში, კასატორი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების ორ საფუძველზე აპელირებს, მათგან ერთ-ერთია სასამართლო სხდომაზე შპს „ბ-ის“ წარმომადგენლის გამოუცხადებლობის საპატიოობა. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იმ გარემოებათა წრეს, რომელთა არსებობის შემთხვევაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს მითითებულია 233-ე მუხლის პირველ ნაწილში, მაგრამ ამ მუხლის ჩამონათვალი არაა ამომწურავი. გამოუცხადებელ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია მიუთითოს სხვა გარემოებებზეც, რომლის ჩამონათვალს განსაზღვრავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

საკასაციო პალატას დაუსაბუთებლად მიაჩინია საჩივრის ავტორის პრეტენზია სასამართლო სხდომაზე მისი გამოუცხადებლობის არასაპატიოდ მიჩნევის თაობაზე და მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამავე კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის არსებობა უნდა დასტურდებოდეს სათანადო მტკიცებულებით, კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში, კასატორი ვერც ადასატურებს სხდომაზე გამოუცხადებლობის ობიექტური გარემოების არსებობას და თვითონაც განმარტავს, რომ ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა არ შეუძლია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩინია, რომ კასაციის პირველ საფუძვლად (გარემოებად) სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიოობის ნაწილში, წარმოდგენილი არ არის დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების კიდევ ერთ საფუძვლად კასატორი სარჩელის იურიდიულ დაუსაბუთებლობას მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეზე არსებობდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი გარემოებები, იმ თვალსაზრისით, რომ სანარმოს საქმიანობის შესახებ დოკუმენტაციის გადაცემის ვალდებულება, რომელიც დადგენილია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სახეზე არ იყო.

კასატორის აღნიშნულ პრეტენზიას საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს იმ საფუძვლით, რომ როგორც მოცემულ საქმეზეა დადგენილი ჯ. გ-ის სარჩელი სანარმოს საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გადაცემის შესახებ დაკმაყოფილებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 6 მარტის გადაწყვეტილებით, ხოლო სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანს ჯ. გ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით წარდგენილი შპს „ბ-ის“ სააპელაციო საჩივარი წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო მოკლებული იყო პროცესუალურ შესაძლებლობას ემსჯელა იმგვარ პროცესუალურ საკითხზე, როგორიცაა სარჩელის იურიდიული დასაბუთებულობა და მართებულობა.

შესაბამისად, საპროცესო ნორმების დარღვევა, რომელზედაც პრეტენზიას ამყარებს კასატორი, საქმის მასალებით დადგენილი არ არის. ხოლო ის გარემოება, რომ ჯ. გ-ი არ იყო უფლებამოსილი მიეღო სანარმოს საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე, ვერ განაპირობებს გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და მისი უცვლელად დატოვების შესახებ განჩინების გაუქმებას, იმ თვალსაზრისით, რომ საკითხი იმის შესახებ თუ, რომელი კონკრეტული ინფორმაცია იყო ხელმისაწვდომი მოსარჩელისათვის და რომელი არა, წარმოადგენდა არსებითი მსჯელობის ეტაპზე განსახილველ საკითხს და არა დაუსწრებელი გადაწყვეტილების ფარგლებში განსახილველ საკითხს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება თავისი შინაარსით საქმის განხილვაში ერთ-ერთი მხარის მონაწილეობის გარეშე მიღებული გადაწყვეტილებაა. დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტი მიზნად ისახავს სასამართლოს ეფექტურ საქმიანობას, სასამართლო დავების სწრაფად და გაჭიანურების გარეშე გადაწყვეტას, მხარეთა „იძულებას“, განახორციელონ საპროცესო კანონით მინიჭებული უფლებები – საქმის განხილვაში მიღლონ აქტიური მონაწილეობა და ხელი შეუწყონ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანში. დაუსწრებელი გადაწყვეტილება თავისი იურიდიული ბუნებით წარმოადგენს სანქციას იმ მხარისათვის, რომელიც არ ცხადდება საქმის განხილვაზე (სსკ-ის 229-ე, 230-ე, 231-ე, 232-ე მუხლები) ანდა არ ახორციელებს თავის საპროცესო უფლებებს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლი), რითაც ქმნის ვარაუდს, რომ მან დაკარგა ინტერესი, შეენინააღმდეგოს მის

მიმართ აღძრულ სარჩელს (პრეზუმფცია). ასეთ შემთხვევაში, სასამართლო საქმეში არსებული მტკიცებულებების გამოკვლევისა და შეფასების საფუძველზე კი არ იღებს გადაწყვეტილებას, არამედ სარჩელში მითითებულ ფაქტებს უპირობოდ დადასტურებულად მიიჩნევს და თუ მათი ერთობლიობა, თეორიულად, სარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას იძლევა, გამოაქვს დაუსწრებელიგადაწყვეტილება.

ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია, რაც გამორიცხავს მისი დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივ წინაპირობებს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

### **და ადგინდეთ:**

1. შპს „ბ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და 2014 წლის 26 ნოემბრის განჩინება;
3. სახელმწიფო ბაჟი გადახდილია;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# დაუსწრებელი გადაცვატილების გამოტანის ნიცაპირობები

## სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზანები

### განხილვა

№ას-727-692-2015

25 ნოემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ზ.ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
ნ. ბაქაევური

**დავის საგანი:** ვალდებულების შესრულება, პირგასამტებ-  
ლოს ანაზღაურება

#### აღნერილობითი ნაწილი:

1. შპს „ი-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ბ. მ-ის“  
მიმართ მიწოდებული პროდუქტის ღირებულების – 38 687,51  
ლარისა და პირგასამტებლოს – 8 765,33 ლარის ანაზღაურების  
შესახებ.

2. მოსარჩელემ განმარტა, რომ 2013 წლის 15 თებერვალს  
მხარეთა შორის გაფორმდა საცხებ-საპოხი მასალების შესყიდ-  
ვის შესახებ ხელშეკრულება. ხელშეკრულების თანახმად, მო-  
სარჩელეს უნდა მიეწოდებინა მყიდველისთვის საცხებ-საპოხი  
მასალები ხელშეკრულებით დადგენილი წესით, ხოლო მოპასუხე  
ვალდებული იყო, ნასყიდობის საგნის მიწოდებიდან 40 დღის  
ვადაში აენაზღაურებინა მიწოდებული პროდუქტის ღირებუ-  
ლება. ამავე ხელშეკრულების 5.2. პუნქტით მყიდველის მხრი-  
დან მხარეთა შორის დადგენილი ანგარიშსწორების პირობის (ვა-  
დის და/ან ოდენობის) დარღვევისას გათვალისწინებული იყო  
პირგასამტებლო – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,2%.

3. 2013 წლის 23 იანვრიდან 2013 წლის 17 აგვისტოს ჩათვ-  
ლით მოსარჩელემ მოპასუხეს მიაწოდა 101 897,51 ლარის ღირე-  
ბულების პროდუქტია, რაც დასტურდება მხარეთა მიერ დადას-  
ტურებული ელექტრონული ზედნადებებით და საგადასახადო  
ანგარიშფაქტურებით.

4. მოსარჩელემ განმარტა, რომ მოპასუხემ დაარღვია ხელშეკ-  
რულებით ნაკისრი ვალდებულება, კერძოდ, მოპასუხემ ხელ-  
შეკრულებით დადგენილ ვადაში სრულად არ გადაიხადა.

5. მოპასუხებ სარჩელი სრულად ცნო.
6. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით შპს „ი-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც მოპასუხებ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.
7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2015 წლის 23 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა აპელანტის გამოუცხადებლობის გამო.
8. დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შპს „ბ. მ-მა“ შეიტანა საჩივარი შემდეგი მოტივებით:
9. საჩივრის ავტორის განმარტებით, 2015 წლის 23 მარტს პროცესის დაწყებამდე შპს „ბ. მ-ის“ წარმომადგენელი (თ. შ-ე) ტელეფონით ესაუბრა თანაშემწეს და აცნობა, რომ იყო შეუძლოდ, კერძოდ, ჰქონდა ძლიერი თავისუსვევა და ვერ გამოცხადდებოდა პროცესზე, რის გამოც მოითხოვა სხდომის სხვა დროისათვის გადადება.
10. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საჩივრის ავტორმა მიიჩნია, რომ მხარის გამოუცხადებლობის საპატიოდ მიჩნევისათვის არ არის სავალდებულო დაუძლეველი ძალის არსებობა. აღნიშნული ნორმის დანაწესის მიხედვით, სხდომის გადადებისათვის საკმარისია თუნდაც „სხვა მოვლენა“, რასაც შეეძლო, ხელი შეეშალა მხარის გამოცხადებისათვის.
11. საჩივარში აღნიშნულია, რომ მხარემ გამოხატა წება, მონაწილეობა მიეღოს საქმის განხილვაში, მაგრამ ამას ხელს უშლის გარემოებები, რომელიც მისი უნებური შეცდომით, გაუფრთხილებლობით არის გამოწვეული, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება დაუშვებელია. ამგვარი გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში, გამოუცხადებლობა უნდა ჩაითვალოს საპატიოდ და დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაუქმდეს. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოსათვის ცნობილი იყო, როგორც მხარის გამოუცხადებლობის მიზეზის, ასევე, მისი ნების შესახებ, რათა მონაწილეობა მიეღო საქმის განხილვაში.
12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 18 მაისის განჩინებით შპს „ბ. მ-ის“ საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩება დარჩება უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:
13. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2015 წლის 23 მარტს სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოცხადდა მოწინააღმდეგე მხარე შპს „ი-ის“ წარმომადგენელი ა. მ-ი და არ გამოცხადდა აპელანტი – შპს „ბ. მ-ი“. მოწინააღმდეგე

მხარის წარმომადგენელმა სასამართლოს წინაშე იშუამდგომ-ლა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შესახებ.

14. სააპელაციო პალატამ ასევე დაადგინა, რომ განსახილვ-ელ საქმეზე შპს „ბ. მ-ის“ წარმომადგენელ თ. პ-ესთან ამავე საწარმოს დირექტორის 2014 წლის 3 ნოემბრის №01-40 ბრძა-ნებით 2014 წლის 31 დეკემბრიდან შეწყდა შრომითი ურთიერ-თობა და აღნიშნულ საქმეზე საზოგადოების დირექტორის 2015 წლის 20 მარტს გაცემული რჩმუნებულებით სასამართლოში საქმის წარმოების უფლებამოსილება მიერიჭა ადვოკატ თ. შ-ეს.

15. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის, 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საა-პელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ საქმის მასალებით დას-ტურდება და არც საჩივრის ავტორი სადაცოდ არ ხდის შპს „ბ. მ-სათვის“ კანონით დადგენილი წესით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში 2015 წლის 23 მარტს დაწინაურებული სასამართლო სხდომისა და სხდომაზე არასა-პატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შესაძლო შედეგების შეტ-ყობინების ფაქტს.

16. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის შესა-ბამისად, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ საჩივრის ავტორი გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლად უთითებს შპს „ბ. მ-ის“ წარმომადგენლის სასამართ-ლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზს – მის ავადმყოფობას, რის შესახებაც აცნობა სასამართლოს.

17. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ დაუსწრებელი გა-დაწყვეტილება არის ერთგვარი სანქცია მხარის მიმართ, რომელ-მაც სასამართლოს მიერ დაკისრებული ვალდებულება არ შეას-რულა. ამასთან, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას სა-ფუძვლად უდევს ვარაუდი, რომ მხარემ დავის მიმართ დაკარ-გა ინტერესი. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო საქმეში არსებუ-ლი მტკიცებულებების გამოკვლევისა და შეფასების საფუძველ-ზე კი არ იღებს გადაწყვეტილებას, არამედ სარჩელში მითითე-ბულ ფაქტებს უპირობოდ დადასტურებულად მიიჩნევს და, თუ მათი ერთობლიობა თეორიულად სასარჩელო მოთხოვნის დაკ-მაყოფილების შესაძლებლობას იძლევა, გამოაქვს დაუსწრებე-ლი გადაწყვეტილება.

18. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირვე-ლი ნაწილი ავალდებულებს მხარეს, დაამტკიცოს გარემოებე-ბი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესა-გებელს. ამავე კოდექსის 103-ე მუხლის პირველი ნაწილის თა-ნახმად კი, მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენ მხა-

## რეები.

19. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი არ არის რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა შპს „პ. მ-ის“ წარმომადგენლის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზს (აპელანტის წარმომადგენლის ავადმყოფობას) და არც საჩივარი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლით გათვალისწინებულ საპატიო მიზეზზე მტკიცებით მითითებას არ შეიცავს.

20. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

21. სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მისი ძალაში დატოვების შესახებ განჩინება შპს „პ. მ-მა“ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდგენ საფუძვლებით: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე და 241-ე მუხლების შესაბამისად, კასატორმა მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოსათვის ცნობილი იყო აპელანტის წარმომადგენლის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ, რის თაობაზეც წარმომადგენლმა აცნობა სასამართლოს სხდომის დაწყებამდე და ითხოვა საქმის განხილვის გადადება. აღნიშნული ადასტურებს, რომ მხარემ გამოხატა წება, მონაზილეობა მიეღო სასამართლო პროცესში და დაადასტურა, რომ საქმის განხილვისადმი ინტერესი არ დაუკარგავს. სადაც დაუსწრებელი გადაწყვეტილება წარმოადგენს „ერთგვარ სანქციას“ აპელანტის მიმართ.

22. კასატორის მითითებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებების მიხედვით, ზემოაღნიშნული საპროცესო ნორმებიდან ნათლად გამომდინარეობს, რომ მხარის გამოუცხადებლობის საპატიოდ მიჩნევისათვის არ არის დაუძლეველი ძალის არსებობა სავალდებულო, არამედ თუნდაც მხოლოდ სხვა მოვლენის არსებობა, რასაც მხარის გამოცხადებისათვის ხელის შეშლა შეეძლო, საკმარისია სხვა დროისათვის სხდომის გადადებისთვის. თუ სასამართლოსთვის ცნობილი გახდება მხარის გამოუცხადებლობის დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობის შესახებ, მან უნდა უზრუნველყოს სამართლიანი სამართლნარმოების კონსტიტუციური პრინციპის – დისპოზიციურობის დაცვა და უნდა მისცეს მხარეს საქმეში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა, თუნდაც მას ეჭვი ეპარებოდეს მხარის გამოუცხადებლობის მიზეზების საპატიოობაში. აღნიშ-

ნული გამომდინარეობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების, როგორც საპროცესო დასჯის მექანიზმის არსიდან. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა მხოლოდ მაშინ არის მიზანშეწონილი, როდესაც მხარე თავისი მოქმედებით ან უმოქმედობით უარს განაცხადებს საპროცესო თანამშრომლობაზე, ანუ, როდესაც მას აქვს პროცესზე გამოცხადების შესაძლებლობა, მაგრამ არ აქვს ნება. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც არსებობს მხარის აშკარად გამოხატული ნება, მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, მაგრამ ამას ხელს უშლის გარემოებები, რომელიც შესაძლოა მისი უნებური შეცდომით, გაუფრთხილებლობით არის გამოწვეული, მის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება დაუშვებელია. ამგვარი გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში გამოუცხადებლობა უნდა ჩაითვალოს საპატიოდ და დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაუქმდეს.

23. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 ივნისის განჩინებით შპს „ბ. მ-ის“ საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამონმებლად, ხოლო 2015 წლის 9 სექტემბრის განჩინებით ცნობილ იქნა დასაშვებად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

24. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივარის საფუძვლები, შეამონება გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ შპს „ბ. მ-ის“ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაქმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

25. მოცემული საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ სააპელაციო პალატის 2015 წლის 14 იანვრის განჩინებით შპს „ბ. მ-ის“ სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებაზე მიღებულ იქნა წარმოებაში, ხოლო 2015 წლის 14 იანვარს განჩინებით საქმის განხილვა დაინიშნა 2015 წლის 23 მარტს, 13:00 საათზე.

26. საქმის მასალებიდან ირკვევა და კასატორს სადავოდ არ გაუხდია, რომ შპს „ბ. მ-ს“ საქმის განხილვის დანიშვნის შესახებ გაეგზავნა სასამართლო უწყება და 2015 წლის 17 მარტს ჩაბარდა საზოგადოების იურისტის მეშვეობით. ამავე უწყებით მხარეს განემარტა სასამართლოს მთავარ სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგები. შესაბამისად,

მხარეს გონივრული ვადა გააჩნდა საქმის განხილვაში მონაწილეობისათვის მოსამზადებლად.

27. აღნიშნულის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე შპს „ბ. მ-ის“ წარმომადგენელი არ გამოცხადდა და არც თავისი გამოუცხადებლობის მიზეზის შესახებ სააპელაციო სასამართლოს არ აცნობა. მონინაალმდევე მხარემ იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ, რის საფუძველზეც საქმეზე მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

28. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლი არეგულირებს სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების წესსა და წინაპირობებს. აღნიშნული წორმით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში კი, გამოყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მესამე ნაწილი, 372-ე მუხლი).

29. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მონინაალმდევე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

30. დასახელებული წორმიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, მიიღოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, თუ აპელანტი, რომელსაც საქმის განხილვის დრო კანონით დადგენილი წესით ეცნობა, არსაბატიო მიზეზით არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე და არც თავისი გამოცხადების შეუძლებლობის თაობაზე სააპელაციო პალატას არ აცნობა. სასამართლოში მხარის არასაპატიო გამოუცხადებლობას კანონმდებელი უკავშირებს მის მიერ საქმის განხილვისადმი ინტერესის დაკარგვის ვარაუდს. ასეთ შემთხვევაში სასამართლო, მონინაალმდევე მხარის შეუამდგომლობის საფუძველზე, დაუსწრებელი გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილებს სააპელაციო საჩივარს. ამავდროულად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება წარმოადგენს ერთგვარ სანქციას იმ მხარის მიმართ, რომელიც თავისი არაკეთილსინდისიერი ქმედებით, არასაპატიოდ უგულებელყოფს სასამართლოს მიერ განსაზღვრული საპროცესო მოქმედების, მოცემულ შემთხვევაში სასამართლო პროცესზე გამოცხადების, შესრულების მოვალეობას.

31. ამდენად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისათვის უნდა არსებობდეს 387-ე მუხლის პირველი ნაწილის შემადგენლობის ყველა ელემენტი: ა) აპელანტის გამოუცხადებლობა; ბ) გამოუცხადებლობის არასაპატიო მიზეზი; გ) მონინააღმდეგი მხარის შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ.

32. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლად შპს „ბ. მ-ი“ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ საქმის განხილვაზე აპელანტის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, კერძოდ, საზოგადოების წარმომადგენელი სასამართლო პროცესის დაწყებამდე შეუძლოდ გახდა და, თავბრუსხვევის გამო, ვერ შეძლო სხდომაზე გამოცხადება.

33. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მესამე ნაწილი განსაზღვრავს ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობის საპატიოდ მიჩნევის წანამდლვრებს და ასეთად მიიჩნევს ავადმყოფობას, ახლო ნათესავის გარდაცვალებას ან სხვა განსაკუთრებულ ობიექტზე გარემოებას, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის საპროცესო მოქმედების შესრულებას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

34. კანონის მითითებული დანაწესის თანახმად, საპატიოდ ჩაითვლება ისეთი გარემოების არსებობის სარწმუნოდ დადასტურება, რომელიც ობიექტზე შეუძლებელს ხდის მხარის მიერ საპროცესო მოქმედების შესრულებას, მოცემულ შემთხვევაში კი – სასამართლო პროცესზე გამოცხადებას და აღნიშნულის შესახებ სასამართლოსათვის შეტყობინებას. იმ შემთხვევაში, როდესაც საპატიო მიზეზი შეეხება მხარის ავადმყოფობას, კანონმდებელი აღნიშნული ფაქტს დადასტურებულად მიიჩნევს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი ცნობის წარდგენის საფუძველზე.

35. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „ბ. მ-მა“ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით დადგენილი საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების მტკიცების სტანდარტის დაცვით ვერ დაადასტურა ამავე კოდექსის 215-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობის – სასამართლო სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობისა და აღნიშნულის შესახებ სასამართლოსათვის შეუტყობინებლობის საპატიო მიზეზის არსებობა. მხ-

არემ ვერ წარადგინა მისი წარმომადგენლის ავადმყოფობის დამადასტურებელი სათანადოდ შედგენილი ცნობა და ვერ მიუთითა ისეთ მტკიცებულებაზე, რომელიც ასახავდა აპელანტის წარმომადგენლის მიერ სასამართლოსათვის საქმის განხილვის დაწყებამდე თავისი გამოუცხადებლობის მიზეზის შეტყობინების ფაქტს. მხოლოდ მხარის ზეპირი განმარტება კი, აღნიშნული ფაქტის დასადასტურებლად საკმარისი არ არის.

36. ამავდროულად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ აპელანტი იყო იურიდიული პირი, შესაბამისად, ერთ-ერთი წარმომადგენლის შეუძლოდ ყოფნის შემთხვევაში შეეძლო, უზრუნველეყო საქმის განხილვაზე მისი დასწრება სხვა წარმომადგენლის მეშვეობით, თუნდაც საქმის განხილვის სხვა დროისათვის გადადების მიზნით, რაც შპს „ბ. მ-ს“ არ განუხორციელებია.

37. ამდენად, კასატორმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლით დადგენილი საპატიო მიზეზის არსებობა სარწმუნოდ ვერ დაადასტურა, რის გამოც არ არსებობს სადაც დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და განჩინების გაუქმების ამავე კოდექსის 241-ე მუხლით განსაზღვრული სამართლებრივი წინაპირობა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „ბ. მ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და 2015 წლის 18 მაისის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## დაუსწრებელი გადაცევატილების გაუქმების საფუძვლები

### განჩინება

№ას-697-663-2015

15 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. თოლუა (თავმჯდომარე),  
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** სახელშეკრულებო ურთიერთობის აღდგენა,  
სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებაში ხელშეშლის  
აკრძალვა

#### აღნერილობითი ნაწილი:

1. 2013 წლის 24 ოქტომბერს შპს „ნ-ნ“-სა (შემდეგში საწარმო, მენარდე ან მოსარჩევე) და თვითმმართველ ქალაქ ფოთს (შემდეგში შექვეთი, მოპასუხე, ადმინისტრაციული ორგანო ან კასატორი) შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის №197 ხელშეკრულება (შემდეგში №197 ხელშეკრულება ან სადაციდ ქცეული ხელშეკრულება), რომლის საფუძველზე, თვითმმართველი ქალაქი ფოთის დაკვეთით, მენარდეს უნდა შეესრულებინა ქალაქის ცენტრალური სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაო [საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ, 629-ე მუხლი]. ხელშეკრულების 4.1. ქვეპუნქტით შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრა ხელშეკრულების დადებიდან 2013 წლის 30 დეკემბრამდე, ხოლო 6.1. ქვეპუნქტით – ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა – ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2014 წლის 20 ოქტომბერის ჩათვლით. ამ ხელშეკრულებაში, მხარეთა წერილობითი შეთანხმებით №197-1/1, 2013 წლის 30 დეკემბრს, შევიდა ცვლილება და №197-ე ხელშეკრულების 4.1. ქვეპუნქტი შეიცვალა შესყიდვის ობიექტის დასრულების ვადა განისაზღვრა 2014 წლის 19 იანვრის ჩათვლით.

2. თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს 2014 წლის 29 იანვრის №2-03/203 გადაწყვეტილებით №197 ხელშეკრულება შეწყდა, რის თაობაზეც მერიამ წერილობით აცნობა საწარმოს დირექტორს, ასევე, აუწყა, რომ არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში საწარმოს შეყვანის საკითხის განხილვასთან და-

კავშირებით, ადმინისტრაციულმა ორგანომ აცნობა კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს.

3. მენარდემ 2014 წლის 2 თებერვალს სარჩელი აღძრა ფოთის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში, შემკვეთის წინააღმდეგ, მოითხოვა. № 197 ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე, თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს 2014 წლის 29 იანვრის № 2-03/203 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და სანარმოს მიერ, № 197 ხელშეკრულებით გათვალისწინებული, სამუშაოების შესრულებაში ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტისათვის ხელშეშლის აკრძალვა.

4. მენარდის განმარტებით, სამუშაოს დაწყებისთანავე გამოვლინდა მისგან დამოუკიდებელი, იმგვარი გარემოებები, რომელმაც შეაფერხა № 197 ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში სამუშაოს ბოლომდე შესრულება, კერძოდ: ა) საპროექტო დოკუმენტაციაში იყო ხარვეზები; ბ) ადგილობრივი რელიეფის გათვალისწინებით, აუცილებელი გახდა გაუთვალისწინებელი სამუშაოების ჩატარება (ე.წ. წყალქცევის და გრუნტის დატკეპვნის სამუშაოები; გ) სამუშაოს შესასრულებლად რუსეთიდან სპეციფიური მასალის (ფოლადის მილები) შემოტანისას საჭირო გახდა შესაბამისი სამსახურისაგან მანამდე გაუთვალისწინებელი თანხმობის მიღება; დ) შემკვეთმა (მოვასუხე) არასრული ოდენობით გადასცა საავანსო თანხა მენარდეს. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, მოსარჩევემ ხელშეკრულების შეწყვეტა უკანონოდ მიიჩნია, რადგან თუ რაიმე დარღვევას ჰქონდა ადგილი, შემკვეთს უნდა დაეწესებინა დამატებითი ვადა მენარდისათვის ვალდებულების შესასრულებლად.

5. ფოთის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებისას მიუთითა სსკ-ის 316-ე, 317-ე, 326-ე, 361-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ განსახილველ დავაში, მხარეთა შორის ხელმოწერილი შეთანხმებით, ვალდებულების შესრულების აუცილებელ ელემენტს წარმოადგენდა ვადა, რაც გადაცილებულად მიიჩნეოდა, ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილების საბოლოო ვადის დადგომიდან – 19 იანვრიდან (იხ. ამ განჩინების პირველი პუნქტი).

6. სასამართლომ, სსკ-ის 405-ე მუხლის მეორე ნაწილზე მითითებით, განმარტა, რომ არ იყო აუცილებელი დამატებითი ვადის დაწესება. იმის გათვალისწინებით, რომ სანარმოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების საერთო ღირებულებიდან 2 269 999 ლარიდან, შესრულებული ჰქონდა სამუშაოს მცირე ნაწილი (227 000 ლარი), მის წინასწარ

გაფრთხილებას, მართლაც არ ჰქონდა აზრი, ხოლო თუ გაგრძელდებოდა ხელშეკრულება, მაშინ მენარდეს დაეკისრებოდა პირგასამტებლო, ხელშეკრულების შეუსრულებელი ნაწილის 0,2 %-ის ოდენობით, რაც დიდ თანხებთან იყო დაკავშირებული და მასთან ხელშეკრულების გაგრძელებამ შემკვეთისათვის ინტერესი დაკარგა.

7. მენარდემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, მოითხოვა მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის დაკმაყოფილება.

8. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 20 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მენარდის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, მენარდის სარჩელი დაკმაყოფილდა:

ა) ბათილად იქნა ცნობილი თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს 2014 წლის 29 იანვრის №2-03/203 გადაწყვეტილება 2013 წლის 24 ოქტომბრის №197 ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე;

ბ) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტს აეკრძალა – შეუშალოს ხელი მენარდეს № 197 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებაში.

9. სააპელაციო სასამართლომ, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივ საფუძვლად, მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში სსსკ) 372-ე, 387-ე, 23-ე მუხლებზე.

10. დაუსწრებელი გადაწყვეტილების ფაქტობრივ საფუძვლად სააპელაციო სასამართლომ მიუთითა შემდეგ გარემოებებზე:

10.1. სასამართლოს 2014 წლის 22 დეკემბრის განჩინებით საქმეზე დაინიშნა მთავარი სხდომა 2015 წლის 6 თებერვალს, 16:00 საათზე, რომელიც, ფოთის მერიის წარმომადგენლის – პ. ლ-ას განცხადების საფუძველზე, გადაიდო 2015 წლის 20 მარტს, 12:00 საათზე. ჩასატარებელი სხდომის შესახებ, მხარეებს ეცნობათ კანონით დადგენილი წესით, მათ შორის – პ. ლ-ას, ტელეფონოგრამის გადაცემით, 2015 წლის 18 თებერვალს.

10.2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი 2015 წლის 20 მარტის სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა, გამოუცხადებლობის მიზეზი კი სასამართლოსათვის არ უცნობებია.

10.3. სასამართლო სხდომაზე გამოცხადებულმა მენარდის წარმოადგენელმა იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტი-

ლების გამოტანის თაობაზე, რომლითაც შეიცვლებოდა გასაჩივ-რებული გადაწყვეტილება და დაკმაყოფილდებოდა მისი სარჩელი.

11. სააპელაციო სასამართლო მიუთითა, რომ მოწინააღმდეგები მხარის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სააპელაციო საჩივარსა და სასამართლო სხდომაზე, აპელანტის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება და სააპელაციო მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, თუ ეს გარემოებები იურიდიულად ამართლებს მოთხოვნას.

12. სასამართლო მენარდის მიერ ამ განჩინების 1-2 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ჩათვალა და აღნიშნა, რომ ეს გარემოებები სსკ-ის 316-ე, 317-ე, 352-ე, 361-ე, 398-ე, 405-ე მუხლების ნორმათა შესაბამისად, იურიდიულად ამართლებდა მენარდის სააპელაციო საჩივარის მოთხოვნას.

13. ამ განჩინების მე-7 პუნქტში მითითებულ სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე 2015 წლის 6 აპრილს საჩივარი შეიტანა ადმინისტრაციულმა ორგანომ და მოთხოვა: დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის განხილვის განახლება.

14. შემკვეთმა საჩივარში მიუთითა:

14.1. მენარდის სასამარჩელო მოთხოვნების არსიდან გამომდინარე, სარჩელზე მოპასუხეს წარმოადგენდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო და არა მერია;

14.2. სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწემ, ადმინისტრაციული ორგანოს ტელეფონოგრამით გაფრთხილებისას, არ დაიცვა სსსკ-ის 72-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული მოთხოვნები, ასევე – კონკრეტულად არ იყო მითითებული, თუ რომელ დავაზე იყო ჩანიშნული სხდომა (ანუ – სასამართლოს წარმოებაში არის კიდევ ერთი დავა, იმავე მხარებს შორის, რომელიც შეეხება გარკვეული თანხების გადახდას, სადაც მხარედ მონაწილეობს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია); წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლოს ეცნობებოდა, რომ შეტყობინება უნდა ჩაბარებოდა საკრებულოს. ამდენად, მითითებული კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა დაუშვებელი იყო;

14.3. მენარდის ქვეკონტრაქტორის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, რომელშიც ადმინისტრაციული ორგანო დაზარალებულად არის ცნობილი; ქალაქ ფოთის ცენტრალური

სტადიონის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადდა ახალი ტენდერი, რომელშიც გაიმარჯვა სხვა საწარმომ და მასთან, 2014 წლის 3 დეკემბერს, დაიდო შესაბამისი ხელშეკრულებაც. გამარჯვებული კომპანია უკვე შეუდგა სამუშაოების შესრულებას;

14.4. ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელი, რომელსაც სატელეფონო შეტყობინებით ეცნობა სხდომის შესახებ, იმხანად შვებულებაში იყო და საქართველოში არ იმყოფებოდა.

15. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 13 მაისის განჩინებით ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საჩივარი არ დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

16. სააპელაციო სასამართლომ განჩინებაში მიუთითა, რომ:

16.1. სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 1 დეკემბრის განჩინებით მენარდის სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად; დაიწყო საქმის მომზადება არსებითად განსახილველად, რა მიზნითაც, ადმინისტრაციულ ორგანოს გაეგზავნა სააპელაციო საჩივარი თანდართული დოკუმენტებით და დაენიშნა 10-დღიანი საპროცესო ვადა სააპელაციო შესაგებლის წარმოსადგენად. გზავნილი ჩაიბარა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისმა მოხელემ 2014 წლის 5 დეკემბერს, რის შემდეგაც, 2014 წლის 15 დეკემბერს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიამ ფოსტას ჩააბარა სააპელაციო შესაგებელი (ხელმოწერილია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის – ი. კას მიერ), რომელიც უშუალოდ სააპელაციო სასამართლოში შემოვიდა 2014 წლის 17 დეკემბერს.

16.2. სასამართლოს 2014 წლის 22 დეკემბრის განჩინებით საქმეზე დაინიშნა მთავარი სხდომა, რის შესახებაც ეცნობა ადმინისტრაციულ ორგანოს (იხ. ამ განჩინების 9.1.- 9.2. ქვეპუნქტები)

16.3. 2015 წლის 20 მარტს, 12:00 საათზე, დანიშნული სხდომის შესახებ, პ. ლ-ას ეცნობა ტელეფონობრამით, 2015 წლის 18 თებერვალს, რის თაობაზედაც სააპელაციო სასამართლოს შესაბამისმა მოხელემ შეადგინა აქტი, რაც დაერთო საქმეს; აქტში ასახულია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელს ეცნობა საქმის განხილვის ადგილის, თარიღის და კონკრეტული დროის, განსახილველი საქმის მონაცემების (აპელანტის ვინაობა, საქმის ნომერი და სხვ.), ასევე – სხდომაზე გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგების შესახებ, თუმცა, იგი 20 მარტის სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა; არც გა-

მოუცხადებლობის მიზეზი უცნობებია სააპელაციო სასამართლოსთვის.

17. სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია ადმინისტრაციული ორგანოს პრეტენზია, მოპასუხისათვის (მოწინააღმდეგე მხარისათვის) სასამართლო უწყების ჩაბარებისათვის სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესების დარღვევის თაობაზე, რის გამოც კანონი დაუშვებლად მიიჩნევს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას.

18. სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია ადმინისტრაციული ორგანოს პრეტენზია, რომელიც ამ განჩინების 13.1. ქვეპუნქტშია მითითებული და ეხება საქმეში არასათანადო მოპასუხის მონაწილეობას. ამასთან დაკავშირებით, სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოში, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან, ამოქმედდა საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, რომლის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული არის მუნიციპალიტეტი, რომელიც არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი; მას აქვს ადმინისტრაციული საზღვრები, გააჩნია საკუთარი ქონება და არჩევითი მმართველობითი ორგანოები (წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი). აღნიშნული კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, თუ მუნიციპალიტეტის საკურებულომ სხვა გადაწყვეტილება არ მიიღო, საქართველოს საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში მუნიციპალიტეტის წარმოადგენს მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი. ამავე კოდექსის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო და მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირი არის გამგებელი თვითმმართველ თემში და მერი თვითმმართველ ქალაქში. გამგებელი/მერი წარმოადგენს მუნიციპალიტეტს და უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებების განხორციელებას ამ კანონის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და შესაბამისი მუნიციპალიტეტის ნორმატიული აქტების შესაბამისად. ზოგადად, თვითმმართველი ქალაქის წარმომადგენელი და უმაღლესი თანამდებობის პირი არის მერი; ხოლო მოცემული საქმის განხილვისას ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში – მისი მერი ი. კ-ა. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოდავე მხარეთა შორის 2013 წლის 24 ოქტომბრის ხელშეკრულების დადებისას, აგრეთვე – საქმის სასამართლოში განხ

ილვის დაწყებისთანავე, სადაცო სამართალურთიერთობის მონაწილე იყო არა რომელიმე ადმინისტრაციული ორგანო (საკრებულო, ან მერია), არამედ – სსიპ ქალაქ ფოთის თვითმმართველი ერთეული (ამჟამად – მუნიციპალიტეტი); საკრებულოც და მერიაც, სხვადასხვა დროს მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, ასრულებდნენ თვითმმართველი ერთეულის, როგორც იურიდიული პირის, წარმომადგენლობით უფლებამოსილებას. ეს ფაქტი დასტურდება იმითაც, რომ სააპელაციო საჩივარზე შესაგებელი წარმოადგინა სწორედ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიამ და არა საკრებულო.

19. სასამართლომ იმსჯელა შემკვეთის იმ არგუმენტებზეც, რომლებიც მითითებულია ამ განჩინების 13.3 ქვეპუნქტში და აღნიშნა, რომ აღნიშნულ გარემოებებს საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობა არ ჰქონდა. არც ის იყო სადაცო, რომ ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლის შვებულებაში ყოფნის შემთხვევაშიც კი, ფოთის მუნიციპალიტეტს შეეძლო სააპელაციო სხდომაზე მოევლინა სხვა წარმომადგენელი.

20. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 20 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და, ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ, სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 13 მაისის განჩინება იმავე წლის 25 მაისს საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიამ.

21. საკასაციო საჩივარი დამყარებულია შემდეგზე:

21.1. დავაში მოპასუხეს წარმოადგენს ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო და არა ფოთის მუნიციპალიტეტის მერია. იმ დროს მოქმედი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოა საკრებულო. საკრებულოს თავმჯდომარე ახორციელებს თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს. აღნიშნულის შესაბამისად, 2014 წლის 29 იანვარს თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარემ მიიღო სადაცოდ ქცეული გადაწყვეტილება 2013 წლის 24 ოქტომბრის №197 ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

21.2. მენარდეს ფოთის მუნიციპალიტეტის მერიასთან აქვს დავა შესრულებული სამუშაოების აღიარებისა და ავანსიდან გამოქვითვის თაობაზე, რომელზეც გამოტანილია ფოთის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება. მენარდის სარჩელი დაკავშიროვილდა ნაწილობრივ: აღიარებულ იქნა მენარდის მიერ შესრულებული სამუშაო ფოთის მუნიციპალიტეტის მიმართ 48 678 ლარზე დღგ-ის ჩათვლით და

გამოექვითა ავანსიდან. დანარჩენ ნაწილში, სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. ამ გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ მენარდის მიერ ფოთის მუნიციპალიტეტისათვის დასაბრუნებელი თანხა შეადგენს 450 000 ლარს.

21.3. აღსანიშნავია, რომ ქვეკონტრაქტორი საწარმოს მიმართ, რომელიც საქმეში ჩართულია მესამე პირად მოსარჩელე მხარის მიერ, აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი, სადაც ფოთის მუნიციპალიტეტის მერია დაზარალებულად არის ცნობილი.

21.4. ფოთის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილებით დადგენილია, ფაქტობრივი გარემოებები იმის შესახებ, რომ მენარდემ არ შეასრულა 2013 წლის 24 ოქტომბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები და ხელშეკრულების შეწყვეტა კანონის სრული დაცვით მოხდა.

21.5. კასატორი უთითებს იმავე პრეტენზიებზე, რომლებიც წარდგენილი ჰქონდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრებისას (იბ. ამ განჩინების 13.2., 13.4. ქვეპუნქტები).

22. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2015 წლის 8 ივლისის განჩინებით ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი წარმოებაში მიიღო სსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამონმებლად, ხოლო იმავე წლის 14 აგვისტოს განჩინებით დასაშვებად ცნო, სსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რადგან გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლისა და საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილეს შემდეგ გარემოებებათა გამო:

23. კასატორის მოთხოვნა, მისთვის კანონით დადგენილი წესით, სასამართლოს მიერ გზავნილის ჩაუბარებლობისა და, არასათანადო მოპასუხის სახით, დავაში ჩართვასთან დაკავშირებით, არ უნდა იქნეს გაზიარებული, უსაფუძვლობის გამო.

24. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველი დაგა წარმოშეა ნაწილის სამართლებრივი ურთიერთობიდან, რომელიც უკავშირდება იმ უფლებებსა და მოვალეობებს, რაც ერთმანეთის მიმართ გააჩნიათ შემკვეთსა და მენარდეს. მოცე-

მულ შემთხვევაში, დადგენილია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ხელშეკრულების ვადაგადაცილების გამო, შემკვეთმა გამოყენ მისთვის მინიჭებული უფლება და მენარდესთან მოშალა ხელშეკრულება, რის თაობაზეც წერილობით აცნობა მას (იხ. ამ განჩინების მე-2 პუნქტი).

25. საკასაციო სასამართლო, მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის სამართლებრივი შეფასებისას, ყურადღებას ამახვილებს ნარდობის მომწერიგებელ ნორმებზე, რომლებიც სახელშეკრულებო ბოჭვის ფარგლებში, მხარეთათვის მხოლოდ ამგვარი ურთიერთობისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ რეგულაციებს ადგენენ. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს მენარდის მიერ აღძრულ სასარჩელო მოთხოვნას, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს აქტის ბათილობას, რომლითაც მოიშალა მოსარჩელესათან ხელშეკრულება, ეხება და, ასევე, შემკვეთის ხელშეშლის აკრძალვას, რათა მიეცეს მენარდეს შესაძლებლობა, დაასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი სამუშაოები. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სსკ-ის 636-ე მუხლზე, რომლის მიხედვით: „შემკვეთს უფლება აქვს სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს თქვას უარი ხელშეკრულებაზე, მაგრამ მან უნდა აუნაზღაუროს მენარდეს შესარულებული სამუშაო და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი“. მოხმობილი ნორმის დეფინიციით, ნარდობის სამართლებრივ ურთიერთობაში უპირატესობა ენიჭება შემკვეთს, რომელსაც უპირობოდ, სამუშაოს დასრულებამდე, ნებისმიერ დროს, შეუძლია ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება, მენარდის ინტერესების დასაცავად და მხარეთა შორის უფლებებისა და მოვალეობების გონივრული ბალანსის შესანარჩუნებლად, შემკვეთს ეკისრება ვალდებულება, ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში, მენარდეს აუნაზღაუროს შესრულებული სამუშაო, ის, რაც ფაქტობრივად შესრულდა და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მოვალეს (მენარდეს) ეკისრება ტეირთი, ამტკიცოს, თუ რა ზიანი მიადგა მას ხელშეკრულების მოშლით.

26. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსკ-ის 636-ე მუხლში მითითებული ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი არის ფაქტობრივად შესრულებული სამუშაო, რომელიც უნდა აუნაზღაუროს შემკვეთმა მენარდეს და, ასევე, დანახარჯები, რომელიც მოიცავს მენარდის მიერ განულ ისეთ ქმედებებს, რომლებიც უკავშირდება კონკრეტული ნარდობის ხელშეკრულების მიზნებისათვის ადამიანური, თუ ფინანსური რესურსების მოზიდვას, მაგ. ისეთი სპეციფიკური მასალებისა

და მოწყობილობების შეძენას, რომელიც მხოლოდ კონკრეტული ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სამუშაოებისთვისა აუცილებელი და შეუძლებელია მათი სხვაგან გამოყენება, მანქანა-დანადგარებისა და ტექნიკური საშუალებების, შესასრულებლი სამუშაო იარაღის დაქირავება, კონკრეტული საეციალისტების მოწვევა, რაც ნარდობის სამუშაოებისათვის განეულ ფაქტობრივ და იმ დანახარჯებს მოიცავს, რომელსაც, სავარაუდოა მიიღებდა მენარდე, რადგან საამისოდ განახორციელა გარკვეული ქმედები.

27. განსახილველ დავაში, მენარდემ მოითხოვა შემკვეთის 29.01.2014 გადაწყვეტილების (იხ. ამ განჩინების მე-3 პუნქტი) ბათილობა, რომლითაც ამ უკანასკნელმა გამოავლინა ნება, ცალმხრივად მოეშალა ხელშეკრულება მენარდესთან. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, შემკვეთმა სწორედ სსკ-ის 636-ე მუხლით ისარგებლა და, განსახილველ დავაში, მენარდის მიერ ხელშეკრულების ვადის დარღვევის გამო, მოშალა ხელშეკრულება, რისი სამართლებრივი საფუძველიც, ვადის დარღვევის ფაქტობრივი გარემოების არარსებობის პირობებშიც კი, ჰქონდა კასატორს. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო ურთიერთობის სამართლებრივი ბუნების თავისებურებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, სააპელაციო სასამართლომ იმსჯელოს სსკ-ის 636-ე მუხლის დანანესის მიხედვით, რამდენად დასაბუთებული და იურიდიულად გამართლებული იყო სასამართლო მოთხოვნა, რომელიც დააკეთოფილა სააპელაციო სასამართლომ სსსკ-ის 387-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების საფუძველზე.

28. საკასაციო სასამართლო, ამ განჩინების 25-ე პუნქტში ჩამოყალიბებული მსჯელობიდან გამომდინარე, ასევე მიზანშეწონილად მიიჩნევს, სამართლებრივად შეაფასოს მენარდის მოთხოვნა, შემკვეთს აკრძალვოდა ხელშეშლა, რათა მენარდეს დაესრულებინა სამუშაოები. სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსით კანონმდებელი, ნარდობის მომწესრიგებელ ნორმათა შორის, მენარდის ამგვარი მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველს არ განსაზღვრავს. სსკ-ის 636-ე მუხლის შინაარსს ენინაალმდეგება შემკვეთის იძულება, დავალდებულება, არ შეუშალოს ხელი მენარდეს სამუშაოების დასრულებაში. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მენარდის მიერ ხელშეკრულების პირობის დაურღვევლობის შემთხვევაშიც კი, შემკვეთს კანონმდებელმა მიანიჭა უფლება, ნებისმიერ დროს მოშალოს ხელშეკრულება, ერთადერთი სპეციალური დათქმა, რომელიც მენარდის ინტერესების დასა-

ცავად არის დადგენილი მოხმობილ ნორმაში, მდგომარეობს შემკვეთის ვალდებულებაში, აუნაზღაუროს კონტრაპენტს უკვე შესრულებული სამუშაო და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი. სსკ-ის 636-ე მუხლით, კანონმდებელი შემკვეთისათვის ხელშეკრულების მოშლის წანამდლვრებს კი არ აქვთ სებს, არამედ, ამ ნორმის გამოყენების შემთხვევაში, გამახონასწორებელი სამართლებრივი დაცვითი მექანიზმის სახით, ადგენს შემკვეთის ვალდებულებას, ანუ განსაზღვრავს, თუ რა უნდა აუნაზღაურდეს მენარდეს. მითითებული მსჯელობიდან გამომდინარე, განსახილველ დავაში, სამართლებრივად უნდა შეფასდეს მენარდის სასამართლო მოთხოვნების იურიდიული დასაბუთებულობა, ანუ თუ რამდენადა ასეთი მოთხოვნა განხორციელებადი.

29. ზემოხსენებული მსჯელობისა და დასკვნებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების პირცესუალური ხასიათის გათვალისწინებით, სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩინა საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება სააპელაციო სასამართლოში.

30. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ-ის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესით, კანონმდებელმა იმპერატიულად განსაზღვრა საკასაციო სასამართლოს მსჯელობის ფარგლები და დაადგინა, რომ საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება, მხედველობაში იქნეს მიღებული სსსკ-ის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. საკასაციო სამართალწარმოების თავისებურების გათვალისწინებით, საბოლოო ინსტანციის სასამართლოში ახალი ფაქტების მითითება და ახალი მტკიცებულებების წარდგენა დაუშვებელია. რაც შეეხება საკასაციო საჩივარსა და საკასაციო შესაგებელზე დართულ მტკიცებულებებს, სასამართლო ვერ გაიზიარებს და მიიჩნევს, რომ მათი საქმის-ათვის დართვის წინაპირობებიც არ არსებობს.

31. სსსკ-ის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე დართული მტკიცებულება ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 4 მაისის განაჩინის ასლი, საქმე №1/94-2015, 7 ფურცლად. ხოლო მოწინააღმ

დეგე მხარეს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო შესაგებელზე დართული მტკიცებულებები: შპს „მ-ის“ ექსპერტიზის დასკვნა, რუსეთის ფედერალური სამსახურის წერილის ასლი, საქართველოს საგადასახადო ომბუდსმენის 2014 წლის 16 აპრილის დასკვნა, საბანკო გარანტია №ტბ/14-040641, 30.01.2014წ., ამონაბეჭდი სპორტული პორტალიდან წწწ.სპორტალლ.გე, 17 ფურცლად.

32. კასატორი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტით.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე, 407-ე, 411-ე მუხლებით და

### **და ადგინდა:**

1. ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი დაცმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 20 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 13 მაისის განჩინება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 20 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად;

3. კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია;

4. ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე დართული მტკიცებულება;

5. შპს „ნ-ს“ დაუბრუნდეს საკასაციო შესაგებელზე დართული მტკიცებულებები;

6. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სააკელაციო საჩივრის შეტანის ვადა

### განერინება

№ას-886-836-2015

25 ნოემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ზ.ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
6. ბაქაქური,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაო ადგი-  
ლზე აღდგენა, იძულებით მოცდენილი დროის ხელფასის ანაზ-  
ღაურება

#### აღნერილობითი ნაწილი:

##### II. სასარჩელო მოთხოვნა და სარჩელის საფუძვლები

2. ი. რ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე სს „გ-ის“ მიმართ, რომლითაც მოითხოვა:

– ი. რ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ სს „გ-ის“ დირექტორის – მ. პ—ის 2014 წლის 31 მარტის №3... ბრძანების ბათილად ცნობა;

– ი. რ-ის სს „გ-ის“ სამონტაჟო სამსახურის უფროსის თანამ-  
დებობაზე აღდგენა;

– სს „გ-ისათვის“ ი. რ-ის სასარგებლოდ იძულებით მოცდე-  
ნილი დროის ხელფასის ანაზღაურება 2014 წლის 31 მარტიდან  
სამუშაო ადგილზე აღდგენამდე, ყოველთვიურად 2500 ლარის  
ოდენობით.

##### III. მოპასუხის პოზიცია

3. მოპასუხებ სარჩელი არ ცნო.

##### IV. პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნებზე მი- თითება

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებით ი. რ-ის სარჩელი არ დაკრძალულდა.

##### V. სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა

5. გადაწყვეტილებაზე კანონით დადგენილ ვადაში, სააპელ-  
აციო საჩივარი წარადგინა ი. რ-მა და მოითხოვა თბილისის  
საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014  
წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადა-

წყვეტილების მიღებით ი. რ-ის სარჩელის დაკმაყოფილება.

## **VI. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები**

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-  
თა პალატის 2015 წლის 22 ივნისის განჩინებით ი. რ-ის სააპელა-  
ციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

7. მოცემული საქმის გადაწყვეტისას სააპელაციო სასამართ-  
ლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწ-  
ყვეტილება იურიდიულად იმდენად დაუსაბუთებელია, რომ მისი  
სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია,  
რის გამოც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე და 385-ე  
მუხლების საფუძველზე საქმე ხელახლა განსახილველად უნდა  
დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

8. სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია  
პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ 3.2.1 აბზაცში განვი-  
თარებული მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩე-  
ლის მიერ მითითებული თანამდებობის – სამონტაჟო სამსახ-  
ურის უფროსის თანამდებობის არსებობა არ დასტურდებოდა.  
პალატამ მიიჩნია, რომ ამ ნაწილში, პირველი ინსტანციის სასა-  
მართლომ არასწორად გადაანანილა მტკიცების ტვირთი და ეს  
ტვირთი მოსარჩელეს გადააკისრა, მაშინ, როცა შრომის სამართ-  
ლებრივი ურთიერთობების თავისებურებიდან გამომდინარე  
(ვინაიდან ამ ურთერთობებში მონაწილეობს სუსტი მხარე –  
დასაქმებული და ძლიერი მხარე – დამსაქმებელი), ის თუ რომელ  
თანამდებობაზე მუშაობდა აპელანტი (მოსარჩელე) სწორედ  
სანარმოს უნდა ემტკიცებინა, ვინაიდან მას, როგორც სამე-  
ნარმეო სუბიექტს „მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის  
პირველი მუხლის მე-2 პუნქტით ევალება ეს საქმიანობა „ორგა-  
ნიზებულად“ წარმართოს ანუ, მოწესრიგებული ჰქონდეს თავი-  
სი საალრიცხვო და ა.შ. საქმიანობა და საბუთები.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ამ გარემოებას გან-  
საკუთრებული მნიშვნელობა აქვს ვინაიდან: ა) 2014 წლის 31  
დეკემბრის გათავისუფლების ბრძანებაში სანარმო ვერ მიუ-  
თითებდა თუ რომელი კონკრეტული თანამდებობიდან გაათა-  
ვისუფლა დასაქმებული (ანუ, სავარაუდოა, რომ თავად სანარ-  
მომაც არ იცოდა კონკრეტულად რა თანამდებობაზე მუშაობ-  
და იგი, და თუ ეს ასე არაა, მაშინ, თავად უნდა დაემტკიცებინა  
სანინაალმდეგო) და ბ) მოსარჩელე ითხოვდა კონკრეტულად  
სამონტაჟო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე აღდგენას.

9. საქმეში წარმოდგენილი საბუთებით სააპელაციო სასა-  
მართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შრომითი ურთერთობა

საწარმოსთან აპელანტმა (მოსარჩელემ) დაიწყო ჯერ კიდევ, 2012 წლის 16 ივნისს, როდესაც იგი დაინიშნა მონიტორინგის სამსახურის ხელმძღვანელად ერთთვიანი გამოსაცდელი ვადით. 2012 წლის 1 დეკემბრიდან იგი დაინიშნა რეგიონალური ქსელის განვითარების ხელძღვანელის თანამდებობაზე. ამ ბრძანების შემდეგ რამე იფიციალური საბუთი მისი დანიშვნის ან გადაყვანის შესახებ აღარ მოიპოვება, გარდა 2014 წლის 26 მარტის ცნობისა, რომლის თანახმად, აპელანტი მუშაობს სამონტაჟო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე. მართალია ეს ცნობა გაუქმდა 2014 წლის 26 მარტის ბრძანებითვე, მაგრამ პალატამ მიუთითა, რომ ისევ საწარმოს, როგორც ძლიერი მხარის მდგომარეობიდან გამომდინარე (რაც გამოიხატება ამგვარი ან მსგავსი ბრძანებების ყოველდღიურ ან დღეში რამდენჯერმე გამოცემის შესაძლებლობაში), უნდა ემტკიცებინა ის, რომ მას, ასეთი თანამდებობა მართლაც არ ჰქონდა. ამის დასადასტურებლად კი, მხოლოდ ანალოგიური დოკუმენტის – ბრძანების გამოცემა არ იყო საქმარისი, საჭირო იყო ამ ბრძანების გამოცემამდე დამტკიცებული საშტატო განრიგი, რომ ასეთი თანამდებობა 2014 წლის 26 მარტს მართლაც არ არსებობდა. ასეთი კი, მხარემ ვერ წარმოადგინა. უფრო მეტიც, მოწმედ დაკითხულმა საწარმოს დირექტორმა გ. შ-მ განმარტა, რომ რაიმე დალაგებული სტრუქტურა საწარმოს არ გააჩნდა და იგი, როგორც დირექტორი მუშაობდა ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

10. ანალოგიური განმარტება მიეცა საქმეში წარმოდგენილ 2014 წლის 27 მარტის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმს, რომლის მიხედვით, გაუქმდა თანამგზავრული ქსელის დეპარტამენტი და მასში შემავალი საშტატო ერთეულები. სახელმობრ, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საწარმოს უნდა დაემტკიცებინა, რომ სწორედ ამ დეპარტამენტში შედიოდა ის თანამდებობა, რომელიც ეკავა ი. რ-ს და რომელიც გათავისუფლების ბრძანებაში ვერ მიუთითა, ანუ ამ მტკიცებულების განტუოვნადობა მოცემულ საქმესთან გაპირობებული შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ მაშინ თუ, დადგინდებოდა მისი კავშირი აპელანტთან.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ისეთ ვითარებაში, როდესაც გათავისუფლების ბრძანებაში არაა აღნიშნული აპელანტის თანამდებობა, არაა წარმოდგენილი 2014 წლის 26 მარტამდე არსებული საშტატო განრიგი, შეუძლებელია დამტკიცებულის რა კაშირი აქვს ამ ოქმს აპელანტთან. შეიძლება გაუქმდა დეპარტამენტი, მაგრამ ამას უნდა ჰქონდეს კავშირი აპელანტთან. საქმეში წარმოდგენილი 2014 წლის მარტის თვის ხელ-

ფასის უნდისში ასეთი დეპარტამენტი არ იკითხება (მაშინ, როცა იგი ამ დროს იგი ჯერ კიდევ არსებობდა) და მით უმეტეს, არ იქნება ასეთი დეპარტამენტი იმავე წლის ოქტომბრის თვის უნდისში, როცა იგი გაუქმდებული იყო. საგულისხმოა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს ამ ოქტომბერი საერთოდ არ უმსჯელია, მაშინ, როცა სანარმო შტატების შემცირების საფუძვლად სწორედ მას ასახელებდა.

11. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს შრომის კოდექსის მე-11 მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით და აღნიშნა, რომ ნორმის დანაწესით დაშვებულია შრომის ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლა გარკვეულ გარემოებებში. უფრო მეტიც, იმავე კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილი „ა“ ქვეპუნქტი უშვებს განსაზღვრულ პირობებში, შრომის ხელშეკრულების შეწყვეტასაც. მაგრამ იმისათვის რომ დადგინდეს ასეთი გარემოებების არსებობა, ამისათვის საჭიროა მხარეებზე მტკიცების ტვირთის სწორად გადანაწილება, რათა დაგიცვათ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით დადგენილი ქცევის წესი.

შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ შემდეგი ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად, მიზანშენონილად მიიჩნია საქმის დაბრუნება პირველი ინსტანციის სასამართლოში: ა) რა კონკრეტულ თანამდებობაზე მუშაობდა აპელანტი 2014 წლის მარტის ბოლოს; ბ) რა კონკრეტული თანამდებობიდან გათავისუფლდა აპელანტი 2014 წლის 31 მარტის ბრძანებით; გ) რამდენად განკუთვნადია სანარმოს მიერ წარმოდგენილი სამეთვალყურეო საბჭოს ოქმი და მისი შედეგები აპელანტთან.

12. ასევე, საფუძველს მოკლებულად მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ 6.2 აბზაცში მოყვანილი დასკვნა იმის შესახებ, რომ აპელანტმა გადაცილა გასაჩივრების 30-დღიან ვადას.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ი-რ-მა 2014 წლის 31 მარტს ჩაბარა სანარმოს წერილი შემთანხმებელი პროცედურების დაწყების შესახებ. იმავე დღეს გამოიცა სადაცვო ბრძანება. ამ ბრძანების წერილობითი დასაბუთება გამოიცა 2014 წლის 14 მაისს და გაეგზავნა აპელანტს იმავე დღეს, თუმცა არაა წარმოდგენილი მისი აპელანტისათვის ჩაბარებას მტკიცებულება. მიუხედავად ამისა, დგინდება, რომ სარჩელი შეტანილ იქნა 2014 წლის 18 ივნისს. ამდენად, იმისათვის რომ გამოყენებული ყოფილიყო შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-6 ნაწილი, უტყუარად უნდა დადგენილიყო წერილობითი დასაბუთების აპელანტისათვის ჩაბარე-

ბის დრო, რაც საწარმოს მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა. ვინაიდან ასეთი მტკიცებულება არ იყო წარმოდგენილი, პალ-ატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრების 30-დღიანი ვადის დარღვევაზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითება მოკლებული იყო ფაქტობრივ საფუძვლიანობას.

## **VII. კასატორის მოთხოვნა და კასაციის საფუძვლები**

13. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სს „გ-მა“ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

14. კასატორის პრეტენზია (კასაციის საფუძვლები) იმ გარე-მოებას ემყარება, რომ სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო ნორმების დარღვევით მიიღო წარმოებაში სააპელაციო საჩივარი.

კასატორი აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება ი. რ-ს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლის მოთხოვნათა დაცვით უნდა ჩაეტარებინა 2015 წლის 12 იანვრამდე, ხოლო სააპელაციო საჩივარი კი, უნდა შეეტანა 2015 წლის 26 იანვრამდე.

კასატორის მითითებით, ი. რ-ი არ წარმოადგენდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულ პირს სარჩელის მოთხოვნის ყველა ნაწილში, სახელმწიფო ბაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებინა ფიზიკური პირები – სარჩელებზე ხელფასის გადახდევინების შესახებ და სხვა მოთხოვნებზე შრომის ანაზღაურების თაობაზე, რომლებიც გამომდინარეობს შრომის სამართებრივი ურთიერთობიდან. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, ი. რ-ის ერთ-ერთ სასარჩელო მოთხოვნას სამუშაო ადგილზე აღდგენა წარმოადგენდა, შესაბამისად, მოთხოვნის მითითებულ ნაწილში, იგი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულ პირად არ მიიჩნეოდა და სახელმწიფო ბაჟიც ჰქონდა გადახდილი ორივე ინსტანციის სასამართლოში. ეს ყოველივე კი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად ი. რ-ს წარმოუშობდა საპროცესო სამართლებრივ ვალდებულებას გამოცხადებულიყო სასამართლოში გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 20-30 დღიან ინტერვალში და უშუალოდ ჩაეტარებინა გადაწყვეტილება.

15. ამასთან, კასატორი მიუთითებს სარჩელის ხანდაზმულობაზეც და ალნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი და არასწორად დაადგინა, რომ მოწინააღმდეგე მხარის მიერ შრომის კოდექსით დადგენილი სარჩელის შეტანის ვადა დაცული იყო.

კასატორის მითითებით, ი. რ-მა შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი ვადის დარღვევით მოითხოვა სამსახურიდან გათავისუფლების წერილობითი დასაბუთება. 2014 წლის 31 მარტს გათავისუფლებულ ი. რ-ს 30 დღის ვადაში ანუ, 2014 წლის 1 მაისამდე უნდა შოეთხოვა წერილობითი დასაბუთება, მაშინ როდესაც მან დამსაქმებელს ასეთი მოთხოვნით მიმართა 2014 წლის 8 მაისს.

2014 წლის 14 მაისს სს „გ-ის“ მიერ გაიცა ი-რ-ის სამსახურიდან გათავისუფლების წერილობითი დასაბუთება. შესაბამისად, ი. რ-ს სარჩელი უნდა შეეტანა 2014 წლის 13 ივნისს. სარჩელი შეტანილ იქნა 2014 წლის 18 ივნისს (სარჩელზე დასმულია თარიღი 2014 წლის 17 ივნისი).

ამრიგად, აპელაციის მიერ დაირღვა შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-4 ნაწილის და ამავე მუხლის მე-6 ნაწილით დადგენილი ვადები.

კასატორის განმარტებით, საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლით გათვალისწინებული ვადები ერთმანეთს უკავშირდება და ერთი ვადის ამონურვა იწვევს მეორე ვადის დენის დაწყებას. სააპელაციო სასამართლომ კი, გამოიყენა მხოლოდ 38-ე მუხლის მე-6 ნაწილი და უგულვებელყო ის ვადები, რომლებიც უშუალოდ წინ უძღვის ხსნებული მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ ვადას, რომელიც ეხება დამსაქმებლისგან წერილობითი დასაბუთების დროულად (გათავისუფლებიდან 30 კალენდარულ დღეში) მოთხოვნას და მიუხედავად ამ დასაბუთების მიღებისა (დასაბუთების მოთხოვნისგან 7 დღის ვადა) მისი დროული გასაჩივრება (7-დღიანი ვადის ამონურვიდან 30 კალენდარული დღე).

სს „გ-მა“ საქმეში არსებული მტკიცებულებებით დასაბუთა, რომ მოწინააღდეგე მხარემ დასაბუთება მოითხოვა კანონით დადგენილი ვადის დარღვევით. ამიტომ, ი. რ-ის მიერ სარჩელის შეტანის ვადა დარღვეულია.

გარდა ამისა, ი. რ-მა წერილობითი დასაბუთების მოთხოვნა სს „გ-ს“ ჩააბარა 2014 წლის 8 მაისს. შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, მიუხედავად დამსაქმებლის წერილობითი დასაბუთებისა, ი. რ-ს 2014 წლის 8 მაისიდან 7 დღის გასვლის შემდეგ ანუ, 15 მაისიდან 30 დღის ვადაში უნდა წარედ-

გინა სარჩელი, ანუ 2014 წლის 15 ივნისამდე. სარჩელი კი, შეტანილ იქნა 2014 წლის 18 ივნისს.

16. კასატორი სადავოდ ხდის საქმის საპელაციო წესით განმხილველი სასამართლოს მიერ მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების წესს.

კასატორი მიუთითებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობაზე იმასთან დაკავშირებით, რომ სს „გ-ი“, რომელიც არის „ძლიერი მხარე“ ვალდებულება ეკისრება ამტკიცოს მუშაობდა თუ არა ი. რ-ი მის მიერ სარჩელში მითითებულ თანამდებობაზე – სამონტაჟო სამსახურის უფროსად. კასატორის მითითებით, აღნიშნული მსჯელობა ეწინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის დანაწესს. შრომის კოდექსიდან გამომდინარე ურთიერთობებზე კი, სრულად ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მტკიცების ტვირთის სტანდარტი. საგამონაკლისო შემთხვევას აწესრიგებს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-7 ნაწილი, რა შემთხვევაშიც, დავის ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი ეკისრება დამსაქმებელს, რომელმაც დასაქმებულის მიერ მოთხოვნის წარდგენიდან 7 კალენდარული დღის ვადაში თუ წერილობით არ დაასაბუთა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი, მაშინ დავის ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი მას ეკისრება.

მოცემულ საქმის მასალებიდან კი, ასეთი შემთხვევა არ იკვეთება.

17. კასატორი არ ეთანხმება მოწინააღმდეგე მხარის მითითებას იმასთან დაკავშირებით, თითქოს ი. რ-ი სს „გ-ის“ ყოფილი გენერალური დირექტორის – გიორგი შენგელიას მიერ 2013 წლის 28 ნოემბრის შემდეგ დაინიშნა სამონტაჟო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე.

ამასთან, სასამართლოზე ი. რ-ის მოთხოვნით მოწმედ დაკითხულმა გიორგი შენგელიამ კატეგორიულად უარყო მოწინააღმდეგე მხარის დანიშნუნა ხსენებულ თანამდებობაზე. მისი თქმით, სამსახურში იგეგმებოდა სტრუქტურული ცვლილებები, თუმცა ამ ცვლილებების განხორციელებამდე იგი განთავისუფლდა დირექტორის თანამდებობიდან. მხოლოდ ამ ჩვენებზე დაყრდნობით კი, შეეძლო საპელაციო სასამართლოს დაედგინა, რომ ი. რ-ი ცრუობდა და არადროს უმუშავია სადაცო თანამდებობაზე. მით უფრო, აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობის წერილობითი დოკუმენტი მხარეს არ წარმოუდგენია. უფრო მეტიც, მან წარმოადგინა ისეთი დოკუმენტი, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის მისივე განმარტებასათან. კასატორის მითითებით, ყალ-

ბია დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ი. რ-ს 2013 წლის ივლისში მიმართავენ, როგორც სამონტაჟო სამსახურის უფროსს.

18. კასატორი არ ეთანხმება გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებულ მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ სს „გ-მა“ ი. რ-ის გათავისუფლების ბრძანებაში არ მიუთითა, თუ რომელი თანამდებობიდან მოხდა მისი გათავისუფლება.

კასატორი აღნიშნავს, რომ კანონი არ ითვალისწინებს გათავისუფლების ბრძანების აუცილებელ რეკვიზიტად თანამდებობის მითითებას.

კანონი ითვალისწინებს დამსაქმებლის ვალდებულებას წერილობითი დასაბუთების თაობაზე, რომელშიც უნდა აღინიშნოს თუ, რატომ მოხდა შრომითი ურთიერთობის შენყვეტა მხარესთან, რომელშიც ასევე აღინიშნება, თუ რომელი თანამდებობიდან მოხდა დასაქმებულის გათავისუფლება. ყველა ეს გარემოება კი, დეტალურად არის აღწერილი სს „გ-ის“ წერილობით დასაბუთებაში.

19. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა 2014 წლის 26 მარტის ცნობას.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მიუხედავად ამ ცნობის ბრძანებით გაუქმებისა, ეს საკმარისი არ არის იმის დასამტკიცებლად, რომ ი. რ-ი მუშაობდა სამონტაჟო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე.

კასატორი აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კანონმდებლობა და დოკტრინა იცნობს ვალდებულებითი ურთიერთობის (ვალის) არსებობის კაუზალურ და აბსტრაქტულ აღიარებას. აბსტრაქტული აღიარება არ საჭიროებს საფუძველს (კაუზას) და იგი ნამდვილია, მიუხედავად იმისა, სინამდვილის შესაბამისი ფაქტები მოცემულია თუ არა მასში. ვალის (ვალდებულებითი ურთიერთობა) აბსტრაქტულ აღიარებას ეხება სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლი. განსხვავებით ვალის (ვალდებული ურთიერთობის) აბსტრაქტული აღიარებისა, ვალდებულებითი ურთიერთობის კაუზალური (არააბსტრაქტული) აღიარება აუცილებლად მოითხოვს, რომ ასეთ აღიარებას ჰქონდეს კაუზა (საფუძველი).

ცნობა, როგორც სიტყვა მიანიშნებს, რომ არის უკვე არსებულ მონაცემებსა და ურთიერთობებზე ინფორმაცია, ის პირდაპირ დაკავშირებულია პირველად მონაცემებზე და ურთიერთობებზე, რომელთა დაკავშირებითაც გაიცემა ცნობა.

სს „გ-ს“ 2014 წლის 26 მარტის ცნობა, რომ ი. რ-ი მუშაობს სამონტაჟო სამხასურის უფროსის თანამდებობაზე, არის კაუზალური აღიარება და იგი უნდა ეყრდნობოდეს კონკრეტულ

საფუძველს (ი. რ-ის სამსახურში დანიშვნის ბრძანებას ან შრო-  
მით ხელშეკრულებას), რაც არ არსებობს.

მოცემულ შემთხვევაში, 2014 წლის 26 მარტის ბრძანებით  
გაუქმდა არასწორ მონაცემებზე დაყრდნობით გაცემული ცნო-  
ბა და აღნიშნულის შესახებ ეცნობა ყველა დაინტერესებულ  
პირს.

ასევე, კასატორმა აღნიშა რომ სააპელაციო სასამართლო  
არასწორად შეაფასა 2014 წლის მარტის თვის საშტატო განრი-  
გი. სს „გ-ში“ მარტის თვეში განხორციელდა სტრუქტურული  
ცვლილებები და წარმოდგენილ საშტატო განრიგში მოცემულია  
სტრუქტურული ცვილებების შემდგომი მდგომარეობა და მას-  
ში ვერ აისახებოდა უკვე გაუქმებული სამსახურები.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

#### **VIII. საკასაციო პალატის დასკვნები**

20. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატის 2015 წლის 5 ოქტომბრის განჩინებით საკასა-  
ციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპრო-  
ცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესა-  
მოწმებლად, ხოლო 2015 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით  
საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

21. საკასაციო სასამართლო შეისწავლა საქმის მასალები,  
გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება,  
საკასაციო საჩივრის საფუძველები და მიიჩნევს, რომ საკასაციო  
საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

კასატორი ერთ-ერთ საკასაციო პრეტენზიას საპროცესო  
სამართლის ნორმების დარღვევაზე ამყარებს. მისი მითითებით,  
მოცემულ შემთხვევაში, დარღვეულია სააპელაციო საჩივრის  
შეტანის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლით  
დადგენილი 14-დღიანი ვადა, რაც სააპელაციო საჩივრის განუხ-  
ილველად დატოვების საპროცესო სამართლებრივ საფუძველს  
წარმოადგენდა.

22. ვინაიდან კასატორის მითითებული პრეტენზია სააპელა-  
ციო სასამართლოს მიერ საპროცესო სამართლებრივი ნორმების  
დარღვევას შეეხება, საკასაციო პალატა მიზანშინილად მიიჩ-  
ნევს, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწ-  
მება დაიწყოს სწორედ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის წი-  
ნაპირობების არსებობის კვლევით.

23. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის პოზიცია ი.  
რ-ის მხრიდან სააპელაციო საჩივრის წარდგენის კანონით დად-  
გენილი ვადის დარღვევასთან მიმართებით, მართებულია და

გაზიარებულ უნდა იქნეს.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს, იმ ფაქტს, რომ სამოქალაქო საქმეზე №2/10284-14, ი. რ-ის სარჩელისა გამო მოპასუხე, სს „გ-ის“ მიმართ, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაო ადგილზე აღდგენისა და იძულებითი მოცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურების თაობაზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი გამოცხადდა 2014 წლის 12 დეკემბერს.

მითითებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას უშუალოდ ესწრებოდა მოსარჩელე – ი. რ-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებით ი. რ-ის სარჩელი არ დაკამაყოფილდა..

ირკვევა, რომ მოსარჩელე ი. რ-ა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მინიჭებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებამოსილებით ისარგებლა 2015 წლის 17 თებერვალს, ხოლო ამავე წლის 2 მარტს თბილისის საპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით ი. რ-ის საპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

24. საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის მიხედვით, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი ინცეპა მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი ნარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში, გასაჩივრების ვადის ათვლა დაინცეპა გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის 46-ე მუხლით გათვალისწინებული პირებისათვის, ასევე პა-

ტიმრობაში მყოფი იმ პირებისათვის, რომლებსაც არ ჰყავთ წარმომადგენელი, გადაწყვეტილების ასლის გაგზავნასა და ჩაბარებას უზრუნველყოფს სასამართლო ამავე კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილი თავისი სტრუქტურით ბლანკეტური შინაარსის ნორმაა, რომელიც დათქმას აკეთებს ამავე კოდექსის 46-ე მუხლზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლით კი, დადგენილია სასამართლო ხარჯების გადახდისაგან განთავისუფლების საფუძვლები. მითითებული მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს ქცევის იმგვარ წესს, რომლის მიხედვითაც, კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასამარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან მხარეთა გათავისუფლების სხვა შემთხვევებიც.

სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლების სხვა შემთხვევებს კი, თავის მხრივ, ადგენს „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი, სახელდობრ, კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებულია შეღავათები სახელმწიფო ბაჟში, რომლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან ფიზიკური პირები – სარჩელებზე ხელფასის გადახდების შესახებ და სხვა მოთხოვნებზე შრომის ანაზღაურების თაობაზე, რომლებიც გამომდინარებს შრომის სამართლებრივი ურთიერთობიდან.

მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ ი. რ-ის სასარჩელო მოთხოვნებს წარმოადგენდა:

– ი. რ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ სს „გ-ის“ დირექტორის – მ. პ-ის 2014 წლის 31 მარტის №3... ბრძანების ბათილად ცნობა;

– ი. რ-ის სს „გ-ის“ სამონტაჟო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე აღდგენა;

– სს „გ-ისათვის“ ი. რ-ის სასარგებლოდ იძულებით მოცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება 2014 წლის 31 მარტიდან სამუშაო ადგილზე აღდგენამდე, ყოველთვიურად, 2500 ლარის ოდენობით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მითითებული მოთხოვნებიდან მოსარჩელე ბრძანების ბათილად ცნობისა და სს „გ-ის“ სამონტაჟო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში, არ წარმოადგენდა „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვე-

პუნქტით გათვალისწინებული შეღავათით მოსარგებლე და მაშასადამე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლის მეორე ნაწილის რეგულირების სფეროში შემავალ იმ ფიზიკურ პირს, რომლისთვისაც გადაწყვეტილების ასლის გაგზავნა და ჩაბარება უნდა უზრუნველყოყო სასამართლოს ამავე კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვინაიდან იძულებით მოცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურების შესახებ სარჩელის მოთხოვნა, როგორც მეორადი მოთხოვნა, წარმოადგენს უკანონოდ გათავისუფლების შესახებ ბრძანების თანმდევ სამართლებრივ შედეგს, მოსარჩელე არც მოთხოვნის ამ ნაწილში, წარმოადგენს იმ ფიზიკურ პირს, რომლისთვისაც გადაწყვეტილების ჩაბარების ზემოთმითითებული წესი გავრცელდებოდა.

25. საკასაციო პალატის ზემოთ განვითარებული მსჯელობიდან კი, გამომდინარეობს ერთმნიშვნელოვანი დასკვნა იმის თაობაზე, რომ სწორედ ი. რ-ის საპროცესო სამართლებრივ ვალდებულებას წარმოადგინდა გამოცხადებულიყო სასამართლოში, გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 20-30 დღიან ინტერვალში და უშუალოდ ჩაებარებინა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლით დადგენილია შესასრულებლად სავალდებულო წესი და ამდენად, გასაჩივრების მსურველ მხარეს გააჩნია არა უფლება, არამედ ვალდებულება ჩაიბაროს გასასაჩივრებელი გადაწყვეტილება. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა კი, აისახება მხარის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების წესზე.

დადგენილია, რომ ი. რ-მა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით სასამართლოს მიმართა 2015 წლის 30 იანვარს, მაშინ როდესაც უკვე გასული იყო გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 20-30 დღიანი ინტერვალი. აღნიშნული კი, იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ ი. რ-ის მიმართ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის დენა დაიწყო არა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან, არამედ, ამ გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს.

26. ასევე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლით დადგენილი წესი ამავე კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესთან ერთობლიობაში ადგენს გასაჩივრების უფლების წარმოშობისა და ამ

ვადის დენის დასაწყისს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. გასაჩივრების ვადის დენის ათვლის წესთან დაკავშირებით არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განჩინება (იხ., სუს 30.12.2014წ.-ის განჩინება საქმეზე №ას-1161-1106-2014).

განსახილველ შემთხვევაში, ი. რ-ისათვის სააპელაციო საჩივრის შეტანის კანონით დადგენილი ვადის დენა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, დაიწყო 2015 წლის 11 იანვრიდან.

26. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლი განსაზღვრავს იმ საპროცესო ვადას, რომლის განმავლობაშიც, სასამართლოს პირველი ინსტანციით გამოტანილი გადაწყვეტილება მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ სააპელაციო სასამართლოში. მითითებული ნორშის მიხედვით, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად მიიჩნევა დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების ან 259<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, ასევე 259<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.

დადგენილია, რომ აპელანტმა სააპელაციო საჩივარი წარადგინა 2015 წლის 17 თებერვალს. ამ დროსათვის კი, გასული იყო პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადა, რადგანაც ეს ვადა ამოინურა 2015 წლის 25 იანვარს.

27. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით წლებით გამოსათვლელი ვადა დამთავრდება ვადის უკანასკნელი წლის შესაბამის თვესა და რიცხვში. თვეებით გამოსათვლელი ვადა გასულად ჩაითვლება ვადის უკანასკნელი თვის შესაბამის თვესა და რიცხვში. თუ თვეებით გამოსათვლელი ვადის უკანასკნელ თვეს სათანადო რიცხვი არა აქვს, მაშინ ვადა დამთავრებულად ჩაითვლება ამ თვის უკანასკნელ დღეს.

ამავე კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად კი, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2015 წლის 2 მარტს ი. რ-ის სააპელაციო საჩივარი მიიღო განსახილველად, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმა.

28. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივარის ფარგლებში, ხოლო 409-ე, 412-ე მუხლების მიხედვით კი, საკასაციო სასამართლო დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას აქვს ადგილი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნაგამოტანილი.

ნარმოდგენილი საკასაციო პრეტენზიის შემოწმების შედეგად საკასაციო პალატა მიდის დასკვნამდე, რომ მოცემულ შემთხვევაში, ნარმოდგენილია დასაბუთებული და დასაშვები საკასაციო პრეტენზია (შედავება).

მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2015 წლის 2 მარტს ი. რ-ის სააპელაციო საჩივარი საპროცესო ნორმების დარღვევით მიიღო განსახილველად, აღნიშნული კი, გასაჩივრებული განჩინებისა და აგრეთვე, მისი წინმსწრები – ი. რ-ის სააპელაციო საჩივარის განსახილველად მიღების შესახებ განჩინების გაუქმების უპირობო საფუძველია.

29. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლობაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო,

მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასა-მართლო შეცვლის გადაწყვეტილებას, ან გამოიტანს ახალ გადა-წყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

მოცემულ შემთხვევაში, სს „გ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკ-მაყოფილებულია. შესაბამისად, ი. რ-ს უნდა დაეკისროს სს „გ-ის“ მიერ საკასაციო საჩივარზე წინასწარ გადახდილი სახელმ-წიფო ბაჟის ანაზღაურების მიზნით, 1750 ლარის გადახდა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. სს „გ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ივნისისა და 2015 წლის 2 მარტის განჩინებები და ი. რ-ის სააპელაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად;
3. ი. რ-ს დაეკისროს სს „გ-ის“ მიერ საკასაციო საჩივარზე წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურების მიზნით, 1750 ლარის გადახდა.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ სა-ჩივრდება.

## საკასაციო საჩივრის შეტანის ვაჭა

### განებინაბა

№ას-296-281-2016

6 აპრილი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
მოსამართლე: ზ. ძლიერიშვილი

**დავის საგანი:** ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ავტომანქანის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა და მასზე საკუთრების უფლების აღიარება

#### აღნერილობითი ნაწილი:

გ. ჯ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხების – შპს „ჭ-ისა“ და გ. ჩ-ის მიმართ ხელშეკრულების ბათილად ცნობის, ავტომანქანის უკანონო მფლობელობიდან გამოთხვისა და მასზე საკუთრების უფლების აღიარების თაობაზე.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილებით გ. ჯ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ჯ-ემ და მოითხოვა მისი გაუქმება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 3 ნოემბრის განჩინებით გ. ჯ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. ჯ-ემ და მოითხოვა მისი გაუქმება.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ გ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით, საკასაციო საჩივარის შემოსვლიდან 10 დღის ვადაში მომხსენებელმა მოსამართლემ უნდა შეამონმოს, შეტანილია თუ არა საკასაციო საჩივარი ამ კოდექსის 396-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი არ არის შეტანილი კანონით დადგენილ ვადაში, საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივრის შეტანის ვადაა 21 დღე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. ამავე კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლის თანახმად, თუ გადაწყვეტილების გა-მოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებ-ის მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანო-მდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილებ-ის გამოტანის თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურ-ველი მხარე (მისი წარმომადგენერილი) ვალდებულია გადაწყვე-ტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოც-ხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშ-ვებელია.

მითითებული ნორმა ავალდებულებას მხარეს (მის წარმომად-გენელს) გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხა-დებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხად-დეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი. ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში კანონი ადგენს, რომ გასაჩივ-რების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადები-დან 30-ე დღეს.

განსახილევლ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქ-მეთა პალატის 2015 წლის 3 ნოემბრის სასამართლო სხდომაზე განჩინების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას ესწრებო-და როგორც კასატორი გ. ჯ-ე, ასევე მისი წარმომადგენელი თ. ბ-ე. ასეთ შემთხვევაში კასატორი ან მისი წარმომადგენელი ვალ-დებული იყვნენ გასაჩივრებული განჩინების ასლის მისაღებად სასამართლოსათვის მიემართათ არა უგვიანეს 2015 წლის 3 დე-კემბრისა. საქმის მასალებით ოკვევვა, რომ არც კასატორს და არც მის წარმომადგენელს განჩინების ასლის მისაღებად სააპე-ლაციო სასამართლოსათვის დადგენილ ვადაში არ მიუმართავთ. გ. ჯ-ის წარმომადგენელმა თ. ბ-ემ გასაჩივრებული განჩინების ასლი ჩაიბარა 2016 წლის 28 იანვარს.

2014 წლის 30 დეკემბერს დიდმა პალატამ განმარტა, რომ

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup>-ე თანახმად, გასაჩივრების მსურველ მხარეს გააჩნია არა უფლება, არამედ ვალდებულება ჩაიძაროს გასასაჩივრებელი გადაწყვეტილება. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა აისახება მხოლოდ უშუალოდ მხარის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების წესზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup>-ე მუხლის შინაარსი არ შეიძლება გაგებულ იქნეს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების გარეშე. განსახილველი ნორმა ანესრიგებს გასაჩივრების უფლების წარმოშობის წინაპირობებს, ხოლო გასაჩივრების ვადის დენის დაწყებას კი ანესრიგებს იმავე კოდექსის 60-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესი.

ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს განჩინების გასაჩივრების 21-დღიანი ვადის ათვლა მოცემულ შემთხვევაში დაიწყო 2015 წლის 4 დეკემბერს და ამოინურა ამავე წლის 24 დეკემბერს, შესაბამისად, საკასაციო საჩივარი წარდგენილ უნდა ყოფილიყო 2015 წლის 24 დეკემბრის ჩათვლით. საქმის მასალებით ირკვევა, რომ საკასაციო საჩივარი გ. ჯ-ემ ფოსტას ჩააბარა 2016 წლის 18 მარტს ანუ კანონით დადგენილი ვადის დარღვევით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაძარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

მითითებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ მხარე ვალდებულია კანონით დადგენილ ვადაში შესასრულოს შესაბამისი საპროცესო მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კარგავს ამ საპროცესო მოქმედების შესრულების უფლებას.

განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან კასატორმა საკასაციო საჩივარი შეიტანა კანონით დადგენილი ვადის დარღვევით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ იგი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლით, 397-ე მუხლის პირველი ნაწილით და

## დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. გ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად;
2. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასა-  
ჩივრდება.

## სარვეზის შეუსეპლობა არასაპატიო მიზანით

### განჩინება

№ას-31-31-2016

22 თებერვალი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა  
მოსამართლე: ზ. ძლიერიშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

#### აღნერილობითი ნაწილი:

შპს „ა-მა“ სარჩელი აღდრა სასამართლოში მოპასუხე შპს „ბ-ის“ მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე.

მოპასუხებ სარჩელი არ ცნო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-  
ლეგიის 2015 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებით შპს „ა-ის“ სარ-  
ჩელი დაკმაყოფილდა და შპს „ბ-ს“ შპს „ა-ის“ სასარგებლოდ  
დაუკისრა 26000 ლარის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა  
შპს „ბ-მა მოითხოვა მისი გაუქმება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატის 2015 წლის 19 ნოემბრის განჩინებით შპს „ბ-ის“ საა-  
პელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაა-  
საჩივრა მპს „ბ-მა“ და მოითხოვა მისი გაუქმება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-  
თა პალატის 2016 წლის 21 იანვრის განჩინებით კასატორს დაე-  
ვალა განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში გადახდილი სახ-  
ელმწიფო ბაჟის – 1300 ლარის დამადასტურებელი ქვითრის წარ-  
მოდგენა.

2016 წლის 1 თებერვალს შპს „ბ-ის“ წარმომადგენელმა რ. ჯ-

ემ წარმოადგინა საკასაციო საჩივარი, სახელმწიფო ბაჟის – 1300 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი და შპს „....-ბის“ დირექტორ ბ. ბ-ის მიერ რ. ჯ-ის სახელზე გაცემული რწუნებულება.

საკასაციო სასამართლოს 2016 წლის 3 თებერვლის გან-ჩინებით შპს „ბ-ს“ გაუგრძელდა ხარვეზის შევსების საპროცე-სო ვადა და კასატორს დაევალა ამ განჩინების ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში საქართველოს უზენაეს სასამართლოში საპრო-ცესო უფლებამონაცვლეობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოადგენა იმ საფუძვლით, რომ განსახილველ შემთხვევაში საკასაციო საჩივარი შემოიტანა შპს „ბ-მა“, ხოლო შპს „ბ-ის“ წარმომადგენელ რ. ჯ-ის მიერ წარმოადგენილი სახელმწიფო ბაჟი გადაიხადა შპს „....-ბ-მა“, ასევე რ. ჯ-ის სახელზე გაცემული რწ-მუნებულებას ხელს აწერს შპს „....-ბ-ის“ დირექტორი ბ. ბ-ე.

2016 წლის 19 თებერვალს შპს „....-ბ-ის“ წარმომადგენელმა რ. ჯ-ემ წარმოადგინა შპს „ბ-ის“ საპროცესო უფლებამონაცვ-ლეობის დამადასტურებელი დოკუმენტი და იმუამდგომლა ხარვეზის შევსების საპროცესო ვადის გაგრძელება, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს შუამდგომლობას საპროცესო ვადის აღდგენის თაობაზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედ-ეგად მიიჩნევს, რომ შპს „ბ-ის“ საკასაციო საჩივარი განუხილ-ველად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით ირკვევა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 21 იან-ვრის განჩინებით კასატორს დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 1300 ლარის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა.

2016 წლის 1 თებერვალს შპს „ბ-ის“ წარმომადგენელმა რ. ჯ-ემ წარმოადგინა საკასაციო საჩივარი, სახელმწიფო ბაჟის – 1300 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი და შპს „....-ბ-ის“ დირექტორ ბ. ბ-ის მიერ რ. ჯ-ის სახელზე გაცემული რწუნებულება.

საკასაციო სასამართლოს 2016 წლის 3 თებერვლის გან-ჩინებით შპს „ბ-ს“ გაუგრძელდა ხარვეზის შევსების საპროცე-სო ვადა და კასატორს დაევალა ამ განჩინების ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში საქართველოს უზენაეს სასამართლოში საპრო-ცესო უფლებამონაცვლეობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოადგენა იმ საფუძვლით, რომ განსახილველ შემთხვევაში

საკასაციო საჩივარი შემოიტანა შპს „ბ-მა“, ხოლო შპს „ბ-ის“ წარმომადგენელ რ. ჯ-ის მიერ წარმოდგენილი სახელმწიფო ბაჟი გადაიხადა შპს „...-ბ-მა“, ასევე რ. ჯ-ის სახელზე გაცემული რწ-მუწბულებას ხელს ანერს შპს „...-ბ-ის“ დირექტორი ბ. ბ-ე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩება. მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო საჩივრის ავტორს განუსაზღვრავს ვადას და დაუდგენს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომლებიც აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებისთვის უნდა შესრულდეს. სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობა საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

კასატორს ხარვეზის შევსების საპროცესო ვადის გაგრძელების შესახებ საკასაციო სასამართლოს 2016 წლის 3 თებერვლის განჩინების ასლი, კანონით დადგენილი წესით, ჩაბარდა 2016 წლის 5 თებერვალს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 და 61-ე მუხლების შესაბამისად, ხარვეზის გამოსწორებისათვის დადგენილი სამდლიანი ვადის დენა დაიწყო 2016 წლის 6 თებერვალს და ამოიწურა ამავე წლის 8 თებერვალს. სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის განმავლობაში არც კასატორს და არც მის წარმომადგენელს ხარვეზი არ გამოუსწორებიათ და არც რაიმე შუამდგომლობით მოუმართავთ სასამართლო-სათვის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაეკარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება. მითითებულ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე, მხარე კანონით ან სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის განმავლობაში ვალდებულია შეასრულოს მასზე დაკისრებული მოქმედება.

განსახილველ შემთხვევაში „...-ბ-ის“ წარმომადგენელმა რ. ჯ-ემ შპს „ბ-ის“ საპროცესო უფლებამონაცვლეობის დამადას-

ტურქელი დოკუმენტი წარმოადგინა 2013 წლის 19 თებერვალს, ე.ი. სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 65-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულებისათვის განსაზღვრული ვადა, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სასამართლომ შეიძლება ალადგინოს, თუ ცნობს, რომ საპროცესო მოქმედება საპატიო მიზეზით არ შესრულდა. საპატიო მიზეზად ჩაითვლება ამ კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებული გარემოებები.

ამავე კოდექსის 215-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების ნარდეგნის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების ნარდეგნას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დანესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

მოცემულ შემთხვევაში შპს „...-ბ-ის“ წარმოშადგენელმა რ. ჯ-ემ ვერ დაასახელა საპატიო მიზეზი, თუ რატომ არ გამოასწორა ხარვეზი დროულად, ამდენად, მისი შუამდგომლობა საპროცესო ვადის აღდგენის (გაგრძელების) თაობაზე უსაფუძვლოა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნეს, რომ, ვინაიდან სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზი არ იქნა შევსებული, საკასაციო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს და კასატორს უნდა დაუბრუნდეს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 1300 ლარის ოდენობით.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის პირველი, მე-2 ნაწილებით, 396-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „...-ბ-ის“ წარმომადგენელ რ. ჯ-ის შუამდგომლობა ხარვეზის შევსების საპროცესო ვადის აღდგენის (გაგრძელების) თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

2. შპს „ბ-ის“ საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად.

3. კასატიონ შპს „ბ-ს“ (ს/კ №...) დაუბრუნდეს შპს „...-ბ-ის“ მიერ 2016 წლის 22 იანვარს №425086732 საგადახდო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 1300 ლარის ოდენობით შემდეგი ანგარიშიდან: ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 3 0077 3150.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საპოლოოა და არ გასა-  
ჩივრდება.

## კერძო საჩივრის შეტანის ვალა

### განჩინება

№ას-689-655-2015

8 ივლისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
მოსამართლე: ე. გასიჭაშვილი

**დავის საგანი:** ხელშეშლის აღკვეთა

#### აღნერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 2 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ი. ბ-ის სარჩევი მოპასუხე დ. ნ-ის მიმართ ხელშეშლის აღკვეთის თაობაზე დაკმაყოფილდა, მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო.

აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილება საჩივრით გასა-  
ჩივრა დ. ნ-მა, რომლითაც მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის განხილვის განახლება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 28 იანვრის განჩინებით დ. ნ-ის საჩივარი დაცმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 2 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და საქმის განხილვა განახლდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 15 აპრილის მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ი. ბ-ის უფლებამონაცვლის ხ. დ-ის სარჩევი მოპა-

სუხე დ. ნ-ის მიმართ ხელშეშლის აღკვეთის თაობაზე დაკმაყოფილდა, მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო.

აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილება სააპელაციო ნებით გაასაჩივრა დ. ნ-მა და მოითხოვა მისი გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2015 წლის 9 ივნისის განჩინებით დ. ნ-ის სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული, ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა დ. ნ-მა და მოითხოვა გაასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ დ. ნ-ის კერძო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 401-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით, საკასაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის ვადაში მომზესნებელმა მოსამართლე უნდა შეამოწმოს, შეტანილია თუ არა კერძო საჩივარი ამ კოდექსის 396-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ კერძო საჩივარი არ არის შეტანილი კანონით დადგენილ ვადაში, კერძო საჩივარი განუხილველი დარჩება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანის ვადა 12 დღე. ამ ვადის გაგრძელება ან ალდგენა დაუშვებელია. იგი იწყება მხარისათვის განჩინების გადაცემის მომენტიდან ან მხარისათვის სასამართლო სხდომაზე მისი გამოცხადებიდან, თუ განჩინების გამოცხადებას ესწრებოდა კერძო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი. განჩინების გადაცემის მომენტად ითვლება განჩინების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2015 წლის 9 ივნისის განჩინების ასლი 2015 წლის 12 ივნისს ჩაბარდა კერძო საჩივრის ავტორის ოჯახის წევრს (ბიძაშვილს) – ბ. დ-ეს, რაც დასტურდება ამ უკანასკნელის ხელწერილით. შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-

60 და 61-ე მუხლების მიხედვით, კერძო საჩივრის შეტანის 12 დღიანი ვადის დენა დაიწყო 2015 წლის 13 ივნისს და ამოიწურა ამავე წლის 24 ივნისს. საქმის მასალებით ოკვევევა, რომ დ. ნ-ის კერძო საჩივარი შეტანილია 2015 წლის 26 ივნისს, ანუ კანონით დადგენილი ვადის დარღვევით.

2015 წლის 26 ივნისს დ. ნ-მა განცხადებით მიმართა თბილი-სის სააპელაციო სასამართლოს და განმარტა, რომ მან კანონით დადგენილ ვადაში, კერძოდ 2015 წლის 24 ივნისს კერძო საჩი-ვარი შეცდომით წარადგინა საქართველოს უზენაეს სასამართ-ლოში. კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, საკასაციო სასა-მართლოში განუმარტეს, რომ კერძო საჩივარი თბილისის საა-პელაციო სასამართლოში უნდა იქნეს შეტანილი. საქმეში წარ-მოდგენილი მასალებით არ დასტურდება დ. ნ-ის მიერ კერძო საჩივრის, კანონით დადგენილ ვადაში, სასამართლოსათვის წარდგენის ფაქტი. დ. ნ-ის განცხადება, რომელსაც თან ერთვის კერძო საჩივარი, თბილისის სააპელაციო სასამართლოში დარ-გისტრირდა 2015 წლის 26 ივნისს. 2015 წლის 24 ივნისს სასა-მართლოში წარდგენის დამადასტურებელი შტამპი კერძო სა-ჩივარზე არ არის. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი თბილისის სააპელ-აციო სასამართლოში წარდგენილია 2015 წლის 26 ივნისს, დ. ნ-ის განცხადებასთან ერთად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ან სასა-მართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთე-ბი, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ მხარე ვალდებულია კანონით დადგენილ ვადაში შესარულოს შესაბამ-ისი საპროცესო მოქმედება, ნინააღმდეგ შემთხვევაში იგი კარ-გავს ამ საპროცესო მოქმედების შესრულების უფლებას.

მოცემულ შემთხვევაში დ. ნ-მა დაკარგა საპროცესო მო-ქმედებს შესრულების უფლება, ვინაიდან კანონით დადგენილ ვადაში არ წარადგინა კერძო საჩივარი, რაც მისი განუხილვე-ლად დატოვების საფუძველია.

### სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე, 416-ე, 420-ე მუხ-  
ლებით და

#### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. დ. ნ-ის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართ-  
ლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 9 ივნისის გან-  
ჩინებაზე განუხილველად იქნეს დატოვებული.

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ სა-  
ჩივრდება.

## საპირელი

### **პროცესის ხარჯები**

სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლების	
შეზღუდვა სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო .....	3
სასამართლო ხარჯების გადახდისგან	
გათავისუფლების საფუძვლები .....	13; 19
სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადება	
და მათი ოდენობის შემცირება .....	24; 30
საპროცესო უფლებამონაცვლეობა .....	36
მტკიცებულებათა შეფასება .....	42

### **სარჩელის უზრუნველყოფა**

განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ .....	60
სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლა .....	70
სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული	
ზარალის ანაზღაურება .....	77

### **დაუსწრებელი გადაწყვეტილება**

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა	
შესაგებლის წარუდგენლობის გამო .....	84; 98
დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა ..	103
გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის	
გასაჩივრების შესაძლებლობა .....	112; 119

### **სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება**

დაუსწრებელი გადაწყვეტილება – აპელანტის არასაპატიო	
მიზეზით გამოუცხადებლობის გამო .....	125

### **დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის ნინაპირობები**

სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზები .....	135
დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები .....	143
სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა .....	155
საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა .....	170
ხარვეზის შეუვსებლობა არასაპატიო მიზეზით .....	173
კერძო საჩივრის შეტანის ვადა .....	177

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32  
ტელ.: (995 32) 2982103  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)